



**FM**  
**სენტი**  
**98.0**







მომიტინგე წევს კადაფის ფოტოს, 2011

ფოტო: ფილპო პოპიანი / REUTERS

**ნომერი:**

- 02 ლიბერალის ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**  
უნდა გამოვიყენოთ თუ არა ბიომეტრული მონაცემები არჩევნებზე ხმის მიცემისას?  
*ვახტანგ ხმალაძე VS აკაკი მინაშვილი*
- მსოფლიო**
- 08 ლიბია სამოქალაქო ომის ზღვარზე
- 10 **არაბული სამყარო**  
მდიდრებიც ტირიან **კონფლიქტები**
- 14 აფხაზური დემოკრატიის თავისებურებანი

**ინტერვიუ**

- 16 ვმუშაობთ საქართველოსთან იმისათვის, რომ ვიხილოთ პროგრესი  
*ჯეიმს სტაინბერგი*
- მთავარი თემა**
- 20 ნაციონალური ხარკი **ყურნალისტური გამოძიება**
- 26 საჩუქარი თავისუფლების სანაცვლოდ **ეკონომიკა**
- 30 ვალნაღებულნი **ჯანდაცვა**
- 33 სასწაულმოქმედი ბაქტერია **თვალსაზრისი**
- 36 პრივატიზაცია, პრაქტიკულობა, იდეოლოგია და პატივისცემა **მარკ მალენი**

- 38 ნაუგებელი თამაში **დავით ზურაბიშვილი**
- 41 ვისკონსინის პროტესტი და ამერიკის გამოუვალი მდგომარეობა **გიორგი ცხადაია**
- მედიაკრიტიკა**
- 43 ფუმფულა ბელურების გადაფრენა თბილ ქვეყანაში **ფეხბურთი**
- 45 წერილი ამბები
- 46 **ტექნოლოგიები კულტურა**
- 48 „დღი დათვის“ ნისლიანი თანავარსკვლავედი **ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 50 არ ვიცი, არ ვიცი!

**გარეკანზე:**

ნაციონალური ხარკი



ყურნალი „ლიბერალი“ გამოცემა ფონდ „ლია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are their only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

გაკავშირებით თბილისის რკინიგზა?

ფიქრობ, რომ საჯარო დისკუსია, განხილვა ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებამდე აუცილებელია. დღეს თუ არა ხვალ მეც შეიძლება დამჭირდეს რკინიგზით ინტენსიური სარგებლობა, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ეს ტრანსპორტი მოსახერხებელი იყოს. იქნებ, მართლაც მოიძებნოს შუალედური გამოსავალი.

T.G.

ორი აზრი: გვჭირდება თუ არა შემოქმედებითი კავშირები?

რა გეკავშირებათ, რისთვის გინდათ, ხატით და საქმე აკეთეთ! კავშირი უნდა პარაზიტს, მუქთამყოფელს და მსუქანი ჩიჩიას მომლოდინეს; მხატვარს რა კავშირი უნდა?!

solomon

მწერალთა და მხატვართა კავშირის არსებობა დიდი უაზრობაა. ვინც სანიანალმდევოს ფიქრობს ერთი არგუმენტი მოიყვანოს, როგორ დაეხმარა ეს „კავშირი“ მხატვრებს და მწერლებს „შემოქმედებით“ საქმიანობაში. თუ თანამოაზრეობაზე ლაპარაკი იშვიათად ნახავ იმდენ ღვარძლს, მტრობას და შულს, რაც ამ „კავშირების“ შიგნით „იმალება“ (?). ლექსის წერის მუზა რომ მოგივა, ან მოთხრობის, ან მუსიკის და ასე შემდეგ, რა, თუ „კავშირის“ წევრი არ ხარ, ვერ დანერ თუ ვერ დახატავ?

manana

კორუფციული სქემის ორიგინალური ამოხსნა

საცოდავი ხალხი, ამათ პირაქციებს შეეწირნენ, სასაცილოა, ხელფასის აღება ქრ-

თამად ჩაუთვალეს. მოკლედ ისეთი შეკერილი საქმეებია, ბოლშევიკურ „ტროიკას“ შემურდებოდა რა.

lipu

ო, მოლა, მოლა!



ქართული მოდის „ინდუსტრია“ არაა კლიენტზე ორიენტირებული. რჩება შთბეჭდილება, რომ უბრალოდ ერთობიან. მხოლოდ აეთო ცეკვიტინიძეს გამოვყოფდი. მისი კლიენტი არ ვარ და არც მის სამოსზე ვგიჟდები, მაგრამ მზიბლავს მისი საქმისადმი დამოკიდებულება.

midnight

ზბრალოდ, აილუ და მიაგატა ოთახები!

ყველა საფრთხე რეალურია, მაგრამ ინიციატივის უნარით და დიდი შემოქმედებით ნიჭით კი არა, ნინდაუხედავობით ვართ გამორჩეულები. ასეთი ელემენტარული უსაფრთხოების სტანდარტების დაკიდება მხოლოდ იმითი აიხსნება, რომ უპასუხისმგებლო ხალხი ვართ. ესთეტიკაზე არაფერს ვამბობ.

თამუნა

სიმულანტი (ლათ. SIMULANS (SIMULANTIS)) - პირი, რომელიც სიმულანსია მიაბარტავს

გეთანხმებით ყველაფერში, ნინია, სასიამოვნოდ გაოცებულნი ვარ თქვენი უკომპრომისო ტონით. :)

Ako

სამწუხაროდ, გვირავის ბოლოს შუქს ვერ ვხედავ...

მანანა

ეგ კარგი, მაგრამ აი, მერე რა...?

gogia uishvili umcrosi

ასეთ დადგმულ შოუზე შეპარვა და პროცირება მშვენიერი იქნებოდა

სტუმარი

ბარამოვას ბარა მოვბა აბამოვბა



მონუმენტის სახელწოდების კომიზმზე მართალს ამბობთ, მაგრამ რაც შეეხება თავად მონუმენტს — სამინლად არ მომწონს არც მე და არც გორელების იმ ნაწილს, ვისაც ვესაუბრე. დრო არ არის, ბოლო მოელოს ასე ერთპიროვნულად ძეგლების დადგმის ტრადიციას და მართლაც, სწორედ გაფეტიშებას აკვირებული ავტორებისა? ძეგლი უნდა ჩანაცვლდეს სხვა, არანაკლებ უაზრო ძეგლით? იქნებ გვკითხონ გორელებს, ვინც ამ სიმბინჯეს უნდა ვუყუროთ ყოველდღე?

გორელი

„ძეგლი უნდა ჩანაცვლდეს სხვა, არანაკლებ უაზრო ძეგლით?“ – თქვენ ამ ორს „ძეგლს“ შორის სხვაობას ვერ ხედავთ? „იქნებ გვკითხონ გორელებს“, – რომელ ერთს გკითხონ ან რა ფორმით უნდა გკითხონ?

ბარამბო

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუჯია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯავაძე / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიძე / შპს რედაქციის მენეჯერი: მათა ნიკოლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭიჭინაძე, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაკიძე, ნათია გულიაშვილი / კონტრაქტორები: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიაშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, ლექსო ჩქარუელი, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბეჟიშვილი, დანიელ ნიჩი, ნიკო ნერგაძე / რედაქციის მენეჯერი: ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ღონღაძე / ბაიომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა მუხითიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელაია

ბაიომცემლობა: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
სხვა ბაიომცემლობა: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.  
ფურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.  
ბაიომცემლობა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.  
გამოცემის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.  
www.liberali.ge



# ინისიატივა

## ნატო ნაკაშიძის ბლოგი

ჩემს მეგობარს, რომელსაც პირობითად ნინოს დავარქმევ, ბიჭი მოსწონდა. ისევე, როგორც ყველა მისი ასაკის გოგოს მოსწონს ხოლმე ვინმე ბიჭი, არაფერი განსაკუთრებული. იმ ბიჭსაც მოსწონდა ნინო, თითქოს. ერთმანეთს იცნობდნენ, ტელეფონით საუბრობდნენ და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებსაც ცვლიდნენ ერთმანეთში კილოგრამობით. ოღონდ ერთი პრობლემა იყო: ვერაფრით გამოვიდნენ „შორით ბნედის“ ფაზიდან. ბიჭი წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ აქტიური ინიციატივით არ გამოდიოდა. ნინო კი... ნინო და ჩვენ, მისი სამეგობრო, „ქართული“, „ტრადიციული“, „სპეტაკი“ მეთოდებით ვცდილობდით ბიჭისთვის „გვეჯიკა“, „დაგვენამიოკებინა“, „მიგვეხვედრებინა“. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, რომელიღაც ჩვენგანს გაუჩნდა იდეა, რომ იქნებ ნინომ თავად შესთავაზოს „გულის სწორს“ პირველი შეხვედრა, ის ჩანასახშივე ჩაკლა თავად ისტორიის მთავარმა გმირმა: „შენსი არაა, გოგო ვარ და პირველი ხომ არ ვეტყვი?“ ხელები გაასავსავა ჩვენმა დაქალმა და ისევ „პრინცის“ მოქმედებას დაუწყო მოცდა. ბევრი რომ აღარ გვაგაგრძელო, ისტორია ჩვეულებრივად დასრულდა: ბიჭმა როგორც იქნა დაპატიჟა ნინო შეხვედრაზე, მართალია ისეთ დროს, როდესაც გოგოს ეს დიდად აღარ უნდოდა.

გეცნობათ ისტორია? რეალურად, ასეთი „პირობითი ნინო“ ყველა ჩვენგანს ჰყავს სამეგობროში. ადრე თუ გვიან, ყველა ქართველი ქალი აწყდება ამ საკითხს: „გადავდგა თუ არა პირველი ნაბიჯი?“.

საქართველოში, როგორც ქვეყანაში, რომელშიც პატრიარქალური წყობა ჯერ კიდევ მყარადაა წამოწოლილი ტახტზე ტელევიზორის პულტით ხელში, ქალის მიერ ურთიერთობაში ინიციატივის გამოჩენა ჯერ კიდევ სადავო საკითხია. როგორც ქალები, ისე მამაკაცები, ამ საკითხს ძირითადად „კონსერვატიული“



კუთხით უყურებენ. მე ვიცნობ გოგოებს, რომლებიც მონონებულ მამრობითი სქესის წარმომადგენელსაც კი, არასოდეს აჩვენებენ თავის დამოკიდებულებას მანამ, სანამ ეს ბიჭი (თუ კაცი) გარკვეულ „საგმირო საქმეებზე“ არ წავა. ასეთი ტიპის მდედრებს, მე პირადად „სასარგებლო ნიაღვრის ტიპის გოგოებს“ ვუწოდებ. ისინი უნდა „ამოთხარო“: იჩაღიჩო მისი სახელის, ტელეფონის ნომრის გაგებაზე, ცხრაჯერ მოუსმინო უარს დაპატიჟებაზე და მეთაურობა სთხოვო, ნაიყვანო სადმე 4-5 დაქალთან ერთად და გაიარო მათთან ატესტაცია. თუ გაგიმართლა და ყველა ეს ეტაპი წარმატებით გაიარე, შენ გექნება საშუალება „მისი მშვენიერების სხივებში“ იარსებო.

ზევით აღწერილი, ყველაზე მძიმე შემთხვევაა. არსებობს უფრო საშუალო ვარიანტები. რომლებიც ცდილობენ „მიახვედრონ“ მამაკაცს რომ მოსწონთ, მაგრამ პირველი ნაბიჯის გადადგმას მაინც არ ცდილობენ. „არაა წესი“ ან „არაა ლამაზი“, – ფიქრობენ ისინი და ელოდებიან,

ელოდებიან... როგორც წესი, ამ თამაშის წესებს მამაკაცებიც უპრობლემოდ იღებენ და მზად არიან ბოლომდე გაიარონ „ჯოჯოხეთის ყველა წრე“, საბოლოო „ჯილდოს“ მისაღებად. მათ შორის მართლაც არიან ისეთები, რომლებსაც, უბრალოდ, ინტერესი უქრებათ, თუკი პირველივე შეთავაზებას დათანხმდი. მაგრამ, რაც უფრო ცუდია, ამ თამაშს მიჩვეულ კაცს, ვერაფრით აუხსნი, რომ შენს მიერ ნათქვამი „არა“, თავის დაფასება კი არა, მართლა უარია და ის არ შეიცვლება არც ათი და არც ორასი თხოვნის მერე.

ისე კი, მე პირადად მიმაჩნია, დროა, ცოტა უფრო მეტი გოგო გამოვიდეს ინიციატივით: შესთავაზონ მონონებულ მამაკაცს საყვარელ კაფეში ან სულაც „მაროკოული ნაქარგების გამოფენაზე“ წასვლა. ამაში არ არის არაფერი სასირცხვილო, „ულამაზო“ ან თუნდაც უნესო. ბოლოს და ბოლოს, თუ გული გულობს, რა მნიშვნელობა აქვს ყავაზე პირველი ვინ ვის დაპატიჟებს. ■



# ასანჟის შესახებ ქსახადიჩება შვედეთში

საიტ „ვიკილიქსის“ დამფუძნებელ ჯულიან ასანჟს ათი დღის ვადაში შვედეთში გადაიყვანენ.

„ჩვენი გადანყვებით, ბატონი ასანჟი შვედეთში ექსტრადირებას ექვემდებარება“, – ამ სიტყვებით დახურა ბრიტანელმა მოსამართლემ, ჰოვარდ რიდლიმ პროცესი, რომელიც ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთით გაიმართა. მისი თქმით, არ არსებობს არანაირი საფუძველი, რომ ორდერის გაცემის დროს შვედეთის პროკურატურას რაიმე შეცდომა დაეშვა. ადვოკატებმა ვერ შეძლეს დაერწმუნებინათ მოსამართლე, რომ ექსტრადირების შემთხვევაში, ასანჟს არასამართლიანი პროცესი ელის. თუმცა მათ უკვე განაცხადეს, რომ განაჩენს შემდგომ ინსტანციაში აუცილებლად გაასაჩივრებენ. აპელაციისთვის ადვოკატებს ერთიკვირიანი ვადა აქვთ.

სასამართლო პროცესზე ადვოკატებთან ერთად ასანჟიც აქტიურობდა, „რა საერთო აქვს ამერიკის მთავრობას შვედეთში ექსტრადირების პროცესთან? რატომ მიწვეს მე, სიტყვის თავისუფლების აქტივისტს, 360 000 დოლარის გადახდა? რატომ ვარ შინაპატიმრობაში?“, – იკითხა ასანჟმა დაცვითი სიტყვის წარმოთქმისას. სასამართლოდან გამოსული ასანჟი ევრო-

პის სასამართლოს უფლებამოსილებას აკრიტიკებდა: „სასამართლოს გადანყვებით მცდარი იყო, თუმცა არ გამკვირვებია. ეს ევროპული სისტემის სიგიჟეა“, – განუცხადა ასანჟმა ჟურნალისტებს. Wikileaks-ის დამფუძნებელს ჯულიან ასანჟს შვედეთის პროკურატურა ორი ქალბატონის მიმართ ჩადენილ სექსუალურ დანაშაულში სდებს ბრალს. 39 წლის ავსტრალიელი დანაშაულს არ აღიარებს და ბრალდებას Wikileaks-ის სკანდალურ საქმიანობას უკავშირებს.

საქმეს პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებენ ასანჟის ადვოკატებიც. მათი განცხადებით, შვედეთის ხელისუფლება ამერიკის მთავრობასთან შეთანხმებით მოქმედებს, რომელსაც სახელმწიფო დეპარტამენტის საიდუმლო მიმოწერის გამოქვეყნების გამო, ასანჟის დასჯა სურს. ადვოკატები ამტკიცებენ, რომ შვედეთში ექსტრადირების შემთხვევაში, ასანჟს ამერიკის მთავრობას გადასცემენ. ამერიკაში კი მათ კლიენტს გუანტანამოს ციხის საშინელი პირობები და წამება ელის, შპიონაჟის ბრალდების წაყენების შემთხვევაში კი ავსტრალიელი შესაძლოა, სიკვდილით დასაჯონ.

**ბაჩაშოს დასვის სამინისტროს ხომობანიზაცია**

პარლამენტის წევრებს შენიშვნები აქვთ მთავრობის მიერ მომზადებული იმ საკანონმდებლო პაკეტის მიმართ, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეორგანიზაციას ითვალისწინებს. მთავრობის თხოვნის საფუძველზე, პარლამენტი გეგმავს, დაჩქარებული წესით განიხილოს საკანონმდებლო ინიციატივა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დანაწევრების და მისი ფუნქციების სხვა სამინისტროებისთვის გადანაწილების შესახებ. ცვლილებებით უკმაყოფილონი არიან გარემოსდაცველებიც, ისინი ცვლილებათა განხილვის შეჩერებას მოითხოვენ.

**მოსაოვი ტახინი „საოკუპაციოს“ ახომბასებას**

მოსკოვი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განლაგებული რუსული ჯარების მიმართ ტერმინ „საოკუპაციოს“ გამოყენებას აპროტესტებს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა განაცხადა. „ქართველი წარმომადგენლების ჯიუტი მისწრაფება, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განლაგებულ რუსეთის სამხედრო კონტინგენტს საოკუპაციო უწოდონ, აბსურდულია და რეალობასთან და მათი რეგიონში ყოფნის მიზნებთან საერთო არაფერი აქვს“, – განაცხადა ლუკაშევიჩმა.



## "მეხმარებლის" ბაფისვა



თბილისში ასობით სამარშრუტო ტაქსის მძღოლი გაიფიცა. ისინი ხაზების ახალი მფლობელების მიერ შემოთავაზებულ პირობებს აპროტესტებენ. სამარშრუტო ტაქსების მძღოლები აცხადებენ, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული ოთხი კომპანია მძღოლების ყოველ-

დღიური გადასახადის გაზრდას გეგმავს. მერიის მიერ დეკემბერში გამოცხადებული ტენდერის შედეგად ოთხი კომპანია გამოვლინდა: „თბილქარი“ „თბილლანი“, „ფაბლიქარი“ და „კაპიტალ გრუფი“. მძღოლების თქმით, მარტის თვიდან გამარჯვებული კომპანიები მძღოლებს ყოველდღიურ გადასახადს დღეში 20-დან 40 ლარამდე გაუზრდიან. მერიის სატრანსპორტო სამსახურის განცხადებით, არც მერია და არც ტენდერში გამარჯვებული კომპანიები მძღოლებისთვის დღიური ტარიფის გაზრდას არ აპირებენ. „ყველა მძღოლს შეუნარჩუნდება სამსახური, და არც ზედმეტი თანხის გადახდა მოუწევთ“, – აცხადებენ მერიაში.

## სომეხთა მეზობლებმა აშხიხის ოთხი მოქალაქე მოხანს

ამერიკის სამხედროების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სომალელი მეკობრეების მიერ დაკავებული ამერიკის ოთხი მოქალაქის ცხედრები აღმოაჩინეს. ტყვეობაში მყოფი მოქალაქეების გასათავისუფლებლად საზღვაო ოპერაციაში მონაწილეებს მეკობრეებმა ცეცხლი გაუხსნეს, ორმხრივი სროლების შედეგად ორი მეკობრე დაიღუპა, 15 კი დააპატიმრეს.

შტატების ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკული იახტის – „ქვესტის“ გატაცებაში სულ 19 მეკობრე მონაწილეობდა. „ქვესტი“ კალიფორნიელ წყვილს ეკუთვნოდა. წყვილი 2004 წლიდან მოყოლებული ორ მეგობართან ერთად მსოფლიოს გარშემო მოგზაურობდა.

## პრეზიდენტი ისრაელის ორ მოქალაქეს დააკავებამ, საქართველოს და ისრაელს შორის ურთიერთობები დაძაბა

პრეზიდენტმა სააკაშვილმა უარყო განცხადებები, რომ ისრაელის ორი მოქალაქის დაკავებამ, საქართველოს და ისრაელს შორის ურთიერთობები დაძაბა. რონ ფუქსი, რომელმაც მრავალმილიონიანი კომერციული დაფა მოიგო საქართველოსთან და მისი პარტნიორი, ზევდ ფრენკელი ქართველმა სამართალდამცავებმა 14 ოქტომბერს ბათუმში დააკავეს. დაკავებულს ბრალად ფინანსთა მინისტრის მოადგილისთვის ქრთამის შეთავაზება ედებათ.

გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულები „საქართველოს ხელისუფლების დაყოლიებას“ ითხოვდნენ, რათა ამ უკანასკნელს არ გაესაჩივრებინა საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება. ადვოკატების განცხადებით კი, ბიზნესმენები იმიტომ დააპატიმრეს, რომ ეიძულებინათ უარი ეთქვათ მრავალმილიონიან მოთხოვნაზე.



### ჩისხვეები

<b>11</b>	<b>11-60</b>	<b>10</b>	<b>9.6</b>
კაცთან არტილერისტთა ჯგუფს გააგზავნის საქართველო ავღანეთში.	მილიონი ლარი დაედება ბათუმის ანბანის კომპის მშენებლობა.	ქუჩის საბჭოურ-კომუნისტური იდეოლოგიის მატარებელი სახელი შეეცვალა გორში.	მილიონ აშშ დოლარად გაყიდა „საქართველოს ბანკმა“ უკრაინაში შვილობილი ბანკის აქციათა 80%.

### სიტყვები



„რუსეთში რეგოლუცია არ დავუშვებთ“. **რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის საგანგებო სხდომაზე**

„საქართველოს ჩრდილო კავკასიური ნაბიჯები დაძაბულობას უწყობს ხელს“. **აშშ-ის ეროვნული დაზვერვის სამსახურის დირექტორი, ჯაიმს კლაპერი რეგიონში დაძაბულობის ფაქტორებზე საუბრისას**

„კრემლი საქართველოსთან ომისთვის საერთაშორისო თანამეგობრობის აზრს ამზადებს“. **რუსი ექსპერტის, კონსტანტინ ბარავოი სამხედრო კონფლიქტის რისკებზე**

„ამ ეტაპზე რუსეთი ომისთვის ფიზიკურად მზად არ არის“. **პრეზიდენტი სააკაშვილი რუსულენოვან ტელეკომპანია ПИК-თან ინტერვიუში**

„ჩვენი მთავარი საფრთხეა, მიხეილ სააკაშვილისგან ჰოსნი მუბარაქი არ მივიღოთ“. **ლევან ბერძენიშვილი პრეზიდენტ სააკაშვილზე**



**მომხრე**

**ვახტანგ ხმალაძე**

საქართველოს რესპუბლიკური პარტია

პირველ რიგში, განემარტოთ, რატომ არის საჭირო ამომრჩეველთა აღრიცხვა ბიომეტრული პარამეტრების მიხედვით, შემდეგ კი განვიხილოთ, რატომ არის საჭირო ამის გამოყენება უშუალოდ არჩევნების დღეს.

ამომრჩეველთა და, ზოგადად, მოქალაქეთა აღრიცხვისას ბიომეტრული მონაცემების გამოყენება საჭიროა იმისათვის, რომ ამომრჩეველთა სიებში ერთი ადამიანი მოხვდეს მხოლოდ ერთხელ.


დღეს არსებული, ტრადიციული მონაცემების მიხედვით, როგორცაა სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი, პირი ამომრჩეველთა სიაში შესაძლებელია მოხვდეს რამდენჯერმე, თუნდაც ისეთი მარტივი მიზეზით, რომ ის ერთ ადგილას ჩაინერა, როგორც ვახტანგ ხმალაძე და მეორე ადგილას, როგორც – ვახტანგი ხმალაძე.

გარდა ამისა, ბიომეტრული მონაცემების გარეშე, ერთი და იგივე ადამიანი სიაში შესაძლებელია რამდენჯერმე მოხვდეს თუ შესაბამისმა მოხელემ, ვინც ამ აღრიცხვას აკეთებს, ადამიანი რამდენჯერმე დაარეგისტრირა. რაც ქმნის პრობლემას – არჩევნებზე ერთსა და იმავე ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა, ხმა მისცეს რამდენჯერმე. ამას ემატება „მკვდარი სულელების“ პრობლემა, რომლებიც სიაში კვლავ რჩებიან.

ეს არის მიზეზი, რის გამოც დღეს ოფიციალურად თითქმის 3,7 მილიონი ამომრჩეველი გვყავს, მაშინ, როცა მოსახლეობის რაოდენობა 4,3 მილიონია. შედარებისთვის, 1990 წელს, როდესაც საქართველოს მოსახლეობა 5,5 მილიონი იყო, ამომრჩეველთა რაოდენობა იყო 3,5 მილიონი, ანუ უფრო ნაკლები, ვიდრე დღეს. რაც საკმარისი საფუძველი იმის სათქმელად, რომ დღეს ამომრჩეველთა სიები არის უაღრესად არასანდო.

თუ ჩვენ გამოვიყენებთ ბიომეტრულ მონაცემებს მოქალაქეთა აღრიცხვისთვის, მაშინ მოქალაქეთა სიებში და, შესაბამისად, ამომრჩეველთა სიებში, გამეორებები აღარ გვექნება. იქნება ამომრჩეველთა ზუსტი სია და დანამდვილებით გვეცოდინება, რამდენი ამომრჩეველია საქართველოში.


მოქალაქეთა აღრიცხვა და, შესაბამისად, ამომრჩეველთა სიების დადგენა ბიომეტრული პარამეტრების მეშვეობით ბევრ ქვეყანაშია დამკვიდრებული, მათ შორის, კენიაში, განაში, მადაგასკარში, მოზამბიკში და პაკისტანში. ერთ-ერთი ბოლო, სადაც ასეთი აღრიცხვა მოხდა, იყო ბოლივია, იქ 14 მილიონი ადამიანის აღრიცხვას ექვსი თვე მოანდომეს. ■



## უნდა გამოვიყენოთ ბიომეტრული მონაცემები არჩევნებზე ხმა მისცის

**■ ბიომეტრული მონაცემების გარეშე, ერთი და იგივე ადამიანი სიაში შესაძლებელია რამდენჯერმე მოხვდეს თუ შესაბამისმა მოხელემ, ვინც ამ აღრიცხვას აკეთებს, ადამიანი რამდენჯერმე დაარეგისტრირა. რაც ქმნის პრობლემას – არჩევნებზე ერთსა და იმავე ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა, ხმა მისცეს რამდენჯერმე.**





# ანოთ თუ ახა მონასაბაბი ის მისაბისას?

**■ ბიომეტრული მონაცემების არჩევნებზე გამოყენებამ შესაძლოა, სერიოზული ხარვეზები გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში, მთლიანი პასუხისმგებლობა დაეკისრება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და არა რომელიმე ოპოზიციურ პარტიას. ამიტომ ჩვენ ძალიან სერიოზულად ვუყურებთ ამ საკითხს.**



**მონინალმდეგე**  
**აკაკი მინაშვილი**

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე

ბიომეტრული მონაცემების არჩევნებზე გამოყენებამ შესაძლოა, სერიოზული ხარვეზები გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში, მთლიანი პასუხისმგებლობა დაეკისრება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და არა რომელიმე ოპოზიციურ პარტიას. ამიტომ ჩვენ ძალიან სერიოზულად ვუყურებთ ამ საკითხს.

ბიომეტრული მონაცემების გამოყენების საკითხი ორ ნაწილად იყოფა. პირველი – ეს არის არჩევნების დღეს ბიომეტრული მონაცემების გამოყენება და მეორე – საარჩევნო სიების ბიომეტრული მონაცემებით შედგენა.

არჩევნებზე ბიომეტრული მონაცემების გამოყენება გულისხმობს სიაში ამომრჩევლის გადამოწმებას თითის ანაბეჭდის და ბიომეტრული ფოტოს მეშვეობით. ეს რთული პროცესია. ამისათვის საჭიროა, რომ ყველა (ანუ 3 000-ზე მეტ) უბანზე არსებობდეს რამდენიმე ერთეული კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის, პორტაბელური კომპიუტერები და თითის ანაბეჭდის ამომცნობი მოწყობილობა. მნიშვნელოვანია, რომ ხმის მიცემისთანავე ხდებოდეს სერვერთან დაკავშირება, რამაც შესაძლოა, სირთულეები შექმნას – ერთდროულად ბევრი ადამიანის ხმის მიცემის გამო სერვერის „დაკიდების“ საფრთხე იქმნება. ტექნიკური ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭიროა დაახლოებით 3000 IT სპეციალისტი. ამ პროცესისთვის ასევე საჭიროა უწყვეტი ინტერნეტკომუნიკაცია საარჩევნო უბნებს შორის.

ეს ყოველივე არჩევნების ჩაშლის საფრთხეს შეიცავს.

ბიომეტრული მონაცემებით ადამიანების სიაში გადამოწმება არსად არ ხდება. ამის გაკეთების მცდელობა არის ბრაზილიაში, თუმცა იქაც საბილოტე პროექტი გაკეთდა, რომელშიც მონაწილეობა ამომრჩევლების მხოლოდ 3%-მა მიიღო. ბრაზილიაში ბიომეტრული მონაცემებით ხმის მიცემას 2016 წლიდან გეგმავენ.

ორგანიზაცია IFES-მა საქართველოში ჩამოიყვანა საარჩევნო ექსპერტი, რომელმაც მკაფიოდ განაცხადა, რომ ბიომეტრული მონაცემებით კენჭისყრა სერიოზულ სირთულეებს შეიცავს, თუ ის არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული.

მეორე საკითხია ბიომეტრული მონაცემებით სიის შედგენა. 2011 წლის ივნისიდან სამოქალაქო რეესტრი ელექტრონული ბარათების გაცემას იწყებს, რომელსაც აქვს ჩიპი ბიომეტრული მონაცემებით.

თითო მოწმობის გაცემა დაახლოებით 30 ლარი ჯდება. არსებული რესურსებით სამოქალაქო რეესტრს შეუძლია გასცეს თვეში მაქსიმუმ 60 ათასი პირადობის მოწმობა. ამ გათვლებით 3 მილიონი ამომრჩევლისთვის ბიომეტრული პირადობის მოწმობას 90 მილიონი ლარი დაჭირდება. ამას ემატება, დაახლოებით, 100 მილიონი ლარი, რაც მოწმობების დაჭერებული წესით გაცემას სჭირდება. ასე რომ, რთულთან ერთად, ეს პროცესი საკმაოდ ძვირიც არის. **■**

ლიბია

## ლიბია სამოქალაქო ომის ზღვარზე

ეგვიპტესა და ტუნისში სახალხო გამოსვლების წარმატებით დასრულების შემდეგ მსოფლიო ყურადღება ალჟირისკენ მიეპყრო – სწორედ იქ ელოდნენ შემდეგი დიქტატორის დამხობას. თუმცა 15 თებერვალს ლიბიაში განვითარებულმა მოვლენებმა ალჟირი ყველას დაავიწყა. ორ ნაწილად გაყოფილი ლიბია სამოქალაქო ომის ზღვარზეა. უკან დახევას არცერთი მხარე არ აპირებს.

### ვასო კუჭუხიძე

მრავალათასიანი გამოსვლები ლიბიის რამდენიმე ქალაქში ერთდროულად მიმდინარეობს. დემონსტრანტები პოლიციას ფიზიკურად უპირისპირდებიან და ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში რამდენიმე ქალაქზე კონტროლიც კი დაამყარეს.

ლიბიის ლიდერი, 69 წლის მუამარ კადაფი ქვეყანაზე კონტროლის შენარჩუნებას ძალის გამოყენებით ცდილობს. თუმცა მის ხელში არსებული რესურსები სიტუაციის სამართავად საკმარისი აღარ არის. თანაც, მისი სასტიკი მეთოდების გამოვლენის პარალელურად, რეჟიმის მომხრეთა რიცხვი კატასტროფულად მცირდება.

საპროტესტო გამოსვლები 15 თებერვალს ლიბიის სიდიდით მეორე ქალაქ ბენღაზში დაიწყო. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბენღაზი „ოპოზიციის დედაქალაქად“ და ტრიპოლისთან დაპირისპირებულ ცენტრად ითვლებოდა. თავიდან გამოსვლები არ იყო მასობრივი, მხოლოდ რამდენიმე ათასი დემონსტრანტი ითხოვდა კადაფის გადადგომას. მომიტინგეთა სიმცირით გათამამებულმა ხელისუფლებამ აქციის აღკვეთა მისი დარბევით სცადა, რასაც პირველსავე დღეს 8 დემონსტრანტის სიცოცხლე შეეწირა. ამ მომენტიდან კი დიდი როლი სოციალურმა ქსელებმა შეასრულეს. სწორედ Facebook-ის საშუალებით დაიგეგმა ანტისამთავრობო „რისხვის დღე“. 3 დღეში სიტუაცია უმართავი გახდა.

ოპოზიციის მიერ ქვეყნის აღმოსავლეთში მიღწეული წარმატების პარალელურად, ანტისამთავრობო გამოსვლები დაიწყო ტრიპოლიშიც. ამ დროისთვის სპეცსამსახურები უკვე დიდი მონდომებით ეძებდნენ და აპატიმრებდნენ აქტივისტებს, რომლებიც სოციალური ქსელების საშუალებით



საპროტესტო აქცია, ტრიპოლი, თებერვალი 2011

ხალხის შეკრებას ცდილობდნენ. დევნის მიუხედავად, 20 თებერვალს მრავალათასიანი გამოსვლა მაინც მოეწყო. დემონსტრანტებმა შტურმით აიღეს სახელმწიფო ტელევიზიის შენობა და გადაწვეს მთავრობის სასახლე. გავრცელდა ხმა, რომ კადაფი ქვეყნიდან გაიქცა და თავი ვენესუელას შეაფარა. ეჭვს ისიც ამძაფრებდა, რომ დასამშვიდებლად ხალხს არა კადაფმა, არამედ პრეზიდენტის უფროსმა ვაჟმა მიმართა.

კადაფი უმცროსმა ისლამისტი ფუნდამენტალისტებისგან მოსალოდნელ საფრთხეებზე ისაუბრა, სამოქალაქო ომი იწინასწარმეტყველა და ამბოხებულებს „ისიხლის მდინარეებით“ დაემუქრა.

საიფ ალ კადაფის ხისტი რიტორიკა მეორე დღესვე ცუდად დაუბრუნდა რეჟიმს – ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა უკვე სხვადასხვა ტომის წარმომადგენლებმა დაიწყო. ლიბია მრავალეთნიკური

ქვეყანაა და არაბების გარდა, რამდენიმე დიდი და მცირე ტომითაა დასახლებული. ისინი კადაფის კეთილგანწყობით სარგებლობდნენ და რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილ ჯგუფებს ქმნიდნენ, თუმცა დღეს მათი დიდი უმრავლესობა უკვე მეამბოხეთა მხარეს იბრძვის.

კადაფისაგან გამიჯვნა დაიწყო საზღვარგარეთ არსებულმა ლიბიის დიპლომატიური სამსახურების წარმომადგენლებმაც. 20 თებერვალს კაიროში არაბული ლიგის შეხვედრაზე ლიბიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრეზიდენტმა უფლებამოსილებას გადააჭარბა და მისი ერთგული ვეღარ იქნება, მომავალში კი აპირებს, მეამბოხეებს შეუერთდეს. ამის პარალელურად, ლონდონში ლიბიელი ემიგრანტების მიერ გამართულ ანტისამთავრობო მშვიდობიან მსვლელობას თითქმის სრული შემადგენლობით შეუერთდა ლიბიის საელჩო ინგლისში.



ასევე, თანამდებობები ნებაყოფლობით დატოვეს ლიბიის დიპლომატიურმა წამომადგენლებმა 22 ქვეყანაში.

22 თებერვალს ტელეეკრანებზე მუამარ კადაფი გამოჩნდა. 52-წუთიან მიმართვაში მან თქვა, რომ ბრძოლას მანამ არ გამოეთიშება, სანამ ერთი მხარდამჭერი მაინც შერჩება. კადაფიმ ხაზი გაუსვა, რომ ლიბიაში იმყოფება და ქვეყნის დატოვებას არც ახლო მომავალში აპირებს. მისი თქმით, თუ საჭიროება მოითხოვს, ის თავს შესწირავს ლიბიის კეთილდღეობისთვის ბრძოლას. იმავე დღეს, კადაფიმ სამხედრო შენაერთები დაძრა ამბოხებულ ქალაქებზე კონტროლის აღსადგენად, თუმცა ჯარის გარკვეული ნაწილი შეამბოხებებს შეუერთდა, ისევე, როგორც უშიშროების მინისტრი და სხვა რამდენიმე მაღალჩინოსანი.

ამავე დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ კადაფიმ შეამბოხებების წინააღმდეგ ავიაციის გამოყენების ბრძანება გასცა. ამ ცნობას 2 პილოტი ადასტურებდა, რომელთა თქმით, ბრძანებას არ დაემორჩილნენ და ბენღაზის დაბომბვის ნაცვლად თვითმფრინავები მალტაზე დასვეს. მალე facebook-ზე გავრცელდა შეამბოხებების მიერ ჩამოხრჩობილი სამხედროებისა და მერიის თანამშრომლების სურათები, რაც იმას ადასტურებს, რომ სისასტიკისაგან არც ანტისამთავრობო ძალები იკავებენ თავს და ქვეყანა სრულ ქაოსშია.

ამ ფონზე მეზობელი ეგვიპტისთვის ყველაზე ხელსაყრელი ლიბიაში კადაფის რეჟიმის შენარჩუნებაა. მოსაზღვრე ქვეყანაში სეკულარისტული მთავრობის დამხობა კაიროში ხელს არ აძლევთ – იქ ახლა თავად დგანან ფუნდამენტალისტების გაძლიერების საფრთხის ქვეშ. ლიბიის სამხედრო სისტემაზე დაფუძნებული სახელმწიფო წყობა ნასერისეულ მემკვიდრეობად ითვლება და დიდი სიმპათიით სარგებლობს ეგვიპტელ სამხედროებში. მუბარაქის გადადგომის შემდეგ კი სწორედ არმიას უპყრია ხელში ძალაუფლება. ეგვიპტე ესაზღვრება ლიბიის აჯანყებულ აღმოსავლეთ ნაწილს, რომელსაც კადაფი ვედარ აკონტროლებს. ეგვიპტელი სამხედროები საზღვარს განსაკუთრებული სიმკაცრით აკონტროლებენ, რათა არ დაუშვან ლიბიელი შეამბოხებების იარაღით, რესურსებითა და ცოცხალი ძალით მომარაგება ეგვიპტიდან.

ლიბიის ექსპერტიზა



პოლკოვნიკი მუამარ ალ კადაფი ბედუინების ოჯახში დაიბადა. სამხედრო განათლება საბერძნეთსა და დიდ ბრიტანეთში მიიღო.

იგი არაბულ სამყაროსა და აფრიკაში თანამდებობაზე ყველაზე დიდხანს მყოფი ლიდერია. კადაფი ლიბიას 1969 წლიდან მართავს, მას შემდეგ, რაც 27 წლის ასაკში სისხლიანი გადატრიალებისას მეფე იდრის პირველი ჩამოაგდო.

1977 წელს კადაფიმ შექმნა სისტემა სახელწოდებით „ჯამაჰირია“, „მასების სახელმწიფო“, რომელშიც ძალაუფლებას ათასობით ადამიანისგან შემდგარი საბჭოები ფლობენ.

საზღვარგარეთ ვიზიტებისას იგი ხშირად შლიდა ბედუინურ კარავს, რომელსაც შვირადებული ქალები ყარაულობდნენ – კადაფი მიიჩნევს, რომ ქალი მცველების ყურადღების მოღწევა გაცილებით რთულია, ვიდრე მამაკაცების.

მიუხედავად ოდიოზური იმიჯისა, კადაფის ჭკვიან პოლიტიკოსსაც უწოდებდნენ, რადგან მან ქვეყანა დიპლომატიური იზოლაციიდან გამოიყვანა.

2003 წელს კადაფიმ ხელი აიღო მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაზე, რითაც დასავლეთის სიმპათია დაიმსახურა.

Human Rights Watch-ის მონაცემებით კადაფის მთავრობამ ასობით ადამიანი პოლიტიკური შეხედულებების გამო კანონის დარღვევის ბრალდებით დააპატიმრა და ბევრს სიკვდილიც კი მიუსაჯა. ანგარიში აღნიშნულია წამებისა და ადამიანთა გაქრობის ფაქტებით.

ლიბიის შიდა მოვლენებზე სანდო ინფორმაციის მოპოვება რთულია. იქ მხოლოდ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მასმედია არსებობს და უცხოელ ჟურნალისტებს ქვეყანაში შესვლა აკრძალული აქვთ.

ორივე მხრიდან მსხვერპლის დიდი რაოდენობის მიუხედავად (დაღუპულია 400-ზე მეტი ადამიანი, აქედან 111 – სამხედრო), საერთაშორისო საზოგადოება ჯერჯერობით არ ჩქარობს აქტიურ ჩარევას და მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების ევაკუაციითა დაკავებული. პირველი ქვეყანა, რომელმაც ძალადობის წინააღმდეგ პროტესტი კონკრეტული ნაბიჯით გამოხატა, პერუა. ლიბამ ლიბიასთან დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა.

საერთაშორისო ჩარევა არ ხერხდება იმ მიზეზითაც, რომ ეგვიპტისა და ტუნისისაგან განსხვავებით, ლიბიის მიმართ არ არსებობს ერთსულოვანი პოზიცია. საფრანგეთი და გერმანია კადაფის რეჟიმის მიმართ მკაცრი სანქციების დაწესებას ითხოვენ, იტალია მის მიმართ კვლავ ტოლერანტულია. 2004 წელს სწორედ იტალიის ინიციატივა იყო ლიბიისთვის ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების მოხსნა. ლიბია იტალიისთვის გაზის ძირითადი მიმწოდებელია და მისი მოთხოვნილებების 24%-ს ფარავს. იტალიური ენერგოკონცერნი ENI, რომლის დიდ წილსაც სახელმწიფო ფლობს, ლიბიაში მრავალი შეღავათით სარგებლობს. იტალიის გარდა, ტრიპოლი სამხრეთ ევროპის სხვა ქვეყნებისთვისაც გაზისა და ნავთობის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელია.

ლიბიის კრიზისმა მსოფლიო ეკონომიკას უკვე დაასვა დაღი. არეულობის გამო მოიშალა ენერგო ინფრასტრუქტურა. მართალია, საბადოებს არცერთი მხარე არ ეხება, მაგრამ რესურსების ექსპლუატატორმა ევროპულმა ფირმებმა მათ მოქალაქე სპეციალისტებს კრიზისის დაწყებისთანავე დაუყოვნებლივ დაატოვებინეს ქვეყანა. ადგილობრივ პერსონალს კი სათანადო ნოუ-ჰაუ არ აქვთ, შესაბამისად რესურსების მოპოვება და ევროპისთვის მიწოდება შეწყდა. შედეგად, მსოფლიო ფასი ბარელ ნავთობზე 12%-ით გაიზარდა და 108 დოლარს მიაღწია, რაც 2008 წლის შემდეგ უმაღლესი მაჩვენებელია. [1]



ფოტო: ნსკ/ს. ლუკი / REUTERS

ბავშვები კაიროს ქუჩაში



არაბული სამყარო

# მდიდრების ტიხიან (ახაბუდი ვეხსია)

გენერალ მუამარ კადაფის ფავორიტი აქლემის საკვების ფასად ლიბიის ერთი სოფლის მოსახლეობის დაპყრება შეიძლება. არაბულ სამყაროში სიმდიდრის არათანაბარმა გადანაწილებამ ნახევარი მსოფლიო კრიზისში გახვია.

დიანა ჩაჩუა

ტუნისელ მოჰამედ ალ ბუაზიზის თავი იმიტომ არ დაუნვაავს, რომ ბლოგერობა, ხმის მიცემის უფლების ან თავისუფალი მედიის მოპოვება სურდა. არაბულ სამყაროში თავს შიმშილით და სიღატაკით სასონარკვეთილი ადამიანები იწვევენ.

არაბულ რევოლუციებს გადამწყვეტი ბიძგი სწორედ აუტანელმა სიღატაკემ და ღარიბებსა და მდიდრებს შორის უკიდურესმა უთანასწორობამ მისცა.

42 წლის აბდელ აჰმანმა ოჯახის შიმშილისგან გადასარჩენად ყველაფერი გაყიდა, რაც გააჩნდა. როდესაც აღარაფერი დარჩა, საკუთარი თირკმელი გაიმეტა.

კაიროს ჩაიხანებში და ღარიბი უბნების ქუჩებში თირკმლის ფასი ყველამ იცის – მასში 2 ათასამდე დოლარს იხდიან. ეს ხშირად გამხდარა ეგვიპტელებისთვის ვალის გასტუმრების და უკიდურესი სიღატაკისგან თავის დაღწევის სწრაფი გზა.

კაიროში 50 სასაფლაოა. ის მილიონობით ეგვიპტელისთვის საცხოვრებელი ადგილიც არის. ეს ადამიანები ჭირისუფლების შემონირობებითა და საფლავებზე დატოვებული საკვებით საზრდოობენ.

სასაფლაოების გასწვრივ მდიდარმა

ეგვიპტელებმა ფეშენებელური სახლების, კერძო სკოლების და ექსკლუზიური კლუბების პარალელური სამყარო შექმნეს.

„წარმოგიდგენიათ, ერთ მდიდარ ადამიანზე ეგვიპტეში 99 ლატაკი მოდის. ჩვენთან საშუალო კლასი არ არსებობს“, – ამბობს 37 წლის საიდ ალი, რომელიც 15 წელია, სასაფლაოს მახლობლად ქოხმასში ცხოვრობს.

მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, 16 მილიონი ეგვიპტელი ხელით აშენებულ ქოხებში ცხოვრობს. ეს კაიროს მთლიან მოსახლეობას უდრის.

„თაჰირზე არ წავსულვარ. მე მეუღლეს, შვილს და დედას ვარჩენ. დემონსტრაციებზე რომ გავიდე, მათ ვინ არჩენს?!“ – ამბობს 27 წლის ნასერ ალ-საიდი, რომელიც გზის პირას ჩაის ყიდის. ალ-საიდი, ისევე როგორც მილიონობით ეგვიპტელი, დღეში 2 დოლარზე ნაკლებს შოულობს.

ალია ქოთბი და მისი მეუღლე აჰმედ გაბალაჰი 30 წელია კაიროს გარეუბანში გასული საუკუნის 20-იან წლებში აშენებული შენობის სახურავზე ცხოვრობენ. ალია ამავე შენობის სარდაფში დაიბადა. დაქორწინების შემდეგ „სახლი“ საკუთარი ხელით აიშენეს.

„წვიმა, სიცხე, ქვეწარმავლები – აქ



ჰოსნი მუბარაკი

ცხოვრება საშინელებაა. ტუალეტი არ გვაქვს. მეორე სართულზე სხვების ტუალეტს ვიყენებთ. თქვენ იცოდით, რომ კაიროში უამრავი ისეთი ადამიანია, რომელსაც პურის ფული არ აქვს?!“ – ამბობს 60 წლის აჰმედი.

ბოლო წლებში პურის რიგში რამდენიმე ათეული ადამიანი დაიღუპა. სუბსიდირებული ერთცენტიანი პურის საყიდლად, რომელიც შეზღუდული რაოდენობით იყიდება, ეგვიპტელები საათობით დგანან.

30 წლის თაიები ოჯახში ფულის ერთადერთი შემომტანია – ბაზარში მტვირთავად მუშაობისთვის დღეში 1,5 დოლარს იღებს. ასეთ პირობებში ის, ისევე, როგორც მილიონობით სხვა ეგვიპტელი ახალგაზრდა, საკუთარი ქორწინების პერსპექტივას პესიმისტურად უყურებს.

კაიროში ფართომასშტაბიანი გამოსვლების დაწყებამდე სამი დღით ადრე, ნილოსის დელტაზე მდებარე სოფელში მშობლები 32 წლის ვაჟს გლოვობდნენ. სილატაკით და უმუშევრობით სასონარკვეთილმა ხუთი შვილის მამამ – სამირ ასარმა თავი ჩამოიხრჩო.

მომდევნო დღეებში ეგვიპტური გაზეთები მსგავსი თვითმკვლელობების მთელ სერიას აშუქებდნენ: 32 წლის მამაკაცი, ხუთი შვილის მამა, რომელიც თვეში 50 დოლარს შოულობდა, შენობიდან გადახტა. 31 წლის აჰმედი, რომელსაც ფინანსური სიდუხჭირის გამო საცოლის ოჯახი ქორწინების გაუქმებით ეშუქებოდა, თავი ჩამოიხრჩო.

ბოლო ათწლეულში ეგვიპტეში თვითმკვლელობების რიცხვი საკვებზე ფასის მატების პარალელურად იზრდება. კაიროს ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორის ამდიჰა ელ-საფტის თქმით, სიღარიბესთან დაკავშირებული თვითმკვლელობები ჯერ ტენდენციად არ ქცეულა, თუმცა ბოლოდროინდელი სტატისტიკა საგანგაშოა.

კაიროს ღარიბი უბნების ყველა ქოხის შესასვლელთან სასმელი წყლის ჭურჭელი დგას. წყალს ნილოსიდან ეზიდებიან. დაბინძურებული წყლის

და საცხოვრებელი პირობების გამო ბაქტერიების გავრცელებამ ეგვიპტის მუფტს სკანდალური გადაწყვეტილების მიღებისკენ უბიძგა: ეგვიპტელებს დღიურად მცირე დოზით ალკოჰოლის მიღების ნება დართო.

„ყურანის თანახმად, ალკოჰოლის მიღება აკრძალულია, თუმცა ხელი-სუფლებას ურჩევნია ვისკის დალევის უფლება გასცეს, ვიდრე ბაქტერიების-

გან მონამლულ ამ ადამიანებს საავადმყოფოებში უმკურნალოს,“ – განმარტავს არაბული ქვეყნების მკვლევარი მორდაკაი კედარი.

მუჰამადი 9 წლის არის, თუმცა თავისზე ორჯერ დიდი ასაკისას ჰგავს. „სკოლაში არასოდეს მივლია. ქუჩაში ვცხოვრობ, ხანდახან ქუჩაში მძინავს. საქმლის ფულს სხვანაირად ვერ ვშოულობ“, – ამბობს მუჰამადი და

**■ სანამ არაბული სამყაროს ღარიბი ნაწილი დღიური 2 დოლარის შოვნაზე ფიქრში ატარებს ღამეებს, პრობლემები მდიდრებსაც გაუჩნდათ. ჰოსნი მუბარაკის, ბენ ალის და ახლა უკვე მუამარ კადაფის ბედს აღარავინ შენატრის.**



ფოტო: ტარაკ მონტავა / REUTERS



მანქანის შუშების წმენდას უბრუნდება. თუ მანქანა არ ჩანს, თავს მათხოვრობით იჩენს.

2000 წლიდან დღემდე ეგვიპტეში ლატაკი ბავშვების რიცხვმა დაახლოებით 1,3 მილიონით იმატა. ოთხი ეგვიპტელი ბავშვიდან ერთი სილატაკეში და სახლ-კარის გარეშე იზრდება. გაეროს ბავშვთა ფონდის მოხსენების თანახმად, 15 წლამდე ეგვიპტელების 23 პროცენტი სილატაკეში ცხოვრობს, თავშესაფარი არ გააჩნია და ეს რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება.

ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის ორ მილიარდერ ვაჟს პარალელური სამყაროს – ლატაკი ეგვიპტის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. მათ ეგვიპტე მხოლოდ ლიმუზინის ფანჯრებს მიღმა

უნახავთ.

თანამდებობიდან წასვლის შემდეგ საზოგადოება ჰოსნი მუბარაქის ოჯახის ქონების დათვლას შეუდგა. სიმდიდრემ დაახლოებით 50-70 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს თანხა ეგვიპტის 32 მილიარდიანი საგარეო ვალის დასაფარად სრულიად საკმარისი იქნებოდა.

მუბარაქის ქონებასთან შედარებით, მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანებიც კი იჩრდილებიან: 2010 წელს ბილ გეთსს – 54 მილიარდი, უორენ ბაფეტს კი 47 მილიარდი დოლარი ერიცხებოდა.

IHS Global Insight-ის მოხსენების თანახმად, ხელგაშლილი ცხოვრების მოყვარულ მუბარაქს უძრავი ქონება აქვს ლონდონში, პარიზში, მადრიდში, დუბაიში, ვაშინგტონში, ნიუ-იორკსა და ფრანკფურტში. ამას გარდა, ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტს საკუთარ ქვეყანაში რამდენიმე რეზიდენცია ეკუთვნის, რომელიც მან წინა პრეზიდენტებისგან და მონარქებისგან მემკვიდრეობით მიიღო.

მუბარაქის ოჯახის და გარემოცვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს უცხოური კერძო ბიზნესებიდან „შემონირულობები“ წარმოადგენდა. უცხოურ კომპანიებს სახელისუფლებო ელიტისთვის ეგვიპტეში ბიზნესის სანარმოებლად ხარკის სახით 20 პროცენტის ნილი უნდა მიეცათ.

ამასთან, მუბარაქს და მის ოჯახს მსხვილი სანარმოების წლიური მოგების ნახევარი ერგებოდათ შემდეგი კომპანიებიდან: Marlboro, Hermes, Mcdonnlds, Skoda, Vodafone და სხვა.

მუბარაქის უმცროსი შვილის – გამალის მეგობარი აჰმედ ეზი ეგვიპტეში პოლიტიკური კორუფციის სიმბოლო იყო. ხელისუფლებასთან კავშირების წყალობით ის ფოლადის სექტორის მონოპოლისტად იქცა. ეზის სამშენებლო ფასებით მანიპულირება, საჯარო ფონდების გაფლანგვა და ეროვნული დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის ძალადობრივი ღონისძიებების ორგანიზება ედება ბრალად.

არაბი პრეზიდენტების მიერ სიმდიდრის უკანონოდ მითვისებაზე ლეგენდები დადის. მაგალითად, ამბობენ, რომ ტუნისიდან გაძევების შემდეგ ბენ ალიმ სახელმწიფო საცავებიდან 3 მილიარდი ფუნტი სტერლინგის ოდენობის ოქრო მოიპარა. WikiLeaks-ის ერთ-ერთ პირველ დიპლომატიურ არხში სუდანის პრეზიდენტზე ომარ ალ-აბშირზე იყო საუბარი, რომელმაც ქვეყანაში ნავთობის ბუმის პერიოდში 9 მილიარდი დოლარი მიითვისა.

Forbes Arabia-ს გამოთვლით, მსოფლიოში 34 არაბი მილიარდელია, რომელთა სიმდიდრე 115,8 მილიარდ დოლარს შეადგენს.

სწორედ მდიდრების მუდმივმა გამდიდრებამ და ღარიბი მოსახლეობის ზრდამ გამოიწვია არაბულ სამყაროში კრიზისული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მომავალ ორ ათწლეულში არაბული სამყაროს მოსახლეობა კიდევ 40 პროცენტით გაიზრდება, რაც დამატებით 150 მილიონ ადამიანს – ორ ეგვიპტეს უდრის. არაბულ ქვეყნებს უკვე აქვთ მსოფლიოში ახალგაზრდების უმუშევრობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. ეს ეგვიპტის, ტუნისის და ლიბიის ტრანზიციის პროცესს კიდევ უფრო გაართულებს.

სანამ არაბული სამყაროს ღარიბი ნაწილი დღიური 2 დოლარის შოვნაზე ფიქრში ატარებს ღამეებს, პრობლემები მდიდრებსაც გაუჩნდათ. ჰოსნი მუბარაქის, ბენ ალის და ახლა უკვე მუამარ კადაფის ბედს აღარავინ შენატრის. კორუმპირებული დიქტატორების მთავარი საზრუნავი ახლა ის გახდა, როგორ არ გაიზიარონ მათი თანაგუნდელების ხვედრი. არაბული ქვეყნების ახალ მმართველებს აღარ აქვთ ფუფუნება, საკუთარ ქვეყნებს მხოლოდ მოოქროვილი სასახლეების სარკმლებიდან უმზირონ. პარალელური სამყაროები გადაიკვეთა – მდიდარ ჩინოვნიკებს დიდხანს ემასსოვრებათ მილიონობით ლატაკის ხმა, რომელიც არაბული ქვეყნების ათეულობით ქალაქში ერთდროულად მოითხოვდა დაუყოვნებლივ ცვლილებებს. □



კაიროში ძალიან ბევრი ოჯახი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს

აფხაზეთი

# აფხაზეთში დემოკრატიის თავისებურებანი

ბალაფში, რომლის დროსაც აფხაზეთი ომის ნანგრევებიდან გამოვიდა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარეს, დღითიდღე კარგავს პოპულარობას.

ანტონ კრივენიუკი, სოხუმი

სოხუმში გამაღებული მშენებლობა – გზებზე ახალი საფარი და ძვირადღირებული ავტომობილები; სახლებში – რემონტი და ახალი ავეჯი. დღევანდელი აფხაზეთი ვერ შეედრება ბლოკადისა და ნგრევის იმ პერიოდს, როცა ხალხს სალამოობით გაუნათებელ ქუჩებში გასვლის ეშინოდა, სახლებში სახურავიდან წყალი ჟონავდა, გზები დანგრეული იყო და ლუკმა-პურის შოვნა მხოლოდ რუსეთის საზღვარზე მანდარინების გაყიდვით იყო შესაძლებელი. აფხაზეთში ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა.

ცვლილებები 2005 წელს დაიწყო, ანუ მაშინ, როცა ხელისუფლების სათავეში პრეზიდენტი სერგეი ბალაფში მოვიდა.

წესით, საზოგადოებამ საკუთარი მსხელი უნდა გააღმერთოს, რადგან თანდათანობით ნანგრევებად ქცეული აფხაზეთი საბჭოთა დროინდელ კოხტა იერსახეს იბრუნებს. თუმცა, მიუხედავად ბალაფშის თვალსაჩინო წარმატებებისა, მოსახლეობის თვალში მისი პოპულარობა საგანგაშო ტემპით კლებულობს.

ცოტა ხნის წინ 500-მდე ადამიანი გუდაუთაში, კულტურის სახლში შეიკრიბა და პრეზიდენტი მკაცრად გააკრიტიკა. მათი უმრავლესობა საქართველო-აფხაზეთის ომის ვეტერანი იყო. მათი მრისხანება ბალაფშის მიერ რუსული მედიისთვის მიცემულმა ინტერვიუმ გამოიწვია, სადაც პრეზიდენტმა აღნიშნა: „ვერაინ მაიძულებს მოსკოვი ჩემს დედაქალაქად არ ვაღიარო. მოსკოვი – ეს ჩვენი დედაქალაქია“. აფხაზეთში მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები ფიქრობენ, რომ მათი დედაქალაქი რუსეთშია.

ეს ბალაფშის მიერ გაკეთებული პირვე-

ლი საეჭვო და გაურკვეველი განცხადება როდია. მან მეორე საპრეზიდენტო ვადაში სკანდალების რაოდენობით ყველა რეკორდი მოხსნა.

აფხაზეთის პრეზიდენტი საბჭოთა სამეურნეო ნომენკლატურის კლასიკური წარმომადგენელია. საჯარო პოლიტიკაში მოიკოჭლებს, თუმცა კულისებს მიღმა თამაშებში შესაშური ინტუიცია აქვს.

■ ბალაფშს, დიდი ხანია, აღარ ახსოვს აფხაზეთი რეალობის დეტალები. მას გაუჩნდა „წესრიგის დამყარების“ და „ძლიერი ხელის“ დემონსტრირების სურვილი. იგი ამბობს: „მე მივიღე გადაწყვეტილება“ ისე, რომ ხალხის აზრს არ კითხულობს.

იგი საკმაოდ ცბიერია და ძალაუფლების ოლიმპოზე პოზიციების გამყარება კარგად შეძლო. იგი არც რეფორმატორია და არც რევოლუციონერი. მას კორუფციასთან ბრძოლის და „ახალი ქვეყნის“ მშენებლობის არც ძალა ჰქონდა და არც სურვილი. იგი სხვა გზით წავიდა. თუ პირველი პრეზიდენტის – ვლადისლავ არძინბას – დროს მთელი ეკონომიკა ერთ კლანს ეკუთვნოდა, ბალაფშმა ამ სფეროში კონკურენტული გარემო შექმნა. საბიუჯეტო სახსრები და სამეურ-

ნეო კომპლექსი ასობით ჩინოვნიკისა და მმართველისათვის გახდა ხელმისაწვდომი. ბევრი მათგანი პრეზიდენტზე და ქვეყნის სხვა პირველ პირებზე გაცილებით მდიდარია. რესპუბლიკაში შენდება გზები, სახლები და სასტუმროები. იქმნება ახალი ერთობლივი და ინდივიდუალური სანარმოები, შემოდის ინვესტიციები. ამ ყველაფერს მართვა სჭირდება. „სახალხო მეურნეობის“ მმართველებად საკუთარი ნათესავების დანიშვნის ნაცვლად, ბალაფშმა ეს თანამდებობები „საჭირო ხალხს“ დაურიგა – მათ, ვისაც აფხაზეთში გავლენა ჰქონდა. შედეგად, ბალაფშმა გონივრულად გათვალა ელიტის ერთგულება და 2009-2010 წლების მიჯნაზე ამ ელიტის დახმარებით საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა.

თუმცა კულუარული თამაშებით გართულმა და შიდაპოლიტიკურ პროცესებში რუსეთის როლის გადაჭარბებით შემფასებელმა პრეზიდენტმა საზოგადოებასთან კავშირი დაკარგა, და, რაც მთავარია, აფხაზეთი დემოკრატიის ზოგიერთი ნიუანსი დაივიწყა.

პირველი: „აფხაზეთი დემოკრატია“, რომელსაც ევროპელი ექსპერტები და ჟურნალისტები ხშირად ხოტბას ასხამენ, სინამდვილეში საერთო არაფერი აქვს დემოკრატიის ევროპულ გაგებასთან. ეს კავკასიური დემოკრატიის თავისებური ფორმაა, რომელიც აფხაზეთი საზოგადოების მცირერიცხოვნობას ეფუძნება. როგორც ადრე, დღესაც სოციალურ კომუნიკაციაში ძირითად როლს მჭიდრო ნათესაური, ოჯახური და რეგიონული კავშირები ასრულებს. პოლიტიკოსებს (მცირე გამონაკლისის გარდა) აფხაზეთ-

ში დევნის არ ეშინიათ. თუმცა, ნამდვილი დემოკრატიებისგან განსხვავებით, აქ პოლიტიკოსს არა კანონი და უფლებები, არამედ საზოგადოების სავსებით კონკრეტული ნაწილი იცავს. სწორედ ამიტომ სახელმწიფო რეპრესიულ მანქანად ვერ გარდაიქმნა.

ამ მჭიდრო საზოგადოებრივი კავშირების თავისებურება ისიცაა, რომ იგი პოლიტიკური ველის რადიკალიზაციას უშლის ხელს. 2004 წელს, როცა ოპოზიციამ ბალაფშის ხელმძღვანელობით პირველი

ში ნებისმიერი რესურსი აბსტრაქტული „ჩვენი მინა“, პატარა საზოგადოებაში მინის ყოველი გოჯი ლამის „საკუთარია“. შესაბამისად, აფხაზურ საზოგადოებას ახალი სამუშაო ადგილებისა და ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზოგადი დაპირებები არ ჰყოფნის. საზოგადოებას სურს იცოდეს, ინვესტიციებისგან რა კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ ის ადამიანები, ვინც უშუალოდ უცხოური კაპიტალ-დაბანდების ტერიტორიაზე ცხოვრობს.

ნიუანსი მესამე: პატარა ქვეყანაში,

300-ათასიან აფხაზეთში ხელისუფლებას თავის ხალხთან რეალური პირდაპირი დიალოგის წარმართვა შეუძლია.

და ბოლოს, ნიუანსი მეოთხე: აფხაზეთი საკუთარი ისტორიის მანძილზე ყველაზე უნიკალურ ექსპერიმენტს გადის, როცა ქვეყანა საკუთარ თავს ეკუთვნის, და არა რუსეთს, საქართველოს, თურქეთს... შესაბამისად, საზოგადოებას ძველ დროში „არდაბრუნების“ კომპლექსი აქვს, იმ დროში, როცა ტერიტორია უფრო ძლიერი მეზობლების კოლონია იყო. ამიტომ აქ დიდი და პატარა ხელისუფლების საგარეო და ეკონომიკურ პოლიტიკაზე ძალიან მკვეთრად რეაგირებს.

ბალაფშს დიდი ხანია, აღარ ახსოვს აფხაზური რეალობის ეს სპეციფიკური დეტალები. მას ერთბაშად გაუჩნდა „ნესრიგის დამყარების“ და „ძლიერი ხელის“ დემონსტრირების სურვილი. იგი, ხალხთან ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე, აფხაზეთისგან ნავთობმომპოვებელ ქვეყანას ქმნის, რუსეთს აგარაკებს ჩუქნის, რუსეთის ბანკებთან დადებული კონტრაქტის პირობებს არ ამხელს. იგი ამბობს: „მე მივიღე გადაწყვეტილება“ ისე, რომ ხალხის აზრს არ კითხულობს. და ბოლოს, მან გადაწყვიტა, რომ აფხაზეთისთვის ყველაზე კარგი მომავალი – ეს საბჭოთა წარსულია.

სწორედ ეს არის ქვეყანაში დაუსრულებელი პოლიტიკური კრიზისის მიზეზი. აფხაზური საზოგადოება მზად არ არის, მმართველობის ის სტილი მიიღოს, რომელსაც დღეს რუსეთი დაუბრუნდა. საბჭოთა დროში დაბრუნება აქ არავის სურს. ხშირად გვახსენებენ და ყველას გვახსოვს, რომ აფხაზეთი საბჭოთა დროს კარგად ცხოვრობდა. თუმცა ისიც არავის დავინწყებია, რომ მაშინ, აფხაზეთი აფხაზეთი არ იყო. ■



ფოტო: ირინა პაინიანი

სოხუმი

პრეზიდენტის მემკვიდრედ დასახლებულ რაულ ხაჯიმბას არჩევნები მოუგო, სისტემამ სამოქალაქო ომის თავიდან აცილება შეძლო. მართლაც, ნათესაებისა და ახლობლების ციციქნა ქვეყანაში საკუთარი ძმის წინააღმდეგ სროლას ვერაფერს გაბედავს.

ნიუანსი მეორე: ისეთ პატარა საზოგადოებაში, როგორც აფხაზეთშია, რესურსებისადმი – მინისა და საკუთრებისადმი – დამოკიდებულება მნიშვნელოვნად განსხვავებულია. თუ დიდ საზოგადოება-

პრაქტიკულად, ყველა მსურველს პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია და ხშირად ასეც ხდება. შესაბამისად, საზოგადოების პოლიტიკაში მონაწილეობა წარმომადგენლობითი ინსტიტუტებით – როგორცაა პარლამენტი და საზოგადოებრივი პალატა – არ შემოიფარგლება. მით უმეტეს, რომ ეს ინსტიტუტები კონსტიტუტურაზე მეტისმეტად არის დამოკიდებული და ამომრჩევლების ეფექტური წარმომადგენლობით ვერ დაიკვეხნის.



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამომხატავს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.



# ვეუშაობთ საქართველოსთან იმისათვის, რომ ვინცოდით ჰხოვხასი

ინტერვიუ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან,  
ჯეიმს სტაინბერგთან

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯეიმს სტაინბერგი და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ფილიპ გორდონი თბილისში ერეგნიდან რამდენიმე საათით ჩამოფრინდნენ. 24 თებერვალს, დილით ისინი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და სახალხო დამცველს ესაუბრნენ, შემდეგ საქართველოს პრეზიდენტსა და ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელთან გამართეს შეხვედრა და დღის 3 საათზე თბილისიდან ბაქოში გაემგზავრნენ.

თბილისში ვიზიტის ფარგლებში ამერიკის საგარეო უწყების მაღალჩინოსნებმა 20 წუთი დაუთმეს მედიასთან საუბარს. ამერიკის საელჩოს გადანყვეტილებით, შეხვედრაზე ჯეიმს სტაინბერგთან და ფილიპ გორდონთან ჟურნალები „ლიბერალი“ და „ტაბულა“ მიიწვიეს.



ფოტო: ლუკას ნაჩაშვილი

**რა არის თბილისში თქვენი ვიზიტის მიზანი?**

ამ ვიზიტის ფარგლებში ვხვდები პრეზიდენტს და მის გუნდს. ასევე, შევხვდი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, რადგან ეს ჩვენი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია. განსახილველ საკითხთა შორისაა ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, რეფორმები, ახალი კონსტიტუცია. მსურს, მაღლიერება გამოვხატო საქართველოს მიმართ ავლანეთის საკითხზე თანამშრომლობის გამო – მიმაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ვისაუბრებთ ორმხრივ თანამშრომლობაზე, რეგიონულ პრობლემებზე. აქ სომხეთიდან ჩამოვედი და შემდეგ აზერბაიჯანში მივდივარ. ჩვენ სახელმწიფო მოხელეების აზრს მოვისმენთ, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, მოვისმინოთ სამოქალაქო საზოგადოებისა და პროფესიული

აღიარებს საყოველთაო ღირებულებებს. ჩვენ ძალიან ბევრს ვმუშაობთ საქართველოსთან იმისათვის, რომ ვიხილოთ პროგრესი, რომელიც რიგ საკითხებში უკვე არის. თუმცა, რჩება სფეროები, სადაც შესაძლებელია უფრო მეტის გაკეთება და სწორედ ამ საკითხებზეც ვსაუბრობთ ამ ვიზიტის ფარგლებში. ვაფასებთ იმ ნაბიჯებს, რაც საკონსტიტუციო რეფორმის კუთხით გადაიდგა. ვიცით, რომ ბევრია გასაკეთებელი საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმისთვის. განვიხილავთ გზებს, რომ სამოქალაქო საზოგადოება და მედია გააქტიურდეს. მნიშვნელოვან საკითხთა შორისაა უმცირესობათა და შრომითი უფლებების პატივისცემა.

დემოკრატიას მუდმივი მუშაობა სჭირდება. პრეზიდენტ ობამას უყვარს ხოლმე თქმა, ამერიკული დემოკრატია კი სამუშაო პროცესიაო.

მოვლენების განვითარებას და ვიმარჩილოთ. ჩვენ პროცესის პოზიტიურ განვითარებას დავუჭერთ მხარს. დავეხმარებით რეგიონის მოსახლეობას თავის ლეგიტიმურ მიზანს მიაღწიოს, ისევე, როგორც ქართველ ხალხს ვეხმარებით. ადამიანები თავად უნდა ირჩევიდნენ ხელისუფლებას, წყვეტდნენ თავიანთ ბედს, ვითარდებოდნენ ეკონომიკურად, თავისუფლად გამოხატავდნენ აზრს, იკრიბებოდნენ და ახორციელებდნენ ყველა სხვა საყოველთაო უფლებას.

ამისთვის ვაპირებთ ამ რეგიონის ხალხთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მთავრობასთან მუშაობას. ვფიქრობ, ეს ყველას ინტერესებშია. ჩვენ გვჯერა, რომ გახსნილობის, დემოკრატიზაციის, უფლებების პატივისცემის პირობებში არა მხოლოდ კონკრეტული საზოგადოება, არამედ მთელი რეგიონი იხიერებს – უფრო

**შეერთებული შტატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ჰყავდეს ისეთი პარტნიორი, რომელიც პატივს სცემს ადამიანებს, მათ უფლებებს, აღიარებს საყოველთაო ღირებულებებს.**

კავშირის წარმომადგენლების მოსაზრებებიც იმაზე, თუ რა ხდება აქ, როგორ შეიძლება აშშ საქართველოსთვის უფრო კარგი პარტნიორი გახდეს.

**რამდენად განსაზღვრავს ორმხრივ პარტნიორობას საქართველოში დემოკრატიზაციის ხარისხი? იქნებოდა თუ არა საქართველო მიმზიდველი მოკავშირე დემოკრატიის გარეშე?**

უდავოდ, საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი მისი დემოკრატიისადმი ერთგულებაა. შეერთებული შტატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ჰყავდეს ისეთი პარტნიორი, რომელიც პატივს სცემს ადამიანებს, მათ უფლებებს,

**ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით აზრი ორად გაიყო. ამ ქვეყნების მომავალს ზოგი იმედის თვალთ უყურებს და მიიჩნევს, რომ დემოკრატიზაციის პროცესი დაიწყო. სხვები კი შიშობენ, რომ რევოლუციურმა ტალღამ შესაძლოა, რეგიონში ისედაც მყიფე მშვიდობა დააზარალოს. მაგალითისთვის, რამდენიმე დღის წინ, ეკვიპტემ 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ პირველად, გაატარა ირანული გემები სუეცის არხში. რა სტრატეგია აქვს შეერთებული შტატების ხელისუფლებას მდგომარეობის გართულების თავიდან ასაცილებლად?**

ვფიქრობ, ახალი დასაწყისის მომხსრენი ვართ. ჩვენ არ ვაპირებთ, მაყურებლის სკამიდან ვუცქიროთ

მყარ სტაბილურობას მიაღწევს. ჩვენ გვჯერა, რომ დემოკრატიულ, ლეგიტიმურ ხელისუფლებას უფრო შესწევს უნარი, პრობლემები მშვიდობიანი გზით გადაჭრას, ის უფრო შემწყნარებელი და გახსნილი იქნება. რასაკვირველია, იმის ილუზია არ გვაქვს, რომ დემოკრატიული გარდაქმნა იოლია და ვიცით, რომ მოვლენები შესაძლოა, ცუდად განვითარდეს. ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ პროცესზე კონტროლი ექსტრემისტებმა არ დაამყარონ, ან სათავეში კიდევ უფრო ავტორიტარული ძალები არ მოვიდნენ. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ ყველაფერს გვაკეთებთ შესაძლებლობის ფარგლებში და დავეხმარებით იმ მოთამაშეებს,

ვისაც ამ ქვეყნებისთვის უკეთესი მომავალი სურს.

**Ⓜ ბოლო სამი წელია, დასავლურმა მთავრობებმა, მათ შორის აშშ-ის ხელისუფლებამ, ავტორიტარულ რეჟიმებთან ურთიერთობის გადატვირთვა დაიწყო. ისმის კრიტიკა, რომ თავისუფლების თემა ნაკლებად აქტუალურია. მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, ამ პოლიტიკის გადახედვა ხომ არ იგეგმება?**

ვფიქრობ, ჩვენმა ხელისუფლებამ, პრეზიდენტმა და სახელმწიფო მდივანმა ნათლად განმარტეს, როგორ უდგებიან ამ საკითხს. მათ ასხნეს, რა მნიშვნელობას ვანიჭებთ დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს. ამავდროულად, აღნიშნეს, რომ ამ ყველაფრის გარედან თავს მოხვევა შეუძლებელია. აშშ-მ უნდა იმეგო-

ქართველებს, პირველ რიგში, აშშ-რუსეთის „გადატვირთვის“ პოლიტიკა გვახსენდება. რამდენად სწორი იქნება ვივარაუდოთ, რომ აშშ-სთვის გარკვეულ რეგიონებში სტაბილურობის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დემოკრატიის მხარდაჭერა?

ვფიქრობ, ჩვენ ნათლად აღვწერეთ რუსეთთან ურთიერთობის გადატვირთვის ხასიათი. გვჯერა, რომ რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორება შესაძლებელია, ჩვენ საერთო ინტერესები გვაქვს – იქნება ეს ავღანეთი, თუ ბირთვული იარაღის შემცირება. ამ საკითხებში მნიშვნელოვან პროგრესს მივალნიეთ. თუმცა, ეს იმად არ დაგვჯდომია, რომ უარი გვეთქვა, გამოგვეხატა ჩვენი შეშფოთება ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებებთან და სასამართლო პროცედურებთან

საც? ანუ, საქართველომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა აღადგინოს ისე, რომ ყველა საკითხი ოკუპაციას არ დაუკავშიროს?

მე ვფიქრობ, საქართველოსა და რუსეთს შორის უნდა არსებობდეს დიალოგი. მათ უნდა ეძიონ ისეთი სფეროები, სადაც ერთად მუშაობა შეუძლიათ. რა თქმა უნდა, საქართველო შეინარჩუნებს მყარ პოზიციას საკუთარ სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე. მაგრამ, ვფიქრობ, საქართველო პრაგმატულად უნდა მიუდგეს რუსეთთან ურთიერთობას, ვგულისხმობ ეკონომიკური კავშირების გაუმჯობესებას, ერთობლივ მუშაობას ისეთ თემებზე, რომელთა მოგვარებაც შესაძლებელია. მაგალითად, ასეთი საკითხია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში

**■ საქართველოსა და რუსეთს შორის უნდა არსებობდეს დიალოგი. მათ უნდა ეძიონ ისეთი სფეროები, სადაც ერთად მუშაობა შეუძლიათ. საქართველო პრაგმატულად უნდა მიუდგეს რუსეთთან ურთიერთობას.**

ბროს მათთან, ვინც ამ საზოგადოებების დემოკრატიზაციას ცდილობს.

ტუნისის მოვლენების დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე, სახელმწიფო მდივანი სიტყვით გამოვიდა დოჰაში, და აღნიშნა, რამხელა მნიშვნელობას ვანიჭებთ რეფორმას. მან გააფრთხილა რეგიონის მთავრობები, უმოქმედობის შემთხვევაში, იმ ცვლილებათა შესახებ, რის მომსწრენიც ახლა ვართ. პრეზიდენტმა იგივე განაცხადა კაიროში და გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნლიდან გასულ სექტემბერს. ასე რომ, ვფიქრობ, ჩვენი პოზიცია ცხადია – გვსურს, განვაგრძოთ იმ ადამიანებთან მუშაობა, რომლებსაც დემოკრატიული ცვლილებების თავიანთ საზოგადოებებში განხორციელება სურს.

**■ როდესაც ავტორიტარულ რეჟიმებთან ურთიერთობაზე ვსაუბრობთ,**

დაკავშირებით. აზრი გამოვთქვით ბ-ნი ხოდორკოვსკის სასამართლო პროცესის, რუსეთში ჟურნალისტების მდგომარეობის, ბ-ნი ნემცოვის დაკავების ფაქტის შესახებ.

გადატვირთვის არსი ისაა, რომ ყველაფერი ერთმანეთს არ უნდა დავუკავშიროთ. უარი არ უნდა ვთქვათ საერთო ინტერესებზე იქ, სადაც ეს ინტერესები აშკარაა. ამავდროულად, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევალამაზოთ და არ უნდა უგულებელვყოთ განსხვავებები. ამის ყველაზე ცხადი მაგალითი თქვენ ხართ. ჩვენ ძალიან ნათლად გამოუხატავეთ რუსეთისგან განსხვავებულ აზრს საქართველოსთან დაკავშირებით.

**■ თქვენ ამბობთ, რომ რუსეთთან ურთიერთობისას ყველაფერი ერთმანეთს არ უნდა დავუკავშიროთ. ასეთ რეკომენდაციას აძლევთ საქართველო-**

რუსეთის წევრობა. ეს საქართველომ ვინმეს ხათრით კი არ უნდა გააკეთოს, არამედ მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

**■ რაც შეეხება საქართველოს საგარეო პოლიტიკას – მაშინ, როდესაც შეერთებული შტატები მსოფლიოს ირანზე ემბარგოსკენ მოუწოდებს, საქართველო ირანის მთავრობას გამარტივებულ სავიზო რეჟიმზე და ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებაზე ესაუბრება. როგორ ეგუებით ასეთ განსხვავებას პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკურ კურსებს შორის? არის, ან უნდა იყოს თუ არა, სტრატეგიულ პარტნიორებს შორის კოორდინაცია საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით?**

რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანია საკითხია ჩვენთვის. მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ირანის ბირჟუ-



ლი პროგრამა რისკს მთელი რეგიონისთვის შეიცავს. ის ხელს უწყობს რეგიონის არასტაბილურობას და აზარალებს როგორც საქართველოს, ისე – მის მეზობლებს. საქართველოს, როგორც დემოკრატიისა და უფლებების დამცველ საზოგადოებას, უნდა ანუხებდეს ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის ფაქტები ირანში. ამაზე ყველამ ხმა უნდა ავიმაღლოთ. გვესმის, რომ საქართველო ირანის მეზობელი ქვეყანაა. ბუნებრივია, ჩვენი მიზანი არ არის ირანელ ხალხს ზიანი მივაყენოთ, არავითარ შემთხვევაში. პირიქით, ჩვენ სწორედ ის გვანუხებს, რომ ირანის ხელისუფლება ირანელ ხალხს ასე ცუდად ექცევა. ამდენად, თუ საქართველო ხალხთა შორის კონტაქტს ხელს შეუწყობს, ეს მისაღებია. მაგრამ ვფიქრობთ, საქართველო ფხიზლად

უნდა იყოს იმ საფრთხის მიმართ, რომ ირანმა ამ ურთიერთობებით არ ისარგებლოს და საქართველო ტრანზიტად არ გამოიყენოს ბირთვული პროგრამისთვის საჭირო მასალის და ტექნოლოგიების უკანონო შესყიდვებისთვის. ამ ურთიერთობებმა ირანის ხელისუფლებას არ უნდა მისცეს საფუძველი ჩათვალოს, რომ შეუძლია იმ საქმიანობის გაგრძელება, რასაც მთელი საერთაშორისო საზოგადოება, მათ შორის შეერთებული შტატები, გმობს. ირანი გამუდმებით არღვევს გაეროს უშიშროების საბჭოს და ევროკავშირის რეზოლუციებს ბირთვულ პროგრამასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. ასე რომ, საქართველოს ხელისუფლებასთან ძალიან მნიშვნელოვანი დიალოგი გვაქვს, რათა ის ფხიზლად მოეკიდოს ირანთან ურთიერთობას.

**📌 როგორ შეაფასებდით საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას ერთიანი კავკასიის შესახებ, რაც ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებლებისთვის საქართველოსთან უვიზო მიმოსვლას გულისხმობს?**

(პასუხობს ფილიპ გორდონი):  
ცხადია, რომ რუსეთის ხელისუფლება უკმაყოფილოა. მათ ეს არ დაუმაღავთ. მაგრამ არ დასტურდება, რომ რუსეთს ამ გადაწყვეტილებით რაიმე ზიანი მიადგა. არც ის დასტურდება, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ეს რუსეთის ინტერესების საზიანოდ გააკეთა. **📌**

**ესაუბრნენ: სოფო ჭაავა, „ლიბერალი“; თამარ ჩერგოლიეშვილი, „ტაბულა“**



# საჭესთან ქალია

მხოლოდ ქალბატონებისთვის!!!  
მხოლოდ მარტში!  
ავტომობილის დაზღვევის  
ექსკლუზიური პირობები!  
სრული პაკეტი — **3,5%**-ად!

სარეკლამო მუშაუ პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა



წინასაარჩევნო დაფინანსება

# ნასიონადუხი სახეი

როგორ შევავროვოთ 14 000 000 ლარი წინასაარჩევნოდ?

მაია ნიკლაური, თაკო ფარადაშვილი



ილუსტრაცია თაითო ნაღობიძე / ფრენს სავალსონი

14 მილიონ 113 ათას 411 ლარი – ეს ის თანხაა, რომელიც „საქართველოს ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეაგროვა 2008 წლის თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ეს 7-ჯერ მეტია, ვიდრე არჩევნებში მონაწილე 19 საარჩევნო სუბიექტის დაფინანსება ერთად აღებული.

საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, პარტიამ საკუთარი დაფინანსებლების შესახებ ინფორმაცია არჩევნების დასრულებისთანავე უნდა გასცეს. მიუხედავად ამისა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ წინასაარჩევნო შემოწირულობების სახით მიღებული თანხის 95 პროცენტის წარმომავლობა მხოლოდ არჩევნებიდან 8 თვის თავზე გამოაქვეყნა. თანაც ისე, რომ ამით კანონი არ დაურღვევია – საქმე ისაა, რომ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა მმართველი პარტიის დასახმარებლად თანხები არა უშუალოდ საარჩევნო ფონდში, არამედ პარტიის პირად ანგარიშზე გადარიცხეს. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესის თანახმად კი, პარტია მხოლოდ წელიწადში ერთხელ – იანვრის ბოლოს არის ვალდებული, საკუთარი წლიური ფინანსური ანგარიში გამოაქვეყნოს.

„ნაციონალური მოძრაობის“ წლიური ფინანსური ანგარიში 10 თებერვალს გამოქვეყნდა. თაბახის 25 ფურცელზე ჩამოწერილია იმ 398 იურიდიული, 169 ფიზიკური პირის და ინდივიდუალური მენარმის სია, რომელთაც „ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე თანხები გასულ წელს მარტიდან მაისის ჩათვლით ჩარიცხეს. მათ შორის, 36-მა კომპანიამ და ორმა ფიზიკურმა პირმა მმართველი პარტიის ანგარიშზე თანხა რამდენჯერმე ჩარიცხა.

მაგალითად, ბიზნესმენმა თემურ ჭყონიამ პარტიის ანგარიშზე სხვადასხვა კომპანიების ანგარიშებიდან („კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, „ჭყონია ტრანსპორტ ჯგუფი“, „თ და რ დისტრიბუშენი“) 77 ათასი ლარი გადარიცხა. კომპანია „თეგეტა მოტორსი“ შეიღობილ კომპანიებთან („თეგეტა მოტორსი ქუთაისი“, „თეგეტა კონსტრაქშენ ექვიფმენტ“, „თეგეტა

თრაქ ენდ ბას“, „თეგეტა ლოჯისტიკი“) ერთად — „ნაციონალურ მოძრაობას“ 500 ათასი ლარით დაეხმარა.

კომპანიებმა „ავერსი ფარმა“ და „ავერსი რაციონალი“ 100-100 ათასი ლარი ჩარიცხეს. „ნაციონალური მოძრაობის“ დაფინანსებელთა სიაში მოხვდნენ კომპანიები „ალგორითმი“ (50 ათასი ლარი), „ჯიპისი“ (100 ათასი ლარი), „პოპული“ (100 ათასი ლარი), „ვისოლ პეტროლიუმი“ (50 ათასი ლარი), „თბილი სახლი“ (100 ათასი ლარი) და ა.შ.

„ლიბერალი“ სიაში ჩამოთვლილ 40-მდე ფიზიკურ და იურიდიულ პირს დაუკავშირდა. რამდენიმე კომპანია რეგისტრაციის მითითებულ მისამართზე არ აღმოჩნდა, უმეტესობამ ამ საკითხზე საუბარი არ ისურვა, რამდენიმემ კი პარტიის ანგარიშზე თანხის გადარიცხვა უარყო.

ფიზიკური პირი ლევან სოზიაშვილი, დონორთა სიაში 104-ე ნომერია. იგი თბილისში მუხიანის დასახლებაში ოჯახთან ერთად ცხოვრობს და უმუშევარია. სიაში მითითებულია, რომ სოზიაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე 20 ათასი ლარი გადარიცხა. „ლიბერალთან“ საუბარში სოზიაშვილი ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს: „მეც და ჩემი ცოლიც უმუშევრები ვართ, 20 ათასი ლარი თვალთ არ მაქვს ერთად ნანახი და მაგ სიაში როგორ მოხვდი, არ ვიცი“, – ეცინება სოზიაშვილს ჩვენს კითხვაზე „ნაციონალური მოძრაობის“ დაფინანსებასთან დაკავშირებით.

ნუკრი ნებულიშვილი შპს „ჭელის“ დირექტორია. მისი კომპანია პოლიეთილენის პარკებს ამზადებს. „ნაციონალების“ შემომწირველთა სიაში აღნიშნულია, რომ მან პარტიას 2000 ლარი გადაუარიცხა.

„არაფერი გადამირიცხავს, ჩემი სანარმო ისედაც დაქცეულია და სხვების დახმარების თავი ნამდვილად არ მაქვს“, – განაცხადა ნუკრი ნებულიშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობის“ შემოწირულობათა სიის 131 ნომერი ფიზიკური პირი ზვიად მოხვიშვილი





სოფელ მისაქციელში ოჯახთან ცხოვრობს და, როგორც თავად ამბობს, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დაცვის სამსახურში მუშაობს. იგი ადასტურებს, რომ „ნაციონალური მოძრაობას“ წინასაარჩევნოდ 30 ათასი ლარი გადაურიცხა, თუმცა არ აკონკრეტებს საიდან ჰქონდა ეს თანხა.

„ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი ვარ. აი, ასე! მინდოდა და გადაურიცხე!“ – ამბობს ზვიად მოხევიშვილი. მოხევიშვილის მეუღლეს კი მეუღლის გვარის სიაში ხილვა უკვირს: „რა სისულელეა! ამხელა თანხა რომ გვექონოდა, თბილისში ბინას ვიყიდდით. საიდან უნდა გადაეხადა ჩემს მეუღლეს ამხელა ფული?!“ – ამბობს ნინო მოხევიშვილი.

ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენელმა, რომელიც მშენებლობის და პროექტებაზე მუშაობს და „ნაციონალური მოძრაობას“ 1000 ლარი შესწირა, განაცხადა, რომ ფულის გადარიცხვა ახლობელმა სთხოვა. მას არც ახლობლის და არც საკუთარ ვინაობის გამხელა არ სურს:

„ეს გავაკეთე არა პარტიისთვის, არამედ ახლობელი ადამიანისთვის. მეტს ვერაფერს გეტყვი“.

„ლიბერალის“ მიერ გამოკითხულთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პარტიას მხარს არ უჭერენ, თუმცა თანხა მაინც გადარიცხეს:

„გადაურიცხე 30 ათასი ლარი. „ნაციონალური მოძრაობის“ თავგამოდებული მომხრე არ ვარ, უბრალოდ, იმ დროს ასე იყო საჭირო და გადაურიცხე“, – განაცხადა ერთ-ერთმა ფიზიკურმა პირმა ლელა სიმსივემ. ის ამბობს, რომ აქვს ბიზნესი, თუმცა რა სახის, არ აკონკრეტებს.

რესტორან „მცხეთას“ დირექტორმა ზურა ჯანუაშვილმა და მისმა კომპანიამ მმართველ პარტიას 100 ათასი ლარი გადაურიცხეს.

„მხარდამჭერი ნამდვილად არ ვარ და არც ერთი პარტიის მიმართ სიმპათია არ მაქვს. უბრალოდ, მზიანი დღე გათენდა და გადაეწყვიტე „ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე ეს თან-

ხა გადამერიცხა“, – განუცხადა მან „ლიბერალს“.

ფულის გადარიცხვის ფაქტს ადასტურებს გაზგასამართი სადგურის „არსადაგარის“ დამფუძნებელი გელა არჩვაძეც. მის კომპანიას უკვე რამდენიმე თვეა, ფინანსური პრობლემები აქვს და მუშაობა შეჩერებულია, თუმცა „პარტიის დასახმარებლად ის ყოველთვის მზად არის“.

„სიამოვნებით გადაურიცხე 1000 ლარი. როცა პარტიას დახმარება სჭირდება, ამისათვის ყოველთვის მზად ვართ, ასე იყო ამჯერადაც“, – განაცხადა არჩვაძემ.

ტვირთების გადაზიდვის კომპანია „ევრაზიის ექსპრესმა“ მმართველ პარტიას 5 ათასი ლარი გადაურიცხა.



კომპანიის დირექტორი გიორგი სხირტლაძე ამ ფაქტს ასე ხსნის: „მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იმდენად უკეთ წავიდა ჩვენი ბიზნესის საქმე, რომ გვინდა, ასე გაგრძელდეს. ამიტომ საკუთარი ინიციატივით გადაურიცხე თანხა“, – ამბობს იგი.

იგივე მიზეზით გადაურიცხა მმართველ პარტიას ნახევარი მილიონი ლარი მსხვილმა კომპანია „თეგეტა მოტორსმა“. კომპანიის გენერალური დირექტორი გიორგი მშვილდაძე ამბობს, რომ „მხარს უჭერს მიმდინარე რეფორმებს და ქვეყანაში შექმნილ სტაბილურ გარემოს“.

გიორგი მშვილდაძის სიტყვები ერთი ერთზე იმეორებს „ნაციონალური მო-

ძრაობის“ გენერალური მდივნის ზურაბ მელიქიშვილის მოსაზრებას:

„ყველა ბიზნესმენს, ვინც თანხები გადმოგვირიცხა ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება სურს. რეალურად ეს არის თანხა, რომელიც ბიზნესმენებმა საქართველოს განვითარებისთვის ჩარიცხეს და არა პარტიისთვის. ჩვენ გვაქვს ჩვენი პოლიტიკური ხედვა, რომელსაც რეალური ნაბიჯებით ვამტკიცებთ და ვქმნით სტაბილურ გარემოს, რაც ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი კოეფიციენტია“, – ამბობს მელიქიშვილი.

მისი თქმით, ისევე, როგორც ყველა პოლიტიკური პარტია, „ნაციონალური მოძრაობაც“ წინასაარჩევნოდ ცდილობს ბიზნესმენტა დარწმუნებას, რომ პარტიას დაეხმარონ. „თუმცა ძალა არავისთვის არასოდეს დაგვიტანება“, – ამბობს მელიქიშვილი.

„შესაძლოა, ეს პარტიები შემოწირულობების გზით გამოხატავენ ხელისუფლების მიმართ მადლიერებას“, – ამბობს ნინა ხატისკაცია, ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პროგრამის დირექტორი. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია რამდენიმე წელია, წინასაარჩევნოდ პარტიების დაფინანსების თემაზე მუშაობს. თავის ანგარიშებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დამფინანსებლების მიერ ხელისუფლებასთან გარიგების რისკებზე მუდმივად მიუთითებს.

ნინა ხატისკაცია განმარტავს, რომ მათი კვლევების თანახმად, არის შემთხვევები, როცა კომპანიები, რომლებიც მმართველ პარტიას შემოწირულობას ურიცხავენ, სახელმწიფო ტენდერებში იმარჯვებენ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ 19 სამთავრობო უწყების შესყიდვები გადაამოწმა. როგორც ხატისკაცია აღნიშნავს, 2007-2010 წლებში 46-მა კომპანიამ „ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე 3 მილიონამდე ლარი შეიტანა. ამავე პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებით სახელმწიფოსგან ამ კომპანიებმა 32 მილიონ ლარამდე მიიღეს.

ამ კომპანიებს შორის არიან „ტოიო-



ფოტო: სანა ფანაშვილი

თბილისის მერი გიგი უგულავა, წინასაარჩევნო კამპანია 2010

■ 2007-2010 წლებში 46-მა კომპანიამ „ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე 3 მილიონამდე ლარი შეიტანა. ამავე პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებით სახელმწიფოსგან ამ კომპანიებმა 32 მილიონ ლარამდე მიიღეს.

ტა ცენტრი თბილისი“, „თეგეტა მოტორსი“, „ალტა“, „ალგორითმი“, „ავერსი“, „ჯეოსელი“, „სარკე კონსალტინგი“, „პოპული“, „ნიუენერჯი“, „არსი“, „გლობალ ერთი“, „თბილი სახლი“, „პე ეს პე“, „ჯი პი სი“, „გზამ-შენი-4“, „საქენერგორემონტი“, „გზის მშენებელი 11“ და ა.შ.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როცა ოპოზიციის რეიტინგი ბოლო წლებში ყველაზე მაღალი იყო, „ნაციონალური მოძრაობის“ დაფინანსება 26-ჯერ აღემატებოდა ყველა სხვა საარჩევნო სუბიექტის დაფინანსებას.

მაშინაც, ისევე, როგორც დღეს, ოპოზიცია საუბრობდა ხელისუფლე-

ბის მიერ ბიზნესზე ზენოლაზე, თუმცა ზოგადი განცხადებების მიღმა საქმე არასოდეს წასულა. არ დასახელებულა არც ერთი კონკრეტული კომპანია, რომელიც ხელისუფლებამ დააშინა.

2010 წლის თბილისის მერობის ოპოზიციური კანდიდატის ირაკლი ალასანიას გუნდის წევრი ირაკლი ჩიქოვანი ამბობს, რომ ერთ-ერთ კომპანიას, რომლის მეპატრონე ალასანიას ღიად უჭერდა მხარს 2010 წლამდე, ანუ არჩევნებამდე, ფინანსურმა პოლიციამ სერიოზული ჯარიმები დააკისრა.

თუმცა ჩიქოვანი ამ ინფორმაციის გავრცელების დროს ფრთხილობს და ამ შემთხვევაშიც ბიზნესმენის ვინაო-

ბას „კომპანიის ინტერესების გამო“ არ ასახელებს.

„სასამართლო პროცესი ახლაც მიმდინარეობს და მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე საერთაშორისო აუდიტორი კომპანიის დასკვნით, ეს ბიზნესმენი მართალია, ჩვენი სასამართლო მანძი თავისი ექსპერტის ერთადერთ დასკვნას ეყრდნობა. ამ ყველაფრის შემდეგ ცხადია, რომ ბიზნესმენები თავს იკავებენ ასეთი აქტივობისგან“, – ამბობს ჩიქოვანი.

საქართველოში დღეს არსებული საარჩევნო კანონმდებლობით და პარტიების დაფინანსების წესის მიხედვით, პოლიტიკური გაერთიანება შესაძლოა

# მთავარი თემა

დააფინანსოს იურიდიულმა, ან ფიზიკურმა პირმა. თუმცა ერთი წლის განმავლობაში საარჩევნო კამპანიასა და პარტიის ანგარიშზე დარიცხული თანხა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ერთი ფიზიკური პირისთვის 30 ათას ლარს, იურიდიული პირისთვის კი – 100 ათასს. შეზღუდვა არ მოქმედებს პოლიტიკურ გაერთიანებაზე. საარჩევნო ფონდის ანგარიშზე გადარიცხვისას პარტიას ზედა ზღვარი არ აქვს.

თუმცა კანონი ტოვებს იმ შესაძლებლობას, რომ რომელიმე ფიზიკურმა პირმა სხვა პირების მეშვეობით დაწესებულ ლიმიტზე მეტი თანხა გადარიცხოს. ასევე, იურიდიულ პირს შეუძლია, თანხა სხვა კომპანიების საშუალებით გადაურიცხოს პარტიას. ცენტრალური საარჩევნო კომისია არც ერთ პოლიტიკურ გაერთიანებას

არ ავალდებულებს დამატებითი ანგარიშფაქტურების და გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენას. არც საარჩევნო კომისია უფლებამოსილი, გააკონტროლოს კომპანიებსა და ფიზიკურ პირებს შორის გადარიცხვები. პარტიების ფინანსური მონიტორინგისათვის შექმნილი ჯგუფი იძულებულია პარტიების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას ენდოს.

„გამჭვირვალობა-საქართველოს“ წარმომადგენელი ნინა ხატისკაცია ამბობს, რომ ტენდენცია ასეთია: 2007 წლიდან დღემდე, იურიდიულ პირების პოლიტიკაში ჩარევის შემთხვევაში მხოლოდ მმართველი პარტიის ანგარიშზე რიცხავენ თანხას. ოპოზიციური პარტიები კომპანიებისგან დაფინანსებას იშვიათად, ან საერთოდ არ იღებდნენ.

მაგალითად, „ალიანსი საქართველოსთვის“, რომელიც 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური ძალა იყო, წინასაარჩევნოდ არც ერთმა იურიდიულმა პირმა არ დააფინანსა.

„ჩვენ დაახლოებით 60-მდე ადამიანი დაგვეხმარა და ის ფაქტი, რომ მათ შორის არც ერთი არ არის იურიდიული პირი, მაფიქრებინებს, რომ შეიძლება ხდებოდეს ბიზნესზე ზეწოლა,“ – ამბობს ირაკლი ჩიქოვანი.

„რატომ არ აძლევენ ფულს ოპოზიციურ პარტიებს ბიზნესმენები? პარტია, რომელიც გამოვა და იტყვის, რომ აჯანყება უნდა გავაკეთო, უნდა დაიწყოს დაპირისპირება და არ მაინტერესებს ვინ დაიხოცებაო, თქვენ რომ იყოთ ბიზნესმენი და თქვენი საქმის განვითარებაზე ფიქრობდეთ, დააფინანსებთ ასეთ პოლიტიკურ ძალას? ალბათ, არ დააფინანსებთ“. ასე ხსნის ნაციონალური მოძრაობის წევრი ზურაბ მელიქიშვილი ბიზნესმენების მიერ ოპოზიციური პარტიების იგნორირებას.

2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს ოპოზიციური პარტიებიდან ყველაზე დიდი დაფინანსება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ჰქონდა – 958 107 ლარი. ამ პარტიის ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებელი – კომპანია „ტრანსმენი“ 2008 წელს მმართველ პარტიას აფინანსებდა. „ქრისტიან-დემოკრატიის“ საარჩევნო ფონდში 646 631 ლარი ჩაირიცხა, პარტია „სახალხო დემოკრატიები – ნიკა ივანიშვილის“ ფონდში – 368 500 ლარი. „თორთლაქ – დემოკრატიული პარტიის“ ბიუჯეტი 177 827 ლარს შეადგენდა, „ეროვნულ საბჭოს“ ბიუჯეტი – 176 408 ლარს, „ალიანსი საქართველოსთვის“ კი 147 380 ლარს.

2010 წელს ოპოზიციური პარტიები მხოლოდ 13-მა იურიდიულმა პირმა დააფინანსა. ცხრა მათგანი – პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, ოთხი კი „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ დაეხმარა. ოპოზიციური პარტიების დამფინანსებელი

## 2010 წლის თვითმმართველობის აჩვენებაზე ახსიანის საჩვენებო ფონდებში დაფინანსება შემდგომიხდ ბანანიდა.

საარჩევნო სუბიექტი	შემონიშნულმა საარჩევნო ფონდში (ლარი)
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	14 113 411. 8
„თოფაძე-მრეწველები“	958 107
„გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“	646 631
„ივანიშვილი – „სახალხო დემოკრატიები“	368 500
„თორთლაქ – დემოკრატიული პარტია“	177 827
„ეროვნული საბჭო“	176 408. 5
„ალიანსი საქართველოსთვის“	147 380. 49
პოლიტიკური მოძრაობა „სოლიდარობა“	7 533
პოლიტიკური პარტია – „მომავალი საქართველო“	1 867
„სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული ნაციონალური პარტია“	1 550
„ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“	1 228

## ნაციონალური მოძრაობის მიხედვით აჩვენებაზე მოხილული თანხა

2006 წელი	საქართველოს დედაქალაქის – თბილისის თვითმმართველობის ორგანოს საკრებულოს არჩევნები	3 667 383 ლარი
2008 წელი	საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები	22 986 797. 68 ლარი
2008 წელი	საქართველოს საპარლამენტო არჩევნები	11 941 171. 62 ლარი
2010 წელი	ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები	14 113 411. 8 ლარი



ფიზიკური პირებიდან უმეტესობა თავად პარტიის წევრი, ან პარტიის წევრების ნათესავია.

„მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთები მმართველი ძალის სატელიტურ პარტიად მოგვისჩვენებენ, დღემდე გვიჭირს დაფინანსების მოპოვება“, – ამბობს „ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე, – „ძალიან ბევრმა იურიდიულმა პირმა ჩვენთან ფული ფიზიკური პირის სახელით შემოიტანა, რომ პრობლემები არ შექმნოდა. ადამიანებს ეშინიათ განსხვავებული აზრი დააფიქსირონ“.

„ლიბერალის“ მიერ გამოკითხული არც ერთი ბიზნესმენი ღიად არ საუბრობს მმართველი პარტიის მხრიდან რაიმე სახის ზენოლაზე.

ერთ-ერთი ბიზნესმენი, რომელმაც მმართველ პარტიას გარკვეული თანხა შესწირა, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ საარჩევნოდ თანხების შეგროვების სქემაზე საუბარს, მხოლოდ ანონიმურობის დაცვის შემთხვევაში თანხმდება:

„ბიზნესმენებთან რეკავდნენ ფინანსური პოლიციიდან. წლიური ბრუნვის მიხედვით, უსახელებდნენ თანხებს და შემდეგ მიდიოდა ვაჭრობა, ვინ რამდენს გადაიხდიდა“.

„ლიბერალის“ კიდევ ერთი ანონიმური წყარო ამბობს, რომ ორი წლის წინ თავად იყო ჩართული ბიზნესმენებისგან „ფულის აგროვების“ საქმეში.

„ფინანსური პოლიციის თანამშრომლები დადიოდნენ რეგიონში, ხვდებოდნენ მენარმეებს, ესაუბრებოდნენ, თან უხსნიდნენ, რომ მათთან მეგობრობა არ გამოვიდოდა, თუ სხვას მისცემდნენ ხმას. და, როგორც წესი, ყველას ყველაფერი ესმოდა. მაღალ კატეგორიას ინდივიდუალურ შეხვედრებზე იბარებდნენ. დაბალი კატეგორიის მენარმეებისთვის ერთი დიდი ღრეობა სადმე რესტორანში საკმარისი იყო. მეორე დღეს გუბერნატორის კაბინეტში კონკრეტული თანხები მოდიოდა. „ურჩი გადამხდლები“ თითქმის არ იყვნენ. თუმცა, თუ ვინმე ეგეთი გამოიკვეთებოდა, ცოტა ხანს აცლიდნენ და მერე დაბომბავდნენ.“

ეგეთი სულ რამდენჯერმე მოხდა და თანაც ოპოზიციურ გამოსვლებში აქტიურობის გამო და არა იმიტომ, რომ ფული არ მიიტანეს.

ყველა რეგიონში თითქმის იგივე სქემაა, თბილისში განსხვავებულადაა. იქ ფინანსურიდან ერთი კაცი ყველა სფეროს ჰყავს მიჩენილი, – ჰყვება იგი.

„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე ამბობს, რომ არსებობს იმ ბიზნესმენტა სამი კატეგორია, რომლებიც ფულს მმართველი პარტიის ანგარიშზე რიცხავენ: „პირველი – ისინი, ვინც უკვე ნახა სარგებელი სახელმწიფოსგან და წლების განმავლობაში სახელმწიფო ტენდერებს იგებდნენ; მეორე – ის კომპანიები, რომლებმაც არჩევნების შემდეგ იხიერეს. მაგალითად, კომპიუტერული კომპანიები, რომლებიც სპეციალურ პროგრამაში ჩაერთვნენ „კომპიუტერი ერთ ლარად“; და მესამე, კომპანიები, რომლებიც არ ნახულობენ სარგებელს, მაგრამ ეშინიათ, რომ საქმე ცუდად წაუვით და ამიტომ მმართველი პარტიის ანგარიშზე ფულს რიცხავენ“.

შემდეგი არჩევნები საქართველოში 2012 წლისთვისაა დაგეგმილი – ქვეყანა ახალ პარლამენტს აირჩევს, რომელსაც 2013 წლიდან უკვე ახალი კონსტიტუციის პირობებში მოუწევს მუშაობა.

8 ოპოზიციურ პარტიასა (ეროვნული ფორუმი, კონსერვატორები, რესპუბლიკელები, ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები, საქართველოს გზა, ახალი მემარჯვენეები, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და ხალხის პარტია) და მმართველ პარტიას შორის უკვე მიმდინარეობს შეხვედრები საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად. მოლაპარაკებებისას თითქმის ყველა საკითხი განიხილება, მათ შორის, ყველაზე მწვავედ – ხმის მიცემის პროცედურა. თუმცა პარტიებისა და მათი საარჩევნო კამპანიების დაფინანსებისა და ფინანსური ანგარიშების მონიტორინგის წესზე ამ შეხვედრებზე არ საუბრობენ. **■**

პატივისცემის დაფინანსება აშშ-ში



ბიზნესისა და პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო თანამშრომლობა ჩვეულებრივი პრაქტიკაა უმაღლესი დემოკრატების ქვეყნებშიც. მაგალითად, ექსპერტები უკვე პროგნოზირებენ, რომ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკაში ორ მილიარდ დოლარიანი არჩევნები იქნება. პოლიტიკური პარტიების მთავარი დამფინანსებლები იქ მდიდარი ადამიანები, კომპანიები, ფონდები არიან. მათი ნაწილი პოლიტიკაში ინვესტიციებს პრაგმატული გათვლით დებს – მხარს უჭერს იმ პარტიას, რომელიც მისი და მისი ბიზნესისთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებს მიიღებს, არიან ისეთებიც, ვინც ხელს უწყობს იდეალებს.

აშშ-ის ორი მთავარი პარტია „დემოკრატები“ და „რესპუბლიკელები“ თანაბრად არ ფინანსდება, თუმცა ეს არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელია მმართველი პარტია იმ მომენტში.

როგორც წესი, „რესპუბლიკური პარტია“ ზოგადად უფრო მეტს იღებს, რადგან მისი პოლიტიკის მხარდამჭერებში მდიდრები ქარაბობენ. „რესპუბლიკელები“ ყველაზე მეტ ფულს იღებენ იმ ადამიანებისგან, ვინც აწარმოებს და ფლობს დიდ კორპორაციებს. „დემოკრატები“ ცდილობენ, მცირე თანხები მიიღონ ბევრი ადამიანისგან. ისინი უფრო ბევრ ფულს იღებენ სხვადასხვა კავშირიდან.

# კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი



## აზერბაიჯანის ოფიციალური პოლიტიკური სისტემა

### ანდრეას ჰაინრიხი, ბრემენი

სტატიაში აღწერილია აზერბაიჯანის ოფიციალური პოლიტიკური სისტემა და მისი პრაქტიკული ფუნქციონირება. აზერბაიჯანის კონსტიტუციური განვითარების გაანალიზების შემდეგ დეტალურადაა განხილული ძირითადი ოფიციალური პოლიტიკური ინსტიტუტები, მაგალითად, პრეზიდენტის ინსტიტუტი, აღმასრულებელი ხელისუფლება (რომელიც მთავრობისა და ადმინისტრაციისაგან შედგება), პარლამენტი, პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო სისტემა, სამოქალაქო საზოგადოება და ინფორმაციის მასობრივი საშუალებები.

აზერბაიჯანის ოფიციალური პოლიტიკური სისტემის დახასიათებისას ავტორი ცდილობს, აჩვენოს კავშირი ცალკეულ ინსტიტუტებს შორის. პირველ რიგში, აღწერილია ინსტიტუტებისა და ნორმების მოქმედების ოფიციალურად დადგენილი წესები და ამასთან, ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება ამ ოფიციალური ინსტიტუტებით მანიპულირება პრაქტიკაში, რათა მმართველი ელიტა კონსტიტუციით გარანტირებული და დემოკრატიული სისტემისათვის დამახასიათებელი ანგარიშგების ან ხელისუფლების ცვლისაგან დაცული იყოს.

## შესავალი

აზერბაიჯანის კონსტიტუციაში ადამიანის ყველა ფუნდამენტური უფლება და თავისუფლება გარანტირებულია და ყველა დემოკრატიული ინსტიტუტის ფუნქციებიც ნათლად არის განსაზღვრული. შესაბამისად, ეს დოკუმენტი დემოკრატიული კონსტიტუციისათვის აუცილებელ ოფიციალურ (დასავლურ) კრიტერიუმებს ზოგადად აკმაყოფილებს. მაგრამ ამ ფუნდამენტური უფლებების პრაქტიკაში გამოყენება და ინტერპრეტაცია მთლიანად აღმასრულებელი ხელისუფლების ნება-სურვილზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ დასავლელი ექსპერტები აზერბაიჯანს ხშირად „ფასადური დემოკრატიის ქვეყანას“ უწოდებენ.

ამ სტატიაში განხილულია „ფასადი“, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას გვაცნობს, რადგან, ჯერ ერთი: ამ ფასადის შენარჩუნებით პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შეიძლება, შეზღუდვები დაუნესდეს; მეორე: ფასადისადმი პოლიტიკური ელიტების დამოკიდებულება ბევრი რამის მთქმელია იმაზე, თუ როგორ ესმით მათ დემოკრატია; და მესამე, ფასადის ელემენტებს ზოგჯერ დემოკრატიულ კონსტიტუციაში ჩადებული დებულებებისაგან განსხვავებული ფუნქციები აკისრია, რის საუკეთესო მაგალითიც სასამართლო დევნისაგან თავის დასაცავად პარლამენტის წევრობის გამოყენებაა.

არაოფიციალური წესებისა და ურთიერთობების კვლევა სტატიის მიზანი არ ყოფილა, თუმცა, როგორც ჩანს, აზერბაიჯანის პოლიტიკურ ცხოვრებაში განმსაზღვრელ როლს სწორედ ისინი თამაშობს. ეს საკითხი ჰანეს მაისნერის მომავალ ნაშრომში იქნება განხილული.

## კონსტიტუციური განვითარება

აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა პრორუსულმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ გამოაცხადა. 1991 წლის ოქტომბერში აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის დამატების სახით მიღებულ იქნა „აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საკონსტიტუციო აქტი“. 1992 წლის გაზაფხულზე ძალაუფლება ხელში ახლად შექმნილმა „აზერბაიჯანის სახალხო ფრონტმა“ (ასფ) ძალის გამოყენებით ჩაიგდო და პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველ არჩევნებში გაიმარჯვა, ხოლო მისი ლიდერი აბულფაზ ელჩიბეი 1992 წლის 7 ივნისს ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს.

სომხეთთან მიმდინარე ომის მიუხედავად, ელჩიბეის მმართველობის დროს აზერბაიჯანი, როგორც საყოველთაოდ იყო აღიარებული, დემოკრატიული განვითარების გზით მიდიოდა. მიუხედავად ამისა, მთიანი ყარაბაღის ომში „სახალხო ფრონტის“ მთავრობის კატასტროფული მარცხისა და მისი ზოგადი სისუსტის გამო დემოკრატი-

ული პროცესი მოულოდნელად შეწყდა. 1993 წლის ივნისში მთავრობას ჯარის მეთაური აუჯანყდა. მომხდარი გადატრიალების შედეგად ქვეყანაში პოლიტიკურად ყოფილი წევრი და სუკ-ის გენერალი ჰეიდარ ალიევი დაბრუნდა. საეჭვო პირობებში ჩატარებული კენჭისყრის შედეგად ალიევი პარლამენტის თავმჯდომარე და ქვეყანაში პრეზიდენტის შემდეგ მეორე პირი გახდა. როცა ამბოხებული ჯარის ნაწილები ბაქოს მიუახლოვდნენ, პრეზიდენტი ელჩიბეი აზერბაიჯანის შემადგენლობაში შემავალ ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაფრინდა, ალიევი კი 1978 წლის კონსტიტუციის შესაბამისად პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახდა. ამ თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ ალიევმა პრეზიდენტ ელჩიბეისადმი ნდობის საკითხი დააყენა, სასურველი შედეგი მიიღო და პრეზიდენტი თანამდებობიდან გადააყენა. 1993 წლის ოქტომბერში ჩატარებულ მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებში ალიევი პრეზიდენტად აირჩიეს. კონკურენტი ამ არჩევნებზე მას არ ჰყოლია.

1993 წლის შემდეგ გატარებულ მცირეოდენ დემოკრატიულ ცვლილებებს ალიევის მთავრობა ძალაუფლების გამყარებისა და ოპონენტების დასუსტებისაკენ მიმართული ძალისხმევის შესანიშნავად იყენებდა. 1978 წლის კონსტიტუციასა და პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ კანონებში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა.

პრეზიდენტმა ალიევმა ძალაუფლება ინსტიტუციურადაც განიმტკიცა. 1995 წელს მიღებული ახალი კონსტიტუცია აღმასრულებელი ხელისუფლების როლის გაძლიერებას ითვალისწინებდა. ამ კონსტიტუციით აზერბაიჯანის რესპუბლიკა დემოკრატიულ და სეკულარულ სამართლებრივ სახელმწიფოდ გამოცხადდა. კონსტიტუციის 1-ელ და მე-3 მუხლებში ნათქვამი იყო, რომ აზერბაიჯანში ძალაუფლების ერთადერთი წყარო ხალხია, რომელსაც შესაძლებლობა აქვს, თავისი ნება თავისუფალ არჩევნებში და რეფერენდუმებზე გამოხატოს, რაც, თავის მხრივ, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის ერთადერთი გზაა. იმავდროულად, კონსტიტუცია ფართო ძალაუფლების მქონე ძლიერ აღმასრულებელ ხელისუფლებასაც ითვალისწინებდა, რის გამოც კონსტიტუციის პრაქტიკაში გამოყენება და ინტერპრეტაცია აღმასრულებელი ხელისუფლების ნება-სურვილზე დიდად იყო დამოკიდებული.

2002 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები, როგორც ჩანს, იმისთვის გახდა საჭირო, რომ ჰეიდარ ალიევის შვილს ილჰამს (იმ დროს პრემიერ-მინისტრს) მამის შემდეგ მისი ადგილის დაკავება შეეძლებოდა. 1995 წლის კონსტიტუციით, თუ პრეზიდენტი გადადგებოდა ან ვადის გასვლამდე გარდაიცვლებოდა, მისი უფლებამოსილება სამთვიან ვადაში ჩასატარებელ საპრეზიდენტო არჩევნებამდე პარლამენტის თავმჯდომარის ხელში უნდა გადასულიყო, კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის შემდეგ კი პრეზიდენტის მოვალეობის შეს-



რულება უკვე პრემიერ-მინისტრს დაეკისრა. ამას გარდა, დადგინდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველსავე რაუნდში გამარჯვების მოსაპოვებლად კანდიდატს ხმების უბრალო უმრავლესობა უნდა მიეღო და არა ორი მესამედი, როგორც ეს 1995 წლის კონსტიტუციით იყო გათვალისწინებული. ჰეიდარ ალიევი 2003 წელს გარდაიცვალა და ის მაშინვე ილჰამმა შეცვალა.

2009 წლის მარტის საკონსტიტუციო ცვლილებებით, პრეზიდენტის ძალაუფლება კიდევ უფრო გაიზარდა. შესაძლებელი გახდა აზერბაიჯანის პრეზიდენტად ერთი პირის ორზე მეტი ვადით არჩევა.

**პრეზიდენტი**

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი საყოველთაო არჩევნებზე ხუთი წლის ვადით აირჩევა. ამასთან, საპრეზიდენტო ვადების რაოდენობა ამჟამად შეზღუდული აღარ არის. პრეზიდენტი წარმართავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, პრეზიდენტი უფლებამოსილია:

- ▶ დანიშნოს საპარლამენტო არჩევნები;
- ▶ დანიშნოს და თანამდებობიდან გაათავისუფლოს პრემიერ-მინისტრი (პარლამენტის თანხმობის შემთხვევაში) და მინისტრთა კაბინეტის წევრები (პარლამენტთან შეთანხმებით);
- ▶ გამოვიდეს საკანონმდებლო ინიციატივებით და თავისი ხელმოწერით დაადასტუროს კანონის ძალაში შესვლა;
- ▶ გამოსცეს ბრძანებულებები;
- ▶ შექმნას ორგანოები ნებისმიერ ადმინისტრაციულ დონეზე და განახორციელოს მათი კონტროლი;
- ▶ პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ქვეყნის ბიუჯეტი;
- ▶ დაამტკიცოს მთავრობის მიერ განსახორციელებელი ეკონომიკური და სოციალური პროგრამები;
- ▶ წამოაყენოს საკონსტიტუციო, უზენაესი, საარბიტრაჟო და სხვა სასამართლოების, ცენტრალური ბანკის მმართველი საბჭოს წევრებისა და გენერალური პროკურორის კანდიდატურები;
- ▶ დანიშნოს და თანამდებობიდან გაათავისუფლოს შეიარაღებული ძალების მეთაურები;
- ▶ შემოიღოს საგანგებო ან საომარი მდგომარეობა.

პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მოვალეობების შესრულების ფიზიკური უნარი დაკარგა ან „სერიოზული დანაშაული“ ჩაიდინა. ამას გარდა, მისი გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებას მხარი პარლამენტის 125 წევრიდან 95-მა და უზენაესმა სასამართლომ უნდა დაუჭიროს.

1995 წლის კონსტიტუციაში ჩადებული იყო ძალაუფლების განაწილების მექანიზმები, მაგრამ აღმასრულებელ ხელისუფლებას და განსაკუთრებით კი პრეზიდენტს დიდი ძალაუფლება ენიჭებოდათ, პასუხისმგებლობა კი უმნიშვნელო ეკისრებოდათ. აღმასრულებელი ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი საშუალება პრეზიდენტის ბრძანებულებებია, რომლებიც სრულიად უკონტროლოა და აზერბაიჯანში ქვეყნის მართვის საშუალებად ხშირად გამოიყენება. საკანონმდებლო ინიციატივის უფლებაც პრეზიდენტის ადმინისტრაციას აქვს მონოპოლიზებული.

**აღმასრულებელი ხელისუფლება**

კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ ხელისუფლების აღმასრულებელ შტოს სათავეში პრეზიდენტი უდგას. მინისტრთა კაბინეტის მოვალეობა პრეზიდენტის უფლებამოსილებათა გატარება და აღსრულებაა. კაბინეტი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული მხოლოდ პრეზიდენტის წინაშეა. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას პრეზიდენტი ასახელებს და პარლამენტი ამტკიცებს. თუ პარლამენტმა პრეზიდენტის კანდიდატურა (კანდიდატურები) სამჯერ არ დაამტკიცა, პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის დანიშვნა მისი თანხმობის გარეშეც შეუძლია. სხვათაშორის ერთად მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებები შემდეგია:

- ▶ ქვეყნის ბიუჯეტის პროექტის შედგენა და დასამტკიცებლად პრეზიდენტისათვის წარდგენა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფა;
- ▶ ეკონომიკური და სოციალური სახელმწიფო პროგრამების შესრულების უზრუნველყოფა;
- ▶ სამინისტროებისა და სხვა ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელობა და მათი გადაწყვეტილებების გაუქმება;
- ▶ პრეზიდენტის მითითებების შესაბამისად სხვა საკითხების გადაწყვეტა.

მიუხედავად ამისა, როგორც წესი, უმნიშვნელოვანესი მოთამაშეები მაინც პრეზიდენტი და მისი მრჩეველების გუნდი არიან, კაბინეტი კი უკანა პლანზე რჩება. 2002 წლამდე პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ძირითადად ცერემონიული იყო, რადგან თითქმის მთელი ძალაუფლება პრეზიდენტის ხელში იყო თავმოყრილი. პრემიერ-მინისტ-

ტრს დიდი ძალაუფლება არც ამჟამად აქვს, თუმცა, პრეზიდენტის გადადგომის შემთხვევაში, მისი ადგილი უნდა დაიკავოს.

### პარლამენტი

1995 წლის კონსტიტუციით აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან პარლამენტის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი იყო. ერთპალატიანი პარლამენტი (მილი მეჯლისი) მაშინ შერეული მაჟორიტარულ-პროპორციული წესით არჩეული 125 წევრისაგან შედგებოდა. მათგან 100 ადგილობრივ დონეზე (ერთმანდატიან ოლქებში) აირჩეოდა, დანარჩენი 25 კი – პარტიული სიების საფუძველზე. საპარლამენტო არჩევნები ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა.

2002 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცების შემდეგ პარლამენტის წევრები პროპორციული წესით აღარ აირჩევიან. ამჟამად 125-ვე დეპუტატი მაჟორიტარული წესითაა არჩეული. ამის შედეგად, ისედაც დანაწევრებული და სუსტი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლობა კიდევ უფრო შემცირდა.

ფორმალურად პარლამენტი აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელია. მას შეუძლია, დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს თანამდებობის პირები და პრეზიდენტს იმპიჩმენტიც კი მოუწყოს. თავისი კომპეტენციის ფარგლებში პარლამენტი უფლებამოსილია საკანონმდებლო ინიციატივებით გამოვიდეს და დადგენილებები მიიღოს, პრეზიდენტის მიერ დასახელებული მოსამართლეები დაამტკიცოს და სხვა. პარლამენტის ერთ-ერთი უმთავრესი უფლებამოსილება სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებაა. ამ უფლებამოსილების გამოყენებით მილი მეჯლისს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზემოქმედებისა და მისი კონტროლის განხორციელების თეორიული საშუალება აქვს.

მაგრამ 1995 წლიდან მილი მეჯლისი თავის ძალასა და დამოუკიდებლობას თანდათანობით კარგავს. ოპოზიციის წევრები პარლამენტში უმცირესობაში იყვნენ და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე რამდენადმე საგრძნობი ზეგავლენის მოხდენა აღარ შეეძლოთ. პარლამენტის უმრავლესობას პრეზიდენტის პარტიის წევრები და მისი სხვა „დამოუკიდებელი“ მომხრეები შეადგენდნენ. უმეტეს შემთხვევაში, პარლამენტი ზერელე განხილვის შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ კანონპროექტებს უბრალოდ ამტკიცებს. ვინაიდან საკანონმდებლო ინიციატივის უფლება პრეზიდენტის ადმინისტრაციას აქვს მონოპოლიზებული, კანონპროექტების უმეტესობას პრეზიდენტის საკანონმდებლო რეფორმების კომისია ამზადებს და შესაბამის საპარლამენტო კომისიას წარუდგენს. შესაბამისად, პარლამენტში კანონების ლობირება არ ხდება.

### პოლიტიკური პარტიები

აზერბაიჯანის მმართველი ელიტა, ძირითადად, რეგიონულ და მფარველობით ურთიერთობებზე დამყარებულ რამდენიმე დაჯგუფებად იყოფა. ეს დაჯგუფებები ერთმანეთს პირამიდის ტიპის განაწილების სისტემის გაკონტროლებაში ეჯიბრებიან, რომ ნავთობის მრეწველობიდან მნიშვნელოვანი თანხების მიღების საშუალება მიეცეთ. ამის გამო აზერბაიჯანში პარტიები დიდწილად რეგიონული და ერთგულების პრინციპით იქმნება.

მმართველი დაჯგუფება „ახალი აზერბაიჯანის პარტიისა (აზპ)“ და რეჟიმთან დაკავშირებული კიდევ რამდენიმე უფრო პატარა პოლიტიკური წარმონაქმნისაგან შედგება. აზპ ნახჩევანისა და ერასის მმართველი რეგიონული დაჯგუფებების ინტერესებს წარმოადგენს. ეს დაჯგუფებები უკვე ათწლეულებია აზერბაიჯანის პოლიტიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ. აზპ-ის კადრების მნიშვნელოვანი ნაწილი ხანგრძლივი სტაჟის მქონე გამოცდილი ფუნქციონერებია, რომლებიც თანამდებობებზე ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან მუშაობენ, როცა ჰეიდარ ალიევის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის პოსტი ეჭირა. ამ „ძველ გვარდასთან“ ერთად აზპ-ში რეფორმისტული ფრთაც არის. ბევრმა მათგანმა განათლება საზღვარგარეთ მიიღო, ახლა კი ამჟამინდელი პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის გარშემოა შემოკრებილი. აზპ-ის 1999 წლის ყრილობაზე რეფორმისტულმა ფრთამ გაიმარჯვა და პარტიაში პოზიციები გაიმყარა.

აზერბაიჯანში თანდათანობით მრავალი სხვადასხვა ტიპის ოპოზიციური პარტიაც ჩამოყალიბდა, თუმცა პოლიტიკურ ცხოვრებაზე რაიმე გავლენა არცერთ მათგანს არა აქვს, რადგან მათი უმეტესობა მცირერიცხოვანი, დაფინანსების არმქონე და საზოგადოებისათვის თითქმის უცნობია. ძირითადი ოპოზიციური პარტიების უმრავლესობას ფესვები დამოუკიდებლობის პირველ წლებში მოქმედ „სახალხო ფრონტი აქვს“. განსხვავებები მათ შორის უფრო ლიდერების პიროვნებებშია, ვიდრე პოლიტიკურ იდეოლოგიაში. ყველა ეს პარტია მემარჯვენე ცენტრისტული და/ან ნაციონალისტური და სეკულარულია. ყველა მათგანი ალიევის რეჟიმის პროდასავლურ საგარეო პოლიტიკას ძირითადად ეთანხმება.

აზერბაიჯანის პოლიტიკის მთავარი მახასიათებლები პიროვნებებშია საძებნი და არა სუსტ და დაქუცმაცებულ პარტიებში. მოსახლეობა ამ პარტიების უმრავლესობას არც კი იცნობს. შესაბამისად, მხარდამჭერების რიცხვიც მინიმალურია. მოსახლეობა კიდევ უფრო იზნევა, როცა „ნამდვილი“ ოპოზიციური პარტიების გასანეიტრალებლად მთავრობა იმავე სახელწოდების მქონე, მაგრამ კონტროლირებად ალტერნატიულ პარტიებს ქმნის.

### საარჩევნო სისტემა

კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ პარლამენტის წევრებისა და პრეზიდენტის არჩევა საყოველთაო, პირდაპირ, თავისუფ-

ფალ, თანასწორ და ფარულ არჩევნებზე უნდა მოხდეს. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარებულად რომ ჩათვლილიყო, უნინ ამომრჩევლების 50 პროცენტის გამოცხადება აუცილებელი იყო, თუმცა ეს მოთხოვნა 2002 წელს გაუქმდა.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცსკ) რეგისტრაციის გასაველად პრეზიდენტობის კანდიდატებმა აზერბაიჯანის 125 საარჩევნო ოლქიდან არანაკლებ 60 ოლქში მცხოვრები 40 ათასი დარეგისტრირებული ამომრჩევლის ხელმოწერა უნდა წარმოადგინონ. ცსკ ხელმოწერების ნამდვილობას ამოწმებს და კანდიდატებს (ან, საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში, პარტიებს) არეგისტრირებს. ოპოზიციის ლიდერები გამუდმებით აკრიტიკებენ მთავრობას იმის გამო, რომ მას არ სურს ოპოზიციას საარჩევნო კომისიებში იმდენივე წარმომადგენელი ჰყავდეს, რამდენიც მმართველ პარტიას.

უნინ საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატს ამომრჩევლების ხმების ორი მესამედი უნდა მოეპოვებინა, რომ არჩევნები მეორე ტურის გარეშე მოეგო. 2002 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით, ეს მოთხოვნა შეიცვალა და ახლა საპრეზიდენტო არჩევნების მოგება პირველივე ტურში ხმების უბრალო უმრავლესობითაც შეიძლება.

ეუთო-სა და არჩევნებში მეთვალყურეებად მოვლენილი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, აქამდე ჩატარებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები არც თავისუფალი ყოფილა და არც სამართლიანი. როგორც საარჩევნო კამპანიის დროს, ისე თვით არჩევნების დღეს უამრავი სხვადასხვა ტიპის სერიოზული დარღვევა გამოვლინდა, მათ შორის, ამომრჩევლების დაშინებაც. უშუალოდ არჩევნების წინ ქვეყნის საინფორმაციო საშუალებები საარჩევნო კამპანიას მიკერძოებულად, პრეზიდენტისა და მმართველი აზპ-ის სასარგებლოდ აშუქებდნენ. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი ხმების მოგროვებაში ხელისუფლება ოპოზიციურ პარტიებს ხელს მუდმივად უშლიდა. არჩევნებში მონაწილეობის საშუალება ცსკ-მ ბევრ კანდიდატსა და პოლიტიკურ პარტიას ძალიან საეჭვო მიზეზების გამო არ მისცა. არჩევნების დღეს გამოვლინდა ხმის რამდენიმეჯერ მიცემის (ბიულეტენების მასობრივად ჩაყრის) შემთხვევები და ძალადობა ოპოზიციის კანდიდატების წინააღმდეგ. ამას გარდა, არის ეჭვი, რომ საარჩევნო სიები გაყალბებული იყო, ხოლო ამომრჩეველთა გამოცხადების მაჩვენებელი – ხელოვნურად გაზრდილი, რომ არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი აუცილებელზე ნაკლები არ ყოფილიყო. მმართველი პარტიის წარმომადგენლები ცენტრალურ და ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში უმრავლესობას შეადგენდნენ და მთელი ქვეყნის მასშტაბით არჩევნების შედეგების გაყალბებაც შეეძლოთ.

2008 წლის აგვისტოში რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ გადაწყვიტა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ბოიკოტი გამოეცხადებინა. ამის მიზეზად ოპოზიციამ

ძირითად მიზეზს ასახელებდა: 1) ცსკ-ისა და 125 რაიონული საარჩევნო კომისიის შემადგენლობა; 2) წინასაარჩევნო კამპანიის ხანგრძლივობის 60-დან 28 დღემდე შემცირება; 3) შეკრების თავისუფლების შეზღუდვა.

საარჩევნო კამპანიის დროს საინფორმაციო საშუალებებში, ძირითადად, პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის საქმიანობა აშუქდებოდა. იმ ფაქტმა, რომ საზოგადოება ოპოზიციის ლიდერებს ნაკლებად იცნობდა, რეჟიმს ნამდვილად გაუადვილა ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, რომ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე გაყალბების დამადასტურებელი არანაირი რეალური საბუთი არ მოიპოვებოდა.

2010 წლის ნოემბერში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მმართველმა აზპ-მ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, ოპოზიციამ კი პარლამენტში ერთი კაციც კი ვერ გაიყვანა. ამ შედეგსაც, ძირითადად, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო საშუალებების მიკერძოებული მუშაობის ხარჯზე მიაღწიეს.

## საინფორმაციო საშუალებები

აზერბაიჯანის კონსტიტუციით, გამოხატვისა და საინფორმაციო საშუალებების თავისუფლება გარანტირებულია, სახელმწიფო ცენზურა კი – აკრძალული. ამას გარდა, 2001 წლის დეკემბერში კანონში „ინფორმაციის მასობრივი საშუალებების შესახებ“ შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა საინფორმაციო საშუალებების რეგისტრაცია, გაადვილდა საინფორმაციო საშუალებების დაფუძნება და მოხსნა რეკლამასა და დაფინანსებაზე დაწესებული შეზღუდვები, რაც საინფორმაციო სააგენტოებს მუშაობის უკეთეს პირობებს უქმნიდა და აუცილებელი სახსრების მოძიების საშუალებას აძლევდა. მიუხედავად ამისა, ეს რეფორმები, ძირითადად, ქალაქებში დარჩა. ამასთან, მხოლოდ ეს ცვლილებები საინფორმაციო საშუალებების თავისუფლების უზრუნველსაყოფად საკმარისი არ აღმოჩნდა.

აზერბაიჯანში ინფორმაციის გავრცელებაზე ოფიციალურად თითქმის არანაირი შეზღუდვები არ არის დაწესებული, მაგრამ მთავრობა საინფორმაციო საშუალებებს მაინც მკაცრად აკონტროლებს. პრესის თავისუფლებისა და საინფორმაციო საშუალებების დამოუკიდებლობის შეზღუდვის მიზნით პრაქტიკაში მრავალი სხვადასხვა საშუალება გამოიყენება. მათ შორის ყველაზე გავრცელებული მეთოდი ეკონომიკური ზენოლაა.

აზერბაიჯანული გაზეთების უმეტესობა კომერციულ რეკლამაზე დიდად არის დამოკიდებული, მთავრობა კი კერძო კომპანიებს ოპოზიციურ გაზეთებში რეკლამის განთავსებას უშლის. სახელმწიფო კომპანიები ოპოზიციურ გაზეთებს რეკლამას არ უკვეთენ. ოპოზიციური გამოცემების გავრცელება დედაქალაქის ფარგლებს გარეთ ხშირად



ფერხდება. საერთოდ, დამოუკიდებელი და ოპოზიციური გაზეთები დაბალი ტირაჟის, შეზღუდული სარეკლამო შემოსავლებისა და ცილისწამებისათვის დანესებული მაღალი ჯარიმების ან თანამშრომლების დაპატიმრების გამო სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს აწყდებიან.

ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობისათვის ინფორმაციის ძირითადი წყარო ტელევიზიებია, რომლებიც ან მთავრობის მფლობელობაში ან მჭიდროდაა მასთან დაკავშირებული. 16 ტელევიზიიდან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ ოთხი მაუწყებლობს და ოთხივე, ან ლიად ან სავარაუდოდ, მმართველ რეჟიმთან არის დაკავშირებული.

### სამოქალაქო საზოგადოება

ჯგუფური ინტერესების გამოხატვის დროს აზერბაიჯანში განმსაზღვრელი ფაქტორი თავისიანებად და უცხოებად დაყოფაა. ინტერესთა ცალკეული ჯგუფების მიზანი ლობირების მეშვეობით პოლიტიკური სისტემის შეცვლა კი არა, არსებული სისტემის ნაწილად ქცევაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტერესთა ცალკეული ჯგუფების წარმომადგენლობა აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მის ადმინისტრაციულ ორგანოებში კოოპტირებული წევრის სახით შესვლის გზით მიიღწევა.

სამოქალაქო საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა აზერბაიჯანში ოფიციალურად დაშვებულია, მაგრამ მათ განვითარებას ხელს ისეთი სისტემური პრობლემები უშლის, როგორცაა ჯგუფების წევრებს შორის ღირებულებრივი შეუთანხმებლობა, შეზღუდული რესურსები, ცუდი ინფრასტრუქტურა (თანხების უკმარისობა, საორგანიზაციო და საკადრო პრობლემები და ა.შ.), საზოგადოებაში გამეფებული სოციალური აპათია და მთავრობის მიერ გატარებული რეპრესიების გამო პოლიტიკური წინსვლის მექანიზმების თანდათანობითი მოშლა. არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაციის პროცესი, რომელიც ისედაც

თვითნებური და პოლიტიზებული იყო, 2005 წელს საერთოდ შეწყდა.

შედეგად, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების ან პოლიტიკის შემუშავებაზე ზეგავლენის მოხდენის უნარი არა აქვთ. პოლიტიკური ველი, რომელიც მუდმივად ვიწროვდება, მათ მხოლოდ „უმტკიცებულო საკითხებზე“, მაგალითად, ქალისა და ბავშვის უფლებებზე მუშაობის საშუალებას აძლევს.

ამ მხრივ, გამონაკლისი მხოლოდ ნავთობის მოპოვებით მიღებულ შემოსავლებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებია. 2009 წლის თებერვალში აზერბაიჯანი პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც მომპოვებელი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI) მოთხოვნები შეასრულა. მას შემდეგ მთავრობამ ვალდებულება აიღო EITI-ს განხორციელების საკითხებზე სამოქალაქო საზოგადოებასა და კომპანიებთან ერთად ემუშავა. EITI-ს სარატიფიკაციო კრიტერიუმების თანახმად, EITI-ში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოებრივ ჯგუფებს მოსაზრების გამოთქმა თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვებისა და წინააღმდეგობის გადალახვის გარეშე უნდა შეეძლოს.

### დასკვნა

მმართველი ელიტები ქვეყნის ოფიციალურ პოლიტიკურ სისტემას ოპოზიციის შესავიწროვებლად და საკუთარი ხელისუფლების განსამტკიცებლად რეგულარულად იყენებს. შესაბამისად, აზერბაიჯანში ხელისუფლების კანონიერი გზით შეცვლა ნაკლებად სავარაუდოა. ამასთან, დემოკრატიული ინსტიტუტების „ფასადური“ მხარე სხვა ქვეყნების მთავრობებთან, ინვესტორებთან და დონორებთან ურთიერთობაში აზერბაიჯანის რეპუტაციისთვის ლეღვის ფოთლის მოვალეობას ასრულებს, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ხელმძღვანელობა ამ ლეღვის ფოთოლს სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

### ავტორის შესახებ:

დოქტორი ანდრეას ჰაინრიხი ბრემენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევითი ცენტრის მეცნიერია. ეს სტატია „ფოლკსვაგენის ფონდის“ მიერ დაფინანსებული საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ფარგლებში დაინერა. პროექტის სახელწოდებაა „ენერგეტიკის სექტორი და რეჟიმების პოლიტიკური სტაბილურობა კასპის ზღვის რეგიონში: ყაზახეთისა და აზერბაიჯანის შედარებითი ანალიზი“.

### დამატებითი საკითხავი:

ეს სტატია უფრო დიდწიანანი ანალიზის საგრძნობლად შემცირებული ვარიანტია. სრული ტექსტი – Andreas Heinrich (2010): **Background Study: The Formal Political System in Azerbaijan and Kazakhstan. Bremen: Research Centre for East European Studies (Arbeitspapiere und Materialien – Forschungsstelle Osteuropa, No. 107),** – იხ. მისამართზე: <http://www.forschungsstelle.uni-bremen.de/images/stories/pdf/ap/fssoap107.pdf>

საკუთრების უფლება

# საჩუქარი თავისუფლების სანასვლოდ

როგორ მოიპოვეს პატრიოტებმა „ყვავილნარი“.

ნანა ბიგანიშვილი, სტუდია „მონიტორი“

2005 წლის ზაფხულში გურიაში, სოფელ გრიგოლეთში პატრიოტთა ბანაკი გაიხსნა. სანატორიუმ „ყვავილნარის“ კოტეჯები სახელმწიფომ იქირავა და იქ რამდენიმე ათეულმა „პატრიოტმა“ საზაფხულო არდადეგები გაატარა.

დასვენების სეზონი სექტემბერში დამთავრდა. 6 თვის შემდეგ, 2006 წლის თებერვალში შპს „ყვავილნარის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, კორნელი კუკულაძე ქუთაისში, საოლქო პროკურატურაში დაიბარეს.

„მეგონა, რამე საქმეზე მონმე ვიყავი,“ – იხსენებს კორნელი კუკულაძე. „თუმცა, საუბრისას შევატყვე, რომ უნდა დამიჭირონ. მითხრეს, თითქოს კანონი დავარღვეე – მინა არ მქონდა გამოყოფილი და ნახაზები არ მქონდა. თითქოს მე ერთ ლამეს, პარტიზანულად შემოვედი ამ ტერიტორიაზე და ავაშენე ეს 50 კოტეჯი თავისი სასადილოთი და ბარით“.

დაკითხვის შემდეგ კორნელი კუკულაძე დააპატიმრეს. საბრალდებო დოკუმენტში ვკითხულობთ: „უკანონო მეთოდებით კორნელი კუკულაძემ მოახერხა ლანჩხუთის რაიონის სოფელ წყალწმინდაში შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიაზე „ფიჭვნარში“ 49 ერთეული კოტეჯის, საპირფარეოს, სასადილო შენობის, საწყობისა და საყარაულო ჯიხურის აგება, დასასვენებელი კომპლექსისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის თაღლითური გზით დასაუფლებლად“.

პროკურატურამ არ გაითვალისწინა ის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ კუკულაძეებმა ტერიტორია 2001 წელს მიწის რეფორმის ფარგლებში სახელმწიფოსგან გამოსიყიდეს და

საჯარო რეესტრშიც დაირეგისტრირეს.

კორნელი კუკულაძის თქმით, პროკურატურაში მისგან პირდაპირ მოითხოვეს კერძო საკუთრების, ზღვის სანაპიროზე მიწის და მასზე განთავსებული კოტეჯების სახელმწიფოსთვის ჩუქება. ეს სწორედ ის კოტეჯები იყო, სადაც ზაფხულში „პატრიოტები“ ისვენებდნენ.

„ვუთხარი, რას აკეთებ-მეთქი. ასე მაქვს დაფალებულიო, – მიპასუხა. ზემდგომი აპარატიდან გენერალურ პროკურორს აბრალედა. ასეთ ბოროტებას ნუ გააკეთებ, 20 წლის ნაშრომს მართმევ-მეთქი,“ – იხსენებს კორნელი კუკულაძე პროკურატურის თანამშრომელთან საუბარს.

„სამი დღის მერე, 6 კოტეჯს დაგიტოვეთო, მითხრეს. თუ არ დათანხმდები, ჯერ ორი თვით ჩაგვამთ. მერე, კიდევ გაგიგრძელებთ, საერთოდ ყველაფერს წაგართმევთ, არაფერს დაგიტოვებთ და იქნები ციხეშიო. კაი, ბიძია, – ვუთხარი და წამოვედი“, – ამბობს კუკულაძე.

2006 წლის 10 თებერვალს, ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლემ დურმიძხან ჟორჟოლიანმა დააკამყოფილა პროკურორის ალექსანდრე ჭაბუკიანის და გამომძიებლის დავით ლეპერტის შუამდგომლობა და პატიმრობის ნაცვლად აღმკვეთ ღონისძიებად გირაოს სახით კორნელი კუკულაძეს 600 ათასი დოლარის გადახდა შეუფარდა.

ვატო კუკულაძე ამბობს, რომ მან მამის თავისუფლების სანაცვლოდ, ძვირადღირებული ქონება დათმო და გირაო გადაიხადა. „მამა მეუბნებოდა, თუ რამე გამოვა და აზრი აქვს ბრძო-



ლას, მზად ვარ, ციხეში წავიდეო. 60 წლისაა კაცი და როგორ მეთქვა, კი, წადი-მეთქი. იქ რამე რომ მოსვლოდა, საკუთარ თავს ვერ ვაპატიებდი და ვუთხარი, წავიდეთ სახლში. რაც არის, ეგ არის, ვაჩუქოთ-მეთქი“, – იხსენებს ვატო კუკულაძე.

„მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის რაიონის სოფელ წყალწმინდაში საკუთრებაში მქონდა უკანონოდ მისაკუთრებული 6, 8 ჰა მიწის ნაკვეთი, რომლიდანაც ვინაიდან გავაცნობიერე ჩემი ჩადენილი დანაშაული, 6 ჰა მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 25 კოტეჯით დაფუზრუნე და ვაჩუქე უსასყიდლოდ, როგორც უკანონოდ მისაკუთრებული, სახელმწიფოს, რაზედაც განცხადებით მივმართე ლანჩხუთის პრევატიზების სამმართველოს“.

ეს განცხადება კორნელი კუკულაძემ დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორის, მიხეილ ჩოგოვადის სახელზე დაპატიმრებიდან მესამე დღეს დაწერა. ქუთაისის საოლქო სასამართლოდან კუკულაძე პროკურატურაში დააბრუნეს. იქ მას უკვე ელოდნენ ნო-

ტარიუსი და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი.

კუკულაძე იხსენებს, რომ ქონების გაჩუქება გაუჭირდა. განცხადების წერის დროს ხელი აუკანკალდა და ტექსტის დასრულება ვერ შეძლო. ჩუქების განცხადების დაწერაში, როგორც კორნელი კუკულაძე ამბობს, ვინმე მიაა აფხაზავა დაეხმარა. მიაა აფხაზავა იმ დროს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი იყო. მართლაც, განცხადებაში განსხვავებული კალიგრაფი-

იყო“, – აცხადებს მიაა აფხაზავა.

ქონების ჩუქებისთანავე კუკულაძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. ერთ თვეში ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, მარინე კიკნაძემ კორნელი კუკულაძე თაღლითობის მუხლით დამნაშავედ სცნო და 3 წელი პირობითი სასჯელი მიუსაჯა.

ქონების ჩამორთმევის შემდეგ კორნელი კუკულაძეს 8000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი და 6 კოტეჯი დარჩა.

ჩივილი სასამართლოში. რად მინდოდა ჩივილი, როცა საბუთი მაქვს?“ – ამბობს კუკულაძე.

კორნელი კუკულაძემ საქართველოს პარლამენტსაც მიმართა და დახმარება ითხოვა. თუმცა 2 წლის განმავლობაში ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტმა მას გზის გაყვანის საშუალება არ მისცა.

ჩვენ ლადო ვარძელაშვილს ტელეფონით დავუკავშირდით.

„ეკონომიკის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულებით, კუკულაძეს



სანატორიუმი „ყვავილნარი“ მეპატრონემ სახელმწიფოს საჩუქრად გადასცა

თაა მინერილი: „სურვილი მაქვს, ჩემს საკუთრებაში, სოფელ წყალმინდაში მდებარე 6,8327 ჰექტრიდან დავიტოვო 0,8327, ხოლო დანარჩენი 6 ჰექტარი გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ“.

„რატომ უნდა ეჩუქებინა კორნელი კუკულაძეს სახელმწიფოსთვის ქონება?“ – ვეკითხებით მიაა აფხაზავას.

„ეს კორნელი კუკულაძეს ჰკითხეთ, რატომ აჩუქა სახელმწიფოს ქონება,“ – ამბობს აფხაზავა.

„კორნელი კუკულაძე აცხადებს, რომ იგი დაიჭირეს და თავისუფლების სანაცვლოდ აიძულეს, გადაეცა ქონება. თქვენ ესწრებით საქმის განხილვას?“

„არა, რა თქმა უნდა, მე არ ვესწრებოდი. უბრალოდ, კორნელი მოვიდა და მითხრა, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ თმობს ქონებას და გაფორმდა ეს სანოტარო აქტი. 2006 წლის ამბებია და დაწვრილებით არ მახსოვს“.

„არ დაინტერესდით, რატომ ჩუქნიდა?“

„მე რატომ უნდა დაინტერესებუ-ლიყავი? ეს კორნელის გადასანყვეტი

„მითხრეს, რაც დაგჩა, იმ ფართობის მიწა აირჩიო. ავირჩიე მიწა ზღვის პირას. იქამდე მისასვლელად უნდა გაიარო ჩამორთმეული ტერიტორია“, – ამბობს კორნელი კუკულაძე.

ეკონომიკის სამინისტრომ კუკულაძეს ხელშეკრულება გაუფორმა და გზის შეყვანის უფლება მისცა. გზა ჩამორთმეულ ნაკვეთზე, ახლანდელი პატრიოტთა ბანაკის ტერიტორიაზე გადიოდა. თუმცა, ოფიციალური ნებართვის მიუხედავად, კუკულაძეს გზის გაყვანის უფლება არ მისცეს – მას ეს ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტმა აუკრძალა. როგორც ვატო კუკულაძე აცხადებს, პატრიოტთა ბანაკის წარმომადგენლები გზის მშენებლობას ფიზიკურად უშლიდნენ ხელს. მისი თქმით, მოლაპარაკება, იმ დროს შიდა ქართლის გუბერნატორთან, ლადო ვარძელაშვილთან მიმდინარეობდა.

„ტრაქტორი მოვიყვანეთ და დავინყეთ გზის გაყვანა. უცებ, მოვიდა პოლიცია, გააჩერეს ტრაქტორისტი, ჩამოაგდეს მანქანიდან, წაიყვანეს. მივედი გამგებელთან. გამგებელმა მითხრა, უნდა

უფლება ჰქონდა ბანაკის ტერიტორიაზე გაეყვანა გზა. რატომ არ მიეცით ამის საშუალება?“

„იმიტომ, რომ ამ გზას უნდა გაეგლო ჩვენს საკუთრებაზე და ჩემს ტერიტორიაზე არავის აქვს უფლება, გაიაროს. ჯერ ერთი, მაგას თავის დროზე მითვისებული ჰქონდა სახელმწიფო მიწა, შემდეგ აღიარა და დაუბრუნა სახელმწიფოს. რატომ დააბრუნა, თუ უკანონოდ არ ფლობდა?“

2008 წელს კუკულაძეები იძულებულნი გახდნენ, ზღვის პირას მდებარე ქონება გაეყიდათ, რადგან გზის არ არსებობის გამო კოტეჯებს ვერ ამუშავებდნენ. ახალმა მეპატრონემ გზაც გაიყვანა და დასასვენებელი კომპლექსიც ააშენა.

ქონების გაყიდვის შემდეგ კორნელი კუკულაძემ ლანჩხუთის რაიონის საგადასახადო სამსახურს მიაკითხა იმის გასარკვევად, ეკუთვნოდა თუ არა რაიმე გადასახადი. როგორც თავად აცხადებს, მას პროფესიული კონსულტაცია სამსახურის უფროსის მოადგილემ, ანტონ ბარამიძემ გაუწია.



„მითხრა, თუ ეს ტერიტორია ორი წელიწადია მაქვს, არ მეკუთვნოდა არაფრის გადახდა. მაშინვე უნდა გამოემართა ქალაქი მაგრამ, მე ვენდე და წამოვედი.“

ცოტა ხანში კუკულაძე საგადასახადოში კვლავ დაიბარეს და დეკლარაციის შევსება მოსთხოვეს.

ქონების სახელმწიფოზე გადაფორმების შემდეგ, ზღვის სანაპიროზე, საკუთარ მიწაზე კუკულაძეების ოჯახმა ბუნებრივ აამუშავა. ამისთვის, კორნელი კუკულაძე 2008 წელს ინდემნარმედ დარეგისტრირდა.

„მენარმის საბუთით ხდებოდა ურთიერთობა საგადასახადოსთან. ვყიდვით ნაყინს, ლუდს და გამაგრებულ სასმელებს და ვივაჭრეთ 4500 ლარი, რომელიც ნაჩვენებია დეკლარაციაში“, – იხსენებს ვატო კუკულაძე.

საგადასახადო სამსახურს 2008 წლის საანგარიშო წლის დეკლარაცია კუკულაძემ 2009 წლის მარტში წარუდგინა. როგორც ვატო კუკულაძე განმარტავს, საგადასახადო სამსახურში კორნელი კუკულაძე შეცდომაში შეიყვანეს და მას ინდემნარმის დეკლარაციაში მიწის გაყიდვაც მიათითებინეს. თუმცა, ეს მიწა მან როგორც ფიზიკურმა პირმა, ისე გაყიდა.

„ეს გაყიდვა არ უნდა შეეტანა დეკლარაციაში იმიტომ, რომ როგორც ინდემნარმეს არ გაუყიდა ის. მოკლედ, თავშივე დაუშვა საბედისწერო შეცდომა“, – ამბობს ვატო კუკულაძე.

დეკლარაციის წარდგენის შემდეგ საგადასახადო სამსახურში ი/მ კუკულაძის შემონიშნების ბრძანება გაიცა. საბოლოოდ, კორნელი კუკულაძეს 574 213 ლარის გადახდა დაეკისრა. 574 213 ლარიდან 177 425 ლარი საშემოსავლო გადასახადი იყო, 264 878 ლარი დამატებითი ღირებულების გადასახადი, ხოლო ჯარიმამ 133 069 ლარი შეადგინა. კიდევ 500 ლარით კუკულაძე სალარო აპარატის უქონლობისთვის დაჯარიმდა.

კანონის თანახმად, ქონება საშემოსავლო გადასახადით მხოლოდ ორ შემთხვევაში იბეგრება. პირველი, როცა მფლობელი ქონებას შექენიდან 2 წლის განმავლობაში გაყიდის მას და

მეორე, როცა ამ ქონებას ეკონომიკური საქმიანობისთვის იყენებს. კუკულაძეების ადვოკატი, პროფესორი როინ მიგრიაული, რომელსაც საგადასახადო სამსახურებთან წარმოებული დავების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, საგადასახადო აქტს უკანონოდ მიიჩნევს.

„ჯერ ერთი, კორნელი კუკულაძემ ქონება სამი წლის შემდეგ გაყიდა და მეორეც, ის ამ ქონებას არ იყენებდა სამენარმეო ეკონომიკურ საქმიანობაში. ეს ყველაფერი გამორიცხავდა კორნელი კუკულაძის, როგორც საშემოსავლო გა-

## ■ პროკურატურაში კუკულაძისგან მოითხოვეს კერძო საკუთრების, ზღვის სანაპიროზე მიწის და მასზე განთავსებული კოტეჯების სახელმწიფოსთვის ჩუქება. ეს სწორედ ის კოტეჯები იყო, სადაც ზაფხულში „პატრიოტები“ ისვენებდნენ.

დამხდელის გადასახადით დაბეგრას“, – ამბობს მიგრიაული.

ვატო კუკულაძის განცხადებით, საგადასახადო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ანტონ ბარამიძემ მათ კიდევ ერთი რჩევა მისცა – დაკისრებული გადასახადი რომ შეემსუბუქებინათ, კუკულაძეებს მიღებული შემოსავლის ხარჯვა უნდა ეჩვენებინათ. კორნელი კუკულაძემ ამ რჩევის გათვალისწინებით, ფოთში სასადილო და შეკვეთილში მიწის ნაკვეთი შეიძინა და საკუთარ სახელზე დაირეგისტრირა. ასევე გადაიფორმა თბილისში 15 წლის წინ შექენილი ბინა, რომელსაც მანამდე მისი შვილი ფლობდა.

ზემოთ ჩამოთვლილი მთელი ქონება კორნელი კუკულაძის სახელზე ასა-

ხვისთანავე საგადასახადო სამსახურმა დააყადაღა.

ამ ოპერაციის შემდეგ ანტონ ბარამიძე დაანინაურეს, ახლა ის გურიის საშემოსავლო სამსახურის უფროსია. კორნელი კუკულაძის საკითხზე ის სტუდია „მონიტორთან“ კომენტარს არ აკეთებს. სატელეფონო საუბარში კი ადასტურებს, რომ კორნელი კუკულაძეს რამდენიმე რჩევა მართლაც მისცა: „კი, ბატონო, იყო საგადასახადოში, გაიარა კონსულტაცია. რაც კითხვები დასვა, მიიღო შესაბამისი პასუხები“.

კუკულაძის 310 ათასი ლარით დაჯარიმებიდან 2 თვეში აქტის შემდგენები, საგადასახდოს 3 თანამშრომელი – დობორჯგინიძე, რუსეიშვილი და თავართქილაძე დააპატიმრეს. მათ ბრალი დასდეს, რომ კორნელი კუკულაძე მიწის გაყიდვის შემდეგ დამატებითი ღირებულების გადასახადით არ დაბეგრეს.

კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორი, სამართლის დოქტორ ზვიად როგავას ეს ფაქტი უკვირს. ის განმარტავს, რომ 2008 წელს მოქმედი საგადასახადო კანონით მიწა დამატებითი ღირებულების გადასახადით არ იბეგრებოდა.

„2009 წლამდე, საქართველოს პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანამდე, მიწა საერთოდ არ განიხილებოდა, როგორც საქონელი დღგ-ს მიზნებისათვის“.

პატიმრობაში 3 თვის გატარების შემდეგ საგადასახადოს ინსპექტორებთან პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გააფორმა. მათ აღიარეს, რომ გადასახადი კუკულაძეს მისივე თხოვნით არ დაარიცხეს. აღიარების შემდეგ მათ პირობითი სასჯელი და 5000 ლარის ოდენობით ჯარიმა შეეფარდათ.

„ფიზიკურად არ მიცნობდა კაცი. იმ მეორეს ახლაც არ ვიცნობ. ვის სჭირდება ეს, მე არ ვიცი“, – ამბობს კორნელი კუკულაძე და ყველანაირ გარიგებას უარყოფს.

თანამშრომლების გასამართლების შემდეგ, გურიის საგადასახადო ინსპექციამ კორნელი კუკულაძეს დღგ 264 878 ლარი დააკისრა და კუკულაძის გადასახდელმა თანხამ 574 213 ლარს მიაღწია.

გურიის საგადასახადო სამსახურის უფროსი ანტონ ბარამიძე აცხადებს, რომ დამატებითი ღირებულების გადასახადი კუკულაძეს საგადასახადო ინსპექციამ კი არა, ფინანსურმა პოლიციამ დააკისრა: „ფინანსური პოლიციის ექსპერტიზის სამმართველოდან გამოიგზავნა აქტი. იმ აქტის შესახებ მე ვერაფერს ვერ გეტყვით, ჩვენი დანერვილი არ იყო.“


„ეს დაუფერებელი ფაქტია. როგორ შეიძლება დაბეგრო ის, რაც დასაბეგრი ობიექტი არ არის. დაბეგვრა არის იურიდიული ფაქტი, რაც წარმოშობს საგადასახადო შედეგებს. ამ შემთხვევაში, ეს იურიდიული ფაქტი არ მომხდარა“ – ამბობს ზვიად როგავა.

დაუფერებელი საგადასახადო დავალიანება კორნელი კუკულაძემ ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში გაასაჩივრა. საბჭომ გადაწყვეტილება 4 თვის შემდეგ მიიღო: ლანჩხუთის რაიონულ სასამართლოში დაკისრებული ჯარიმა უცვლელი დატოვდა.

ამის შემდეგ, გურიის საგადასახადო სამსახურმა 2007 წელს მიღებული კანონის საფუძველზე სასამართლოსგან კორნელი კუკულაძის მფლობელობაში არსებული ქონების დაყადაღება მოითხოვა. სასამართლომ საგადასახადო სამსახურის ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ქონების დაყადაღება ოჯახის 3 მცირეწლოვანი წევრის თვალწინ მოხდა. „დედამისის მანქანას ლუქი რომ დაადეს, ბავშვს აუვარდა ისტერიკული ტირილი – „დედიკოს მანქანა, დედიკოს მანქანა“, – ყვიროდა და კანკალი აუვარდა,“ – იხსენებს ლარისა კუკულაძე.

კუკულაძეების ოჯახის ანგარიშებს ინკასო დაადეს და პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხება ოჯახის დიასახლისის მიერ სახლის ნაწილის გაქირავებიდან შემოსული თანხაც.

„რით ვარჩინო ეს ბავშვები? ხომ უნდა მქონდეს საარსებო წყარო? ჩემი ძირითადი შემოსავალი არის ეს ფართი. ვკითხე, როგორ გავიტანოთ ოჯახი-მეთქი. ეგ თქვენზეა დამოკიდებულიო, თქვენ როგორც გინდათ, ისე ქენითო, მიპასუხეს,“ – იხსენებს ლარისა კუკულაძე. 



იკითხეთ  
ლიბერალის პორტალზე  
[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)



### **მულტიმედია** **„მარშუტკის“ მძღოლების გაფიცვა**

მიუხედავად დისკომფორტისა, მგზავრები გაფიცულ მძღოლებს თანაუგრძნობენ.

### **გივი ვაღარის პლომი** **ხართ თუ არა ათეისტები** **ბორბოტი ალამიანები?**

მე ქრისტიანი ვარ და მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს მივეკუთვნები. ვაფასებ ისეთ მორწმუნეებს, რომლებიც პატივს სცემენ ჩემს გადწყვეტილებას და ჩემი საქმეების მიხედვით მსჯიან და არა მიკუთვნებულობის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი მსოფლმხედველობა არ ეფუძნება სხვა ადამიანებისთვის ზიანის მიყენებას, ადამიანის უფლებების დარღვევას, ადამიანების დისკრიმინაციას მათი კანის ფერის, სქესის, რელიგიის, ეთნიკური წარმოშობის და სექსუალური ორიენტაციის მიხედვით.

### **ნიკო გაჩიშვილის პლომი** **ცხოვრება სამის თხუთმეტი წუთის შემდეგ**

„მე სადისტი ვარ, ჩემი უნდა გეშინოდეთ, ნიშნებს იმის მიხედვით ვწერ, როგორ ხასიათზეც ვარ“, – ლიბლით გამოუცხადა მათემატიკის ახალმა მასწავლებელმა მოსწავლეებს თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. ძველი მასწავლებელი კლასიდან მშობლების დაფინანსებული მოთხოვნის შემდეგ გაუშვეს, რადგან ყვიროდა, გაკვეთილს არ ხსნიდა, ბავშვებს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა.

### **მულტიმედია** **ინტარვიუ ნიკა ვაჩიშვილთან**

თურქეთში ქართული ძეგლების აღდგენის გეგმებზე

### **ინტარვიუ რუსთაველთან** **ვანო გრამაქაშვილთან**

რა მდგომარეობაშია ოშკი და იშხანი



### **ფოტორეპორტაჟი** **ეძსპედიცია** **ტაო-კლარჯეთში**

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

საგარეო ვალი

# ვინაობები

საქართველოს საგარეო ვალმა 7 მილიარდ ლარს და მთლიანი შიდა პროდუქტის 38%-ს გადააჭარბა. მთავრობა აცხადებს, რომ მდგომარეობა „საგანგაშო“ არ არის და ახალი ვალის ასაღებად ემზადება.

მანანა ვარდიაშვილი



ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2011 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, საგარეო ვალი 7 244 მილიონ 210 ათასი ლარია (4 მილიარდ 4 მილიონ 760 ათასი ამერიკული დოლარი).

2009 წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი – 5 მილიარდ 700 მილიონი ლარი იყო, 2008 წელს – 4 მილიარდ 486 მილიონი; 2007 წელს – 2 მილიარდ 849 მილიონი.

საქართველოს ყველაზე მეტი მრავალმხრივი კრედიტორების მართებს, სულ 2 მილიარდ 911 მლნ 680 ათასი დოლარი. აქედან მსოფლიო ბანკის ვალი 1 მილიარდ 201 მილიონ 778 ათასი დოლარია, საერთაშორისო სავალუტო ფონდის – 1 მილიარდ 58 მილიონი, ხოლო აზიის განვითარების ბანკის – 332 მილიონ 490 ათასი დოლარი.

ორმხრივი კრედიტორებისგან აღებული ვალებიდან ყველაზე მეტი გერმანიის ვალია – 234 მილიონ 491 ათასი დოლარი; შემდეგ მოდიან: რუსეთი – 116 მილიონ 654 ათასი დოლარი; იაპონია – 56 მილიონი და ამერიკის შეერთებული შტატები – 35 მილიონი დოლარი. საქართველოს დსთ-ს წევრი ქვეყნების ვალიც აქვს: მათ შორის, ყაზახეთის – 27 მილიონი, სომხეთის – 16 მილიონი და აზერბაიჯანის – 14 მილიონი ამერიკული დოლარი.

2004 წლიდან საქართველოს მთავრობამ მაღალი ეკონომიკური ზრდისა და ლარის სტაბილური კურსის

2004 წლიდან საქართველოს მთავრობამ მაღალი ეკონომიკური ზრდისა და ლარის სტაბილური კურსის



მეშვეობით საგარეო ვალის შემცირება მოახერხა. სახელმწიფო საგარეო ვალის მდგრადობა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ერთ-ერთი ძლიერი მხარე იყო, რასაც ბოლო წლებში საქართველოსთან მომუშავე ორი სარეიტინგო სააგენტო: „Standard & Poor’s“ და „Fitch“ —იც აღიარებდა.

ქვეყნის ხელმძღვანელობა დიდი ხნის განმავლობაში აცხადებდა, რომ სახელმწიფო საგარეო ვალს პრაგმატულად მართავდა და მას ეროვნული განვითარების და საინვესტიციო პრიორიტეტების შესაბამისად იყენებდა, უცხოური წყაროებიდან მიღებული გრძელვადიანი და დაბალპროცენტური სესხები კი, ძირითადად, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენებოდა.

მდგომარეობა 2008 წლიდან შეიცვალა. 2008 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები — ევროობლიგაციები გამოუშვა, აგვისტოს ცნობილი მოვლენების შემდეგ კი რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით სესხები დონორი

დაკავშირებით საქმე სხვაგვარადაა: მთავრობამ 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი ისე აიღო, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდა, მას „ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“ რომელი პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენებდა.

500 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების საქართველოს სახელმწიფო ევროობლიგაციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე კომპანიებმა UBS-მა და JP Morgan-მა განათავსეს. ობლიგაციების ნახევარი ბრიტანელმა ინვესტორებმა შეიძინეს, 13 პროცენტი კი ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული ამერიკული კომპანიების ანგარიშებზე გადავიდა.

ევროობლიგაციების ემისიასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ნათქვამია, რომ „აღნიშნულმა ტრანზაქციამ ქვეყანა საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებს და მრავალ მსხვილ ინსტიტუციონალურ ინვესტორს გააცნო და, შესაბამისად, ქვეყანაში დივერსიფიცირებული კაპიტალის შემოდინების ნახალისების სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტს წარმოადგენდა“.

თავდაპირველად ითქვა, რომ ევროობლიგაციების ემისიიდან მიღებული შემოსავლები დაკარგული

ბრივად, საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე საქართველოს ცნობადობის გაზრდისა და საკრედიტო რისკის სტანდარტის დასადგენად ავიღეთ. ამისთვის კი ქართველმა გადასახადის გადამხდელმა მარტო ვალის მომსახურების სახით წლიურად 37,5 მილიონი აშშ დოლარი უნდა ვიხადოთ.

ამჟამად საქართველოს საგარეო ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში 38%-ს შეადგენს. „სხვა ქვეყნების მდგომარეობას თუ გადავხედავთ, ეს არცთუ ისე ცუდი მაჩვენებელია“, — ამბობს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური და კმაყოფილების მიზეზსაც განმარტავს: „მაშინ, როდესაც მაასტრიხტის კრიტერიუმის მიხედვით, მშპ-ს 60%-მდე საგარეო ვალი ჯანსაღად ითვლება, საქართველოს ვალი მშპ-ს 38%-ს შეადგენს. ამ სესხის დიდი ნაწილი დაბალპროცენტურია, გადახდის ვადა კი ხანგრძლივი“.

ევროობლიგაციების ემისიიდან მიღებული შემოსავალი საქართველოს საგარეო სესხის პორტფელის ყველაზე მოკლევადიანი და ძვირადღირებული ნაწილია — ევროობლიგაციები 5 წლის ვადით არის გამოშვებული და მისი წლიური საპროცენტო განაკვეთი 7,5%-ს შეადგენს (ბოლო დროს ევრო-

**„ყოველი შემდგომი თაობისთვის სამართავად შემცირებული ფინანსური ვალდებულებების მქონე ქვეყნის გადაცემა“ მხოლოდ ქალაქებში დეკლარირებულ ღირებულებად რჩება და მთავრობა ვალების აღებას ისევ აქტიურად აგრძელებს.**

ქვეყნებიდანაც აიღო: ბრიუსელის დონორთა კონფერენციის შემდეგ საქართველოსთვის გამოყოფილი 4,5 მილიარდი დოლარიდან 2,5 მილიარდი დოლარი სესხია.

თუ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან აღებული ვალები „ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენებოდა“, ევროობლიგაციებთან

ტერიტორიების რეინტეგრაციას მოხმარებოდა. თუმცა სესხად აღებული 500 მილიონი აშშ დოლარი რუსეთის სამხედრო აგრესიის შემდეგ ბიუჯეტში გადამისამართდა და მიმდინარე საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსებას მოხმარდა. მსოფლიო საფინანსო კრიზისის გამო ამ ტრანზაქციამ ქვეყანაში დივერსიფიცირებული კაპიტალის შემოდინება ვერ ნახალისა. რაც იმას ნიშნავს, რომ ნახევარი მილიარდი დოლარის ოდენობის ვალი, ფაქტო-

ბონდის საპროცენტო განაკვეთი საქართველოსთვის შემცირდა).

ლონდონის საფონდო ბირჟაზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განათავსების შედეგად აღებული ვალის გადახდა 2013 წელს უნდა დაეიწყათ. 2 წლის შემდეგ მარტო ევროობლიგაციებით აღებული სესხის დაფარვის მიზნით 800 მილიონი დოლარის გადახდა მოგვიწევს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ძალიან მძიმე ტვირთი იქნება.

„ეს ნამდვილად არ არის საგანგაშო სიტუაცია და გაუგებარია ის აჟიოტაჟი, რომელიც ამ თემის ირგვლივ ატყდა ბოლო პერიოდში“, – ამბობს ფინანსთა მინისტრი კახა ბაინდურაშვილი. „2013 წელი არაფრით არ არის განსაკუთრებული წელი. ყველაზე მაღალი გადახდა გვიწევს, მაგრამ ეს ჩვეულებრივი, ნორმალური პროცესია: სახელმწიფო გამოუშვებს იმავე რაოდენობის ვერობონდს და ძველს დაფარავს. ჩვენი მთავარი მიზანია, ვერობონდების ხანგრძლივობა 5-დან 7 ან 10 წლამდე გაიზარდოს“, – განმარტავს ფინანსთა მინისტრი.

ნამყვანი საერთაშორისო ბანკების დახმარებით ახალი, 10-წლიანი ვერობლიგაციების გამოშვების გეგმის თაობაზე პრემიერ-მინისტრიც ღიად საუბრობს.

„ახალი ეკონომიკური სკოლა — საქართველოს“ პრეზიდენტი პაატა შუშელიძე ამბობს, რომ 2008 წელს ლონდონის საფონდო ბირჟაზე საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსება დიდი შეცდომა იყო და ვერობლიგაციების ახალ ემისიაზე საუბარი იმ ფაქტზე მიუთით-


ებს, რომ საქართველოს მთავრობა საკუთარ შეცდომებზე ვერაფერს სწავლობს:

„ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობა „მთავარი ინვესტორია“ და კერძო სექტორს საქმიანობისთვის ინიციატივას და ჯანსაღ საბაზრო მექანიზმს აღარ უტოვებს. შესაბამისად, ბევრი რამ ვერ კეთდება. ასეთ დროს ძალიან დიდია ცდუნება, რომ გარკვეული პროექტები სახელმწიფომ განახორციელოს და ამისთვის სესხიც აიღოს. მთავრობა ყოველთვის აიღებს ისეთ ვალს, რომელიც მისი გასასტუმრებელი არ იქნება. ის ადამიანები, რომლებიც სესხს დღეს აიღებენ, არ არიან პასუხისმგებელი მის გასტუმრებაზე და 15-20 წლის შემდეგ რა იქნება, სულ არ აინტერესებთ. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან და დონორი ქვეყნებიდან მიღებული „მუქთა ფული“ იწვევს იმას, რომ ხელისუფლება ბიზნესსექტორს არ უსმენს და მის ინტერესებს არ ითვალისწინებს. თუ ძველი ვალის დასაფარად ახალი ვალის აღებაა საჭირო, ესე იგი, მთავრობა არასწორ ფინანსურ პოლიტიკას ატარებს“.

შეშელიძე ამბობს, რომ საგარეო ვალის აღების შესაძლებლობას კანონი მკაცრად უნდა არეგულირებდეს და სესხის აღება პარლამენტის თანხმობით და შეზღუდული ვადით უნდა ხდებოდეს.

საგარეო ვალის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ინიციატივა საქართველოს პრეზიდენტს ეკუთვნის. მიხეილ სააკაშვილმა 2009 წლის ოქტომბერში „ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ წარდგენისას განაცხადა, რომ საქართველოში, ისევე როგორც ევროკავშირის ქვეყნებში, საგარეო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 60 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. პრეზიდენტის ინიციატივა მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დადგენის შესახებ „ეკონომიკური თავისუფლების, შესაძლებლობებისა და ღირსების შესახებ“ ორგანული კანონის პროექტში აისახა. კანონი ჯერ დამტკიცებული არ არის. მაგრამ, საკონსტიტუციო ცვლილების მიღების შემთხვევაშიც კი, მუხლი, რომელიც საქართველოსთვის ევროკავშირის ქვეყნებისთვის მაასტრიხტის ხელშეკრულებით დადგენილ მაკროეკონომიკურ პარამეტრებს (კონსოლიდირებული ბიუჯეტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 30%-ს არ უნდა აღემატებოდეს; ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 3%-ს არ უნდა აღემატებოდეს; სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში კი 60%-ზე მეტი არ უნდა იყოს) აკანონებს, 2012 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედდეს. ახალი საკონსტიტუციო ცვლილების დამტკიცების შემთხვევაშიც კი, ხელისუფლება საგარეო ვალის აღების მიზნით საკმაოდ დიდ „ლუფტს“ იღებს. როგორც ჩანს, „ყოველი შემდგომი თაობისთვის სამართავად შემცირებული ფინანსური ვალდებულებების მქონე ქვეყნის გადაცემა“ მხოლოდ ქაღალდზე დეკლარირებულ ღირებულებად დარჩება და მთავრობა ვალების აღებას ისევ აქტიურად გააგრძელებს. ■

საქართველოს სახელმწიფო ვალი ხელისუფლების მიხედვით:



სომხეთის საგარეო ვალი 3 მილიარდ 795 მილიონი დოლარია – მთლიანი შიდა პროდუქტის 44%. აზერბაიჯანის საგარეო ვალი 3 მილიარდ 736 მილიონი დოლარია – მთლიანი შიდა პროდუქტის 8%.

ანტიბიოტიკი

# სასნაუნდოქედი ბაქტერია

ზამთრის თვეებში, როცა ვირუსული ინფექციების მაჩვენებელი პიკს აღწევს, ანტიბიოტიკით მკურნალობა შეიძლება, საუკეთესო გამოსავლად მიიჩნით. თუმცა, ეს შეცდომაა.

ეკა ჭითანავა


ნორვეგიის აკერის საუნივერსიტეტო კლინიკაში დოქტორ ბრიგერ ჰაუგს თეთრი ხალათის ჯიბით მუდამ თან დააქვს წითელი წიგნაკი. „ეს ჩემი ბიბლია!“ – ამბობს ჰაუგი და სწორედ ამ წიგნს უმაღლის, რომ ნორვეგიულმა კლინიკებმა, უკვე წლებია, დაამარცხეს შიდაჰოსპიტალური ინფექციები.

შიდაჰოსპიტალური ინფექცია – ეს ის დაავადებაა, რომელიც დახურულ სივრცეში, თუნდაც საავადმყოფოს არასათანადო ჰიგიენური პირობების გამო შეიძლება, დაემართოს პაციენტს და სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს.

ასეთია მაგალითად, MRSA-ი (მეტიცილინ რეზისტენტული ოქროსფერი სტაფილოკოკი), რითაც ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინ ნორვეგიის საავადმყოფოებში ათასობით პაციენტი კვდებოდა. საქართველოს კლინიკებში ამ ინფექციით პაციენტთა 53 პროცენტი ავადდება. ნორვეგიაში კი დოქტორ ჰაუგის წითელი წიგნაკის გამო, ბოლო 25 წლის განმავლობაში MRSA-ის მაჩვენებელი 1 პროცენტამდე შემცირდა.

ამ შთამბეჭდავ მაჩვენებელს ნორვეგიელმა ექიმებმა ერთი მარტივი მეთოდით მიაღწიეს – ანტიბიოტიკების მთელი სპექტრი ამოიღეს ხმარებიდან და მკაცრად შეზღუდეს იმ დაავადებათა ტიპებიც, რომელთა მკურნალობაშიც ანტიბიოტიკის ჩართვაა მიზანშეწონილი.

„ეს წიგნი სინამდვილეში ანტიბიოტიკების სახელმძღვანელოა“, – განმარტავს ჰაუგი. ექიმების სახელმძღვანელოში ჩამოთვლილია ყველა ის დაავადება, რომლის დროსაც ანტიბიოტიკის დანიშვნა არ არის რეკომენდებული და



ის პრეპარატები, რომლებიც საერთოდ არასოდეს უნდა დაუნიშნონ პაციენტს.

ამ წამლების უმრავლესობას საქართველოში ექიმები პაციენტებს მაღალი ტემპერატურისა და ყელის მწვავე ტკივილის გამოც კი უნიშნავენ ხოლმე.

„მართალია, ამბობენ, რომ ანტიბიოტიკი ვირუსულ გაციებას არ შველის, მაგრამ ძალიან ეფექტურია და ამიტომ ვნიშნავ ხოლმე ამოქსაცილინს, ამპიცილინს, ძლიერი ანტიბიოტიკები არაა და არ ვნებს ორგანიზმს, დაავადების კერას კი სწრაფად აღმოფხვრის“, – ამბობს მაია, რომელიც 30 წელია, პოლიკლინიკაში თერაპევტად მუშაობს. მაია დასძენს, რომ ანტიბიოტიკს თვითონაც სვამს მაშინ, როცა, უბრალოდ, სიცხე

უნევს და სველა ეწყება: „ანტიბიოტიკის გარეშე შეიძლება, 10 დღე დაგჭირდეს მდგომარეობიდან გამოსასვლელად, ანტიბიოტიკის დაღვევისას კი სამ დღეში უკეთ ხარ“.

საქართველოში ფართო დისკუსია ექიმებს შორის ანტიბიოტიკების ავკარგიანობის შესახებ ჯერ არ დანყებულა. ანტიბიოტიკების გამოყენების შესახებ არც ზუსტი და უახლესი მონაცემები არსებობს.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა კვლევა ანტიბიოტიკების შესახებ 9 წლის წინ ჩაატარა. შედეგებმა კი აჩვენა, რომ უშუალოდ კვლევის დღეს, კვლევაში მონაწილე პაციენტთა 46 პროცენტი იღებდა ან-



ტიბიოტიკურ მკურნალობას. „რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია“, – ნათქვამი იყო კვლევაში. ამავე ნაშრომში გამოვლინდა შემდეგი პრობლემები: 1. საავადმყოფოებში ანტიბიოტიკების ჭარბი მოხმარება; 2. ანტიბიოტიკების დიდი ასორტიმენტის გამოყენება; 3. მედიკოსთა განსაკუთრებული განწყობა ფართო სპექტრის ანტიბიოტიკების მოხმარების მიმართ.

2002 წლის შემდეგ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს კვლევა ამ თემაზე აღარ გაუმეორებია. თუმცა, ემპირიული დაკვირვებითაც ჩანს, რომ 9 წლის თავზე განწყობა ანტიბიოტიკების მიმართ სამედიცინო წრეში თითქმის არ შეცვლილა.

დღეს, პოლიკლინიკების ექიმები, ამა თუ იმ მედიკამენტის დანიშნვისას, სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტით, ე.წ. პროტოკოლით უნდა ხელმძღვანელობდნენ, რომელშიც, მაგალითად, წერია, რომ ვირუსული გრიპის დროს ანტიბიოტიკი არ უნდა ინიშნებოდეს. თუმცა, ხშირად ზოგიერთი ექიმი პროტოკოლზე მეტად მაინც საკუთარ გამოცდილებას ენდობა, რომელიც იმ

ეპოქაში დააგროვა, როცა ანტიბიოტიკი მკურნალობის კურსში შეუცვლელი და ყველაზე ეფექტიანი კომპონენტი იყო.

ანტიბიოტიკები დღემდე პოპულარულია რაიონულ სამედიცინო ცენტრებში, სადაც ინტერნეტში პროფესიული დოკუმენტაციის მოძებნის ჩვევა ბევრ ექიმს არ აქვს გამოუმუშავებული, თანამედროვე სადიაგნოსტიკო აღჭურვილობა კი იშვიათობაა და ამიტომ უჭირთ, ამა თუ იმ ინფექციის გამომწვევი ბაქტერიის რაობა დაადგინონ. სამედიცინო შეცდომებისგან თავის დასაცავად ეს ექიმები პაციენტებს ხშირად ანტიბიოტიკს უნიშნავენ.

პაციენტთა უსაფრთხოების ალიანსის თავმჯდომარე გიორგი გეგელაშვილი ამბობს: „დღეს ზოგი ექიმი თავს იზღვევს, რომ არ გართულდეს ვირუსული ინფექცია, და მას კიდევ არ დაემატოს ბაქტერიული, ამიტომ პაციენტს ყველაზე ძლიერ ანტიბიოტიკს უნიშნავს, რომ შემდეგ არ უჩივლონ და დასაჭერად არ გაუხდეს საქმე, ეს არის თავდაცვითი მედიცინა, მეტი არაფერი“.

მსგავსი შემთხვევების გამო, ჯან-

დაცვის ექსპერტები ფიქრობენ, რომ ანტიბიოტიკებისადმი გადამეტებულ ნდობას მოსახლეობაში ხშირად თავად ექიმები აღვივებენ. თუმცა, მოსახლეობაში ანტიბიოტიკების პოპულარობისთვის დამატებით მიზეზებს ქმნის ორი სხვა ფაქტორიც: უახლეს ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობა და ის ფაქტი, რომ ანტიბიოტიკის შეძენა ნებისმიერ მსურველს ურეცეპტოდ შეუძლია. შედეგად, პაციენტები ანტიბიოტიკით მკურნალობას საკუთარ თავს ხშირად თვითონ უნიშნავენ.

„ანტიბიოტიკს პრევენციისთვის ვიყენებ, ავადმყოფობა რომ არ გამირთულდეს, ეს ხომ ლოგიკურია, მერე უფრო მეტი წამალი არ დაჭირდება?“ – ასკვნის 35 წლის ნია, რომელიც ანტიბიოტიკებით თავის 3 წლის ქეთევანსაც ხშირად მკურნალობს, როცა გოგონას გაციების სიმპტომებს შენიშნავს.

პაციენტთა უსაფრთხოების ალიანსის მიერ 2007-2008 წლებში ჩატარებული კვლევების მიხედვით, იმ მოქალაქეთა 30 პროცენტი, რომელიც წამალში ფულს იხდის, ანტიბიოტიკს თვითნებურად, ექიმის დანიშნულების გარეშე, ყიდულობს.

„ამპიცილინი, ამოქსაცილინი, რიფამპიცილინი, აზიტრომიცინი“ – უბრალო გაციების დროსაც საქართველოში ყველაზე ხშირად ამ ანტიბიოტიკებს იყენებენ. ხშირად პრობლემას არასწორი დოზირებაც ქმნის:

„როცა უკეთ ვხდები, ვწყვეტ ანტიბიოტიკის მიღებას, ვიცი რომ კუჭს აზიანებს, ამიტომ სიცხის დაწვევის შემდეგ აღარ ვსვამ, ამით მგონია, რომ საკუთარ ორგანიზმს ვიცავ“, – აცხადებს 42 წლის ლიკა.

გიორგი გეგელაშვილი კი ამბობს: „ეს არასწორია. წარმოიდგინეთ, რომ მტრის ზურგში გადასხით დესანტი, რომელმაც არ იცის, როგორ მოიქცეს. მივიდა, დაიწყო საქმის კეთება, მერე შუა გზაზე გაჩერდა და უკან წამოვიდა. მტერმა უკვე გამოიწვნო მონინალმდეგის სტრატეგია. მეორეჯერ ასჯერ მეტი დესანტის გადასხმა მოგინებთ. ამიტომ არის საჭირო, რომ ანტიბიო-

## ■ ჭარბი დოზირების, ანდა არადანიშნულებისამებრ დანიშვნის გამო ანტიბიოტიკებმა თავდაპირველი ძალა დაკარგეს და ბევრ იმ დაავადებას, რომელსაც წინათ კურნავდნენ, ახლა ვეღარ ერევიან.



ტიკმა დესანტის მსგავსად, ირგვლივ არცერთი ცოცხალი მოწმე არ დატოვოს“.

მითები ანტიბიოტიკების ლამის „ზე-ბუნებრივი“ მოქმედების შესახებ 1940 წლიდან იქმნება – მას შემდეგ, რაც პენიცილინი გამოიგონეს და მეორე მსოფლიო ომის დროს სწორედ ამ პრეპარატით მრავალი ჯარისკაცი განიკურნა მომაკვდინებელი ინფექციებისგან.

ამიტომ ანტიბიოტიკი – იგივე ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც კლავს ბაქტერიას – მრავალი ექიმისთვის მკურნალობის პროცესში შეუცვლელი კომპონენტი გახდა.

დროთა განმავლობაში ექიმებმა ანტიბიოტიკების დანიშვნა გრიპის ან ვირუსული გაციებისას, გართულების პირველი სიმპტომებისთანავე დაიწყეს. ჭარბი დოზირების, ანდა არადანიშნულებისამებრ დანიშვნის გამო კი ანტიბიოტიკებმა თავდაპირველი ძალა დაკარგეს და ბევრ იმ დაავადებას, რომელსაც წინათ კურნავდნენ, ახლა ვეღარ ერევიან. მაგალითად, თუ თავიდან პენიცილინი 100 პროცენტით კურნავდა სტაფილოკოკურ დაავადებებს და, ტეტრაციკლინის მსგავსად, გონორეასაც შველოდა, დღეს ამ დაავადებებს ეს ანტიბიოტიკები ვეღარ უმკლავდება.

ამიტომ წლიდან წლამდე, სულ უფრო მეტად დგება კითხვის ნიშნის ქვეშ ანტიბიოტიკის სასწაულმოქმედების საკითხი. ანტიბიოტიკების წარმოების ხარჯთეფექტურობის შესახებ კი ყოყმანობენ ფარმაცევტული კომპანიები.

„ანტიბიოტიკი ბრმა ტყვიასავით არის, მარტო იმ ორგანიზმს კი არ უმიზნებს, რომელიც ანთებას იწვევს, ხშირად გვერდით მყოფ უწყინარ ბაქტერიებსაც სპობს“, – განმარტავს ოჯახის ექიმი ნინო კიკნაძე.

ექიმები განმარტავენ: ჭარბი რაოდენობით ანტიბიოტიკების გამოყენებისას, ირღვევა ნაწლავების მიკროფლორა – კვდიბან ის ბაქტერიები, რომლებიც საჭმლის მონელების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ. ასეთ დაუცველ გარემოში სხვა „მაგნე“ ბაქტერიებიც ადვილად იკიდებენ

ფეხს, და უფრო სერიოზულ გართულებებსაც იწვევენ. ანტიბიოტიკი, რომელსაც მანამდე ვიყენებდით, გაძლიერებულ ბაქტერიებს ვეღარ ერევა. სამედიცინო ენაზე ასე იქმნება ანტიბიოტიკისადმი რეზისტენტული ბაქტერია.

ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობას უცხოელი მეცნიერები პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხეს და „ჩრდილოვან ეპიდემიას“ უწოდებენ. მაგალითად, ხუთი წლის წინ, ჩინელმა ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ 5-მილიონიან ქალაქ შენიანში პნევმონიის თითოეული შემთხვევა რეზისტენტული იყო ერთრომიცინის მიმართ. ამერიკაში ყოველწლიურად 90 000-მდე ადამიანი სხვადასხვა რეზისტენტული ბაქტერიით გამოწვეული ინფექციით კვდება. ეს რიცხვი შტატებში უფრო მეტია, ვიდრე შიდსით, ავტოსაგზაო ავარიებითა და პროსტატის სიმსივნით გამოწვეული სიკვდილიანობა.

ყველაზე დიდ პრობლემას კი ე.წ. მე-სამე სამყაროს ქვეყნები ქმნის, სადაც ანტიბიოტიკების მასობრივი მოხმარების გამო, ბაქტერიების რეზისტენტობა სწრაფად ვრცელდება.

პაციენტთა უსაფრთხოების ალიანსის კვლევის მიხედვით, საქართველოში, რესპონდენტთა 90 პროცენტს თითქმის არაფერი სმენია ანტიბიოტიკური რეზისტენტობის შესახებ, 10 პროცენტს კი მხოლოდ გაუგია ამის შესახებ. ეს მაშინ, როცა საქართველო მსოფლიოში მეშვიდე ადგილზეა ტუბერკულოზის ახლად გამოვლენილი რეზისტენტული ფორმების რაოდენობით.

სწორედ რეზისტენტობის გამო, ტუბერკულოზის სამკურნალოდ განკუთვნილი პირველი რიგის ანტიბიოტიკები – სტრეპტომიცინი, იზონიაზიდი, ეტამბუტოლი, რიფამპიცინი, პირაზინამიდი – დაავადებას ვეღარ შველის და გაცილებით ძლიერი, მეორე რიგის ანტიბიოტიკების გამოყენება საჭირო, თუმცა თირკმლების, ღვიძლის, გულ-სისხლძარღვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების გამო მათი დანიშვნა ხშირად შეუძლებელი ხდება.

რეზისტენტობა ასე სწრაფად იმი-

### ხომის უნა ავციოთ ანტიბიოტიკი?



ექსპერტები ამბობენ, რომ ანტიბიოტიკის მოხმარებისას ყველაზე გავრცელებული შეცდომა მისი ვირუსული ინფექციების დროს გამოყენებაა, რადგან სინამდვილეში ანტიბიოტიკი ვირუსს ვერ კლავს. ანტიბიოტიკის მიღება მხოლოდ ბაქტერიულ დაავადებებთან საბრძოლველადაა მიზანშეწონილი, ან მაშინ, როცა ორგანიზმის იმუნიტეტია ძალიან დაქვეითებული. მაგალითად, სისხლნაკლებობის, შიდსის ან პნევმონიის დროს, ანუ როცა დაავადება უკვე კარებთან გიკაკუნებთ. სხვა შემთხვევაში, ეცადეთ ვირუსებს ანტიბიოტიკების დახმარების გარეშე გაუმკლავდეთ. ანტიბიოტიკი მხოლოდ ბაქტერიას კლავს. ბაქტერია კი იწვევს ისეთ დაავადებებს, როგორცაა მწვავე ფარინგიტი, მენინგიტი, პნევმონია. ყელის სტრეპტოკოკული ანთება. ყურის ინფექციები. შარდსასქესო ინფექციები, სინუსიტი.

ანტიბიოტიკი არ კურნავს ვირუსულ ინფექციებს:

- ▶ გრიპს
  - ▶ „გაციებას“
  - ▶ ყელის ტკვილს, რომელიც სტრეპტოკოკებით არაა გამოწვეული
  - ▶ ცხვირიდან გამონადენს
- ანტიბიოტიკის გამოყენების შედეგები და გვერდითი მოვლენები:
- ▶ გულყრა
  - ▶ დიარეა
  - ▶ კუჭ-ნაწლავის დაავადებები
  - ▶ სასქესო ორგანოების სოკოვანი დაავადებები
  - ▶ ალერგია

ტომ ვრცელდება, რომ ერთი რეზისტენტული ბაქტერია თავის გენეტიკურ ინფორმაციას მეორეს გადასცემს, 24 საათში კი ერთი ბაქტერია ასჯერ მრავლდება – ჰაერით ვრცელდება და ნიადაგში გვხვდება.

სწორედ ამიტომ, რომ თითოეული ჩვენგანის მიერ არასწორად მიღებული ანტიბიოტიკი რეზისტენტობის ჩამოყალიბების შანსს არა მარტო ჩვენს ორგანიზმში, არამედ მთელ ქვეყანაში ზრდის.

„ესაა ჩუმად მყოფი ორგანიზმებისგან შექმნილი არმია, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის ჯარზე უფრო ძლიერია. ექიმებს ვეუბნები ხოლმე, რომ თუ

სხვა წამალს დანიშნავ არასწორად, იმ ერთ კონკრეტულ ბავშვს დააზიანებ, მაგრამ თუ ანტიბიოტიკს დანიშნავ არასწორად, მთელ მის სამეზობლოს და კლასს ავნებ“, – ამბობს გიორგი გეგელაშვილი.

„რეზისტენტული ფორმების შეჩერების მთავარი იარაღი რეცეპტული სისტემის შემოღებაა“, – ამბობს ოჯახის ექიმი ნინო კიკნაძე.

საქართველოში რეცეპტების გაცემა ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით 2011 წლის პირველი იანვრიდან უნდა დაწყებულიყო, თუმცა მინისტრმა ანდრია ურუშაძემ გადაწყვეტილება რამდენიმე დღეში შეცვალა იმ მიზეზით, რომ ჯერ არც სამედიცინო მხარე და არც მოსახლეობა რეცეპტების სისტემისთვის მზად არაა.

ჯანდაცვის სამინისტროს არც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2002 წლის კვლევის რეკომენდაციები გაუთვალისწინებია. ამ რეკომენდაციების მიხედვით, საჭირო იყო: „მეტი ინფორმაციის შეგროვება საქართველოში ანტიბიოტიკების მოხმარების მოდელთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს ანტიბაქტერიული მკურნალობის და რეზისტენტობის უწყვეტ მონიტორინგს და ასევე გაიდლაინების სისტემის შექმნას“.

დღეს, როცა მსგავსი გაიდლაინების შექმნაზე ჯანდაცვის უმაღლეს ორგანოში ჯერ ლაპარაკიც არ დაწყებულა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რეცეპტული სისტემის შემოღებამდე გამოსავალი სწორედ ანტიბიოტიკების დანიშვნის ერთიანი სტანდარტის შექმნა იქნება. საჭიროა, ექიმებს შორის მოხდეს კონსენსუსი იმის შესახებ, თუ რა შემთხვევებში და რა დოზებით, რომელი ანტიბიოტიკების გამოყენება დასაშვებია. რაც მთავარია, ამის შესახებ ინფორმაცია არა მხოლოდ ინტერნეტით უნდა გავრცელდეს, არამედ იმ საშუალებებითაც, რაზეც რაიონულ საავადმყოფოებში მიუწვდებათ ხელი ექიმებს. მხოლოდ ასე თუ გავუმკლავდებით საქართველოში რეზისტენტული ბაქტერიების „ჩრდილოვან ეპიდემიას“. **ლ**

## პროფესორი, პათოლოგი, იმუნოლოგი და პათოფიზიოლოგი



მარკ მალენი

კომუნიზმი, როგორც ექსპერიმენტი, კოლოსალური ჩავარდნა იყო. შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო ჯამში, ეს იყო მოკლე ექსპერიმენტი. რამდენიმე ასეული წლის შემდეგ, ისტორიის სტუდენტი მას შეხედავს, როგორც საოცრებას, როგორც ახლა რეკონსტრუირებული დინოზავრების ფიგურებს უყურებენ ხოლმე – დიდს, საშიშს, შორეულს, მაგრამ ისეთს, რომელსაც დღევანდლობასთან კავშირი არ აქვს. ყველას, ვინც კი კომუნიზმის პირობებში ცხოვრობდა, ალბათ, უნდა ვაპატიოთ სახელმწიფოს და მისი შესაძლებლობების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება. ბრძენი მმართველი კარგად დაფიქრდება, სანამ ახალ ბიუროკრატიულ სტრუქტურებს შექმნის და ეჭვით შეხედავს თეორიას, რომ სახელმწიფოს რამე კონკრეტული პასუხისმგებლობები აქვს. ვინც ფიქრობს, რომ თავისუფალი ბაზარი არ არის ეკონომიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, შეცდომაშია შეყვანილი.

ამავე დროს, საქართველოში ბევრ ადამიანს სჯერა, რომ თავისუფალი ბაზარი და მხოლოდ თავისუფალი ბაზარი (იმ ფორმით, როგორითაც ისინი მას განსაზღვრავენ) არის ყველა პრობლემის ერთადერთი გადაწყვეტა. ჩრდილოეთ ამერიკის და დასავლეთ ევროპის მდიდარმა სახელმწიფოებმა ახლახან სამომხმარებლო კრედიტის და საბანკო კრიზისი გამოიარეს. ისინი ახლა უკვე აცნობიერებენ, რომ

### თანამედროვე ანტიბიოტიკები



დღეს მთელ მსოფლიოში ანტიბიოტიკების კრიზისია. 1983-დან 1988 წლამდე პერიოდში მხოლოდ 15 ახალი ანტიბაქტერიული პრეპარატი შეიქმნა. ყველაზე დიდი ფარმაცევტული კომპანიები ყოველწლიურად ტოვებენ ბაზრის ამ სეგმენტს.

აშშ-ში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ერთი ანტიბაქტერიული პრეპარატის შექმნას საშუალოდ 110 მილიონი აშშ დოლარი და 25-დან 40 წლამდე დრო სჭირდება, ხოლო პრეპარატის მიმართ რეზისტენტობის ჩამოყალიბებას კი – მხოლოდ ხუთი წელი. ამიტომ კომპანიები დანახარჯების ანაზღაურებას ვერ ასწრებენ. მეცნიერები შიშობენ, რომ შეიძლება დადგეს დრო, როცა მსოფლიო ანტიბიოტიკების გარეშე დარჩება.





საბანკო რეგულაციების გაუქმებამ ბოლო ორმოცი და განსაკუთრებით, ათი წლის განმავლობაში სისტემაში რისკი წარმოქმნა. ამან კი მთელი ფინანსური სისტემა სახელმწიფო გადარჩენის იმედად დატოვა. დღეს დასავლეთში ყველა განათლებული ადამიანისთვის სახელმწიფოს როლი ეკონომიკის რეგულირებაში ცხადზე უცხადესია.

სახელმწიფოს ის პრობლემა აქვს, რომ მისი აქტივობები არ არის გამიზნული მოგების მოსატანად და ამის გამო, ის ამ აქტივობებს ცუდად ახორციელებს. თუ გულახდილები ვიქნებით, საქართველოში სკოლები, ჯანდაცვა, საფოსტო სისტემა ძალიან ცუდად მუშაობს. სახელმწიფომ ვერ გაამართლა, რადგან ის, უბრალოდ, ფულს ქაჩავს ბიუროკრატიაში, რომელიც დგამს რამდენიმე ნაბიჯს და რეალურად არ არსებობს ბიუროკრატის ქმედებების ეფექტურობის ადეკვატური საზომი. საქმეს ისიც ართულებს, რომ კომპლექსური სოციალური პროცესების ირგვლივ, მაგალითად, ჯანდაცვასა და განათლებაში არსებობს უთანხმოება თავად მისაღწევი მიზნების რაობაზე.

ის ლიბერტარიანელები, რომლებსაც სახელმწიფოს მიმართ უნდობლობა აქვთ, ფიქრობენ, რომ ყველაფერი, რასაც სახელმწიფო აკეთებს, კერძო სექტორის მიერ უკეთესად გაკეთდება. პრივატიზაციას რამდენიმე დადებითი მხარე აქვს. თუ სახელმწიფოს

**მდიდარმა სახელმწიფოებმა ახლახან სამომხმარებლო კრედიტის და საბანკო კრიზისი გამოიარეს. ისინი უკვე აცნობიერებენ, რომ საბანკო რეგულაციების გაუქმებამ ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში სისტემაში რისკი წარმოქმნა.**

მიერ წლებით კონტროლირებული პროცესი ჩაფლავდა, ეს იმ ადამიანების დამსახურებაა, ვინც, გულახდილად რომ ვთქვათ, სხვა სექტორებში უფრო წარმატებით იმუშავებდნენ. სახელმწიფოსთვის მათი სამსახურიდან გაშვება სირთულეებთან არის დაკავშირებული, კერძო კომპანია კი ამ ამომრჩევლებს ისე გაათავისუფლებს, რომ პოლიტიკურ შედეგებზე არ აღელდება. ეს სისტემაში სასურველი ცვლილებების გამოსაწვევად მოსახერხებელი გზაა, მაშინაც კი, თუ ახალი სისტემა ჩავარდება, სულ მცირე, ძველი სისტემა მაინც მოშორებული გვექნება. ამასთან ერთად, პრივატიზებულ სისტემაში ფული მოძრაობს და ფული საგნების გაზომვის საიმედო ხერხია. სახელმწიფო სისტემებს ხანდახან ქმედებისეფექტურობის საზომი

მექანიზმები არ აქვთ, პრივატიზებულ სისტემებს კი აქვთ.

საბჭოთა სისტემა ჩავარდა არა იმიტომ, რომ სახელმწიფო ცუდია ან ყოველთვის არაეფექტურია, არამედ იმიტომ, რომ ის დამყარებული იყო იდეოლოგიაზე. ამ ჩავარდნას ვერც იმით გავამართლებთ, რომ იდეოლოგია იყო არასწორი. ლიბერტარიანიზმიც იდეოლოგიაა და მასაც ისევე უნდა ვუყურებდეთ, როგორც ნებისმიერ სხვა იდეოლოგიას.

არის გარკვეული სფეროები, რომლებშიც სახელმწიფო უკეთესად მოქმედებს და საჭირო არ არის ამაზე შეცბუნება ან გაბრაზება. ისინი, ვინც ამას აღიარებენ, აუცილებლად კომუნისტებად ან სოციალისტებად არ უნდა მივიჩნიოთ, ისინი, უბრალოდ, პრაქტიკულები არიან. და პრაქტიკულობა არის ერთ-ერთი ის თვისება, რაც საქართველოს ახლა სჭირდება. მეორე თვისება, რაც საქართველოს სჭირდება, პატივისცემის გრძნობაა. ზოგიერთი ადამიანი, რომელიც ღარიბია, მართლა ზარმაცია, მაგრამ სხვებს, უბრალოდ, არ უმართლებთ. ზოგიერთი მდიდარი შრომისმოყვარე და ჭკვიანია, სხვებს, უბრალოდ, საჭირო კავშირები აქვთ ან ილბლიანები არიან. ჩვენ, ალბათ, ყველა ვიცნობთ მსგავსი ტიპის ადამიანებს. საქართველო ცდილობს, უპასუხოს მრავალ გამოწვევას, და ამ პროცესში უნდა გვახსოვდეს, რომ ერთმანეთს პატივი უნდა ვცეთ, კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად უნდა გამოვიყენოთ ნებისმიერი პოლიტიკური იარაღი, რომელიც მუშაობს, იქნება ეს არასამთავრობო, სახელმწიფო თუ კერძო. პოლიტიკაში იდეოლოგია და იდეოლოგიზირებული გამართლებები ხშირად რეალური პრობლემების და მათი გადაჭრის გზების დასამალავად გამოიყენება. პოლიტიკას ჰყავს მოგებულები და წაგებულები, თუმცა თავად პოლიტიკა არ შეიძლება, იყოს ვინმესთვის შეურაცხმყოფელი. ყველა იდეოლოგია კი გარკვეულ ჯგუფებს შეურაცხყოფებს აყენებს, ამიტომ, მოდი, დაუფტოვით ყველა იდეოლოგია ისტორიის სანაგვეს. **■**

# ნაუბებელი თამაში



შეგნებულად არასრული პასუხი ხშირად დასმულ შეკითხვაზე - რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ?

დავით ზურაბიშვილი

## ფეხბურთით ღვიძნით

წარმოდგინეთ ჩემპიონატი, სადაც მონაწილეებს შორის მხოლოდ ერთ გუნდს აქვს უფლება, როცა უნდა, ხელით ითამაშოს და კოჭებში ურტყას მონინალმდეგეს. უფრო მეტიც, გარდა იმისა, რომ გუნდი ასეთი ექსკლუზიური უფლებებით სარგებლობს, მსაჯებსაც ის ნიშნავს. ამოცანა გვეკითხება: რა შანსი აქვთ დანარჩენ გუნდებს ასეთი ჩემპიონატის მოგების? ცხადია, არავითარი. ასეთი წესების პირობებში გამარჯვებული სხვა გუნდი ვერ იქნება, თუნდაც სულ პელები, მარადონები და ზიდანები ჰყავდეს.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მოითხოვა: ამ პრივილეგირებული გუნდის ხელმძღვანელობამ სხვა გუნდების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით თამაშის წესები უფრო თანასწორი გახადოსო. ჰოდა, მიდის მსჯელობა, განიხილება სხვადასხვა წინადადება, თუმცა პრივილეგირებული გუნდი ხელით თამაშსა და კოჭების მტვრევის უფლებას არ თმობს. საბოლოო ჯამში, იქმნება დოკუმენტი, სადაც მხარეები ადასტურებენ, რომ მიღწეულ იქნა შეთანხმება თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირების დროს მსაჯისთვის (რომლის დანიშვნის უფლებას პრივილეგირებული გუნდი ასევე არ თმობს) ვიდეოჩანაწერის ნახვის უფლების მინიჭებაზე. ჩემპიონატში მონაწილე გუნდების უმრავლესობას ეს არ აკმაყოფილებს და ისინი პროტესტის ნიშნად შეთანხმებას ხელს არ აწერენ, რამდენიმე გუნდის ხელმძღვანელი კი განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს. მათი თქმით, ამ ეტაპზე მეტის მიღწევა შეუძლებელია და ეს მიღწევაც რომ არ დაიკარგოს, თანახმა არიან ხელმოწერაზე. საბოლოოდ, საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელი აცხადებს, რომ მართალია, თანასწორობის

პრინციპამდე ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა, მაგრამ პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ დაპირისპირებული მხარეები მოლაპარაკებების მაგიდასთან დასხდნენ და გარკვეულ პროგრესს მიაღწიეს.

ახლა კიდევ ერთ რიტორიკულ კითხვას დავსვამ: რამდენად გაიზრდება სხვა გუნდების შანსი ჩემპიონობაზე ამგვარი მოლაპარაკებების შემდეგ? ნათელია, რომ არსებითად არაფერი შეიცვლება. დიდი

სიც არაა მაღალი, მაგრამ ხელისუფლება საერთოდ სხვა თამაშს თამაშობს – როცა უნდა, ხელით მიაქვს ბურთი და როცა უნდა, კოჭებში გირტყამს. ჰო, და მსაჯებსაც თვითონ ნიშნავს, რასაკვირველია...

პრობლემა ის არის, რომ საერთაშორისო ფედერაცია, უკაცრავად, თანამეგობრობა, პრინციპში აღიარებს ასეთ არათანაბარ პირობებში დაფიქსირებულ შედეგებს. ეს ოპოზიციის ამოცანას ართულებს, მაგრამ ერთია ამოცანის სირთულე და სულ სხვაა, როცა ვერ აცნობიერებ, რომ ასეთ თამაშში შანსი ჩემპიონის (ხელისუფლების) გამოცვლისა ნულის ტოლია.

ამჯერად კი სრულიად არარიტორიკული კითხვა დავსვათ: როგორ უნდა მოიქცეს ოპოზიციური ძალა ამ ვითარებაში?

თუკი ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვინმე იმ დასკვნას გამოიტანს, რომ ოპოზიციური ძალა არ უნდა მიდიოდეს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებზე, მუდმივად ბოიკოტის რეჟიმში იმყოფებოდეს და ყოველგვარ კონტაქტს აღიქვამდეს, როგორც ხელისუფლების „გაპრავებას“, ძალიან შემცდარია. სისტემატური დისტანცირება ხელისუფლებისგან და უარის თქმა მასთან დიალოგის გამართვაზე იგივეა, რაც ზემოთ აღწერილ სიტუაციაში გუნდმა რომ ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი თქვას. ასეთ გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ეფექტი, თუ ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდი ასე მოიქცევა (ბუნებრივია, პრივილეგირებული გუნდის, ანუ ხელისუფლების გარდა), მაგრამ ეს არის სრული უტოპია. ყოველთვის (ხაზს ვუსვამ: ყოველთვის) მოინახება რამდენიმე (არაერთი) გუნდი, რომელიც შემოთავაზებული თამაშის წესებით მიიღებს ტურნირში მონაწილეობას.

რაც მთავარია, ტურნირში მონაწილეობაზე უარის თქმა და გაფიცვისკენ მო-

**■ ოპოზიციური პარტიები თამაშობენ ფეხბურთს – ზოგი უფრო ცუდად, ზოგი უფრო კარგად. ხელისუფლება საერთოდ სხვა თამაშს თამაშობს – როცა უნდა, ხელით მიაქვს ბურთი და როცა უნდა, კოჭებში გირტყამს.**

-დიდი მეორე-მესამე ადგილისთვის ბრძოლა ოდნავ გამწვავდეს...

## როცა ყველანაირი ტაქტიკა არასწორია

გეცნოთ, არა, სიტუაცია? ეს ჰიპოტეტური ჩემპიონატი მართლაც ძალიან ჰგავს საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციურ სპექტრს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს. ოპოზიციური პარტიები თამაშობენ ფეხბურთს – ზოგი უფრო ცუდად, ზოგი უფრო კარგად, ზოგადად მონაწილე გუნდების თამაშის კლა-

წოდება დიდ მხარდაჭერას ვერ ჰპოვებს ვერც გულშემოტივრებში და ვერც ექსპერტთა წრეში. მით უმეტეს, თუკი ასეთი გამოცდილება უკვე არსებობს და ძველმა მცდელობებმა ვერანაირი შედეგი ვერ მოიტანა.

მართალია, ამ შემთხვევაში ხელისუფლებას გარკვეულ უხერხულობები კი ექმნება, მაგრამ თუნდაც სუსტი მონაწილეებით ჩატარებული ჩემპიონატი მაინც ჩემპიონატად რჩება, ანუ იმ ტურნირად, სადაც გამარჯვებული წინასწარაა ცნობილი. საერთაშორისო ფედერაცია, პარდონ, თანამეგობრობა კი ასეთი ტურნირის შედეგებსაც აღიარებს.

მეორე მხრივ, კიდევ უფრო დიდი უტოპიაა იმის იმედად ყოფნა, რომ პრივილეგირებული გუნდი საკუთარი ნებით დათმობს თავის პრივილეგიებს. საერთაშორისო ზენოლას აქ, ცხადია, დიდი მნიშვნელობა

არც ბოიკოტს, მაშინ რაღა რჩებაო, იკითხავს ვინმე. საქმეც ისაა, რომ ამგვარ ტურნირში წარმატების მიღწევა არის არსებითად შეუძლებელი. ამიტომ ოპოზიციის მიზანი უნდა იყოს არა ამ თამაშში ხელისუფლებასთან შეჯიბრი, არამედ ხელისუფლების ჩათრევა ან ჩაყოლიება სხვა თამაშში.

## დისკოზიზი

რა მაქვს მხედველობაში? ის თამაში, რომელსაც დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციას ვაღარებთ, ანუ პოლიტიკურ ძალთა განლაგების დღევანდელი სქემა ციდან არ ჩამოვარდნილა. ის სააკაშვილის და მისი გუნდის მიერ არის დამკვიდრებული – მათ თავად მოიგონეს ეს თამაში, თავისი წესებით და კანონებით, თამაში, სადაც ხელისუფლება ყოველთვის მოგებულია.

ვილოთ, როგორც საბოლოოდ შემდგარი ფაქტი. საქართველო არის ქვეყანა, სადაც 9 აპრილის ტრაგედიიდან ხუთი წლის შემდეგ ყველაზე რეიტინგული ფიგურა ოპოზიციის ფუმბერ პატიანიშვილი გახდა. აქ ისე იცვლება სიმპათია-ანტიპათიები, რომ ნებისმიერ დასავლელ ექსპერტს დააბნევს.

ახლა დავაკვირდეთ, რა მდგომარეობაა: ხელისუფლება, დასუსტებული ოპოზიციისა და სამოქალაქო პროტესტის ფაქტობრივი არარსებობის პირობებში, ამჟღავნებს სრულ უუნარობას უმძიმესი სოციალ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე. ხელისუფლებას არ გააჩნია არანაირი გააზრებული სტრატეგია და ერთი მხრივ, 20-30 ლარიანი ვაუჩერების დარიგებით ცდილობს მასების გულის მოგებას და მეორე მხრივ, ასევე გულმოდგინედ ცდილობს, მოსახლეობიდან ამოქაჩოს ფული სხვადასხვა ჯარიმის, გადასახადის თუ



აქვს, მაგრამ ამგვარი ზენოლა მხოლოდ მაშინ განხორციელდება, თუ სიტუაცია იმდენად აჭრილია, რომ ტურნირის ჩაშლის საფრთხე დგება. თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამის საფრთხე, პრაქტიკულად, არ არსებობს.

მოკლედ, ხელისუფლება და მთელი ოპოზიციური სპექტრი იმდენად უთანაბრო პირობებშია ჩაყენებული, რომ ეს უთანაბრობა ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყოფს ხელისუფლების ძალიან დიდ უპირატესობას.

თუ არც მონაწილეობას აქვს აზრი და

წარსულის გამოცდილება ცხადყოფს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ამ თამაშის წესების შეცვლას არ აპირებს. მან არ შეცვალა წესები არც 2007 წლის ნოემბრის, არც 2008 წლის აგვისტოს და არც 2009 წლის აპრილ-მაისის კრიზისების შემდეგ. ეს პირდაპირ მიუთითებს, რომ ხელისუფლება მუშაობს კრიზისების გადაგორებაზე და არა მისი მიზეზების აღმოფხვრაზე. ის ფაქტი, რომ ამ გადაგორება-გადმოგორების პროცესში ოპოზიციის მიმართ უარყოფითი განწყობა შეიქმნა, არამც და არამც არ უნდა მი-

საპროცესო გარიგების მეშვეობით. ბუნებრივია, ასეთი პოლიტიკა სერიოზულად ზრდის უკმაყოფილების მუხტს საზოგადოების, პრაქტიკულად, ყველა ფენაში, მათ შორის, საშუალო და დაბალი რანგის სახელმწიფო მოხელეებშიც, რომელთაც აიძულებენ თავიანთი ვაუჩერები სამსახურებში მიიტანონ, რათა მერე მინისტრებმა და დეპუტატებმა გაჭირვებულ ხალხს დაურთონ და ტელეკამერების თვალწინ „იმარაჟონ“.

არასდროს ისეთი თვალსაჩინო არყოფილა საქართველოს ხელისუფლების



არაკომპეტენტურობა და არაკვალიფიციურობა, როგორც დღეს, როდესაც მან აისრულა ამდენი ხნის სანადელი და მიაღწია ძალაუფლების სრულ კონცენტრაციას. ცოტა არ იყოს კომიკურია, როდესაც სააკაშვილი ვერაფრით ელევა ძველ პროპაგანდისტულ სქემას და თავის ყოველ გამოსვლაში მაინც უპრეცედენტო წარმატებებზე და ზღაპრულ პერსპექტივებზე ლაპარაკობს, ყველა პრობლემა კი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ბრალდება, თან იმის აღნიშვნაც არ ავინწყდება, რომ ამ კრიზისის კვალობაზე ჩვენ კიდევ ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში ვართ.

ამ ყველაფერს ემატება საგარეო ფაქტორიც. კერძოდ, ის რევოლუციური ტალღა, რომელიც დღეს უკვე მთელ წინააზიასა და ჩრდილოეთ აფრიკასა მოდებული, აიძულებს ამერიკას და ევროკავშირის ქვეყნებს, სერიოზულად გადახედონ თავიანთ დამოკიდებულებას ყველანაირი ტიპის ავტორიტარული რეჟიმების მიმართ. პრეზიდენტი ობამა უკვე ღიად აცხადებს, რომ ავტორიტარების დრო დამთავრდა, მეგობრული იქნება იგი დასავლეთის მიმართ თუ არამეგობრული.

## ახალი თამაში, ახალი წესები...

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლებაში შეუძლებელია, არ ინვედეს შემოფოთებას. ეკონომიკური კრიზისი, სოციალური ფონის დამძიმება და ამერიკის პოლიტიკის ტრანსფორმაცია დემოკრატიული პროცესების (და არა მეგობრული რეჟიმების) მხარდაჭერისკენ, სააკაშვილს და მის გუნდს საგრძნობლად უზღუდავს პროპაგანდისტული მანევრების სივრცეს. დემოკრატიის მორიგი ტალღის გამოცხადება ამჯერად საკმარისი აღარ არის, ცოტა მეტი იქნება საჭირო.

მაინც რა შეიძლება, არსებულ სიტუაციაში მოიმოქმედოს სააკაშვილი? საქმე ისაა, რომ მას არანაირი სიახლის შემოთავაზება არ შეუძლია. ერთადერთი, რასაც სახელისუფლო გუნდი შეეცდება, ეს არის ოპოზიციური სპექტრის მაქსიმალურად ჩათრევა არაფრის მომტან კონსულტაციამოლაპარაკებებში, რათა შემდგომ ეს მოლაპარაკებები დემოკრატიზაციის პროცესად გაასაღოს დასავლეთში. ანუ, პრაქტიკულად, იგივე თამაში განაგრძოს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ოპოზიციურ სპექტრს, შეიძლება ითქვას, პირველად ეძლევა იმის რეალური შესაძლებლობა. რომ შეცვალოს ეს თამაში. ამისთვის კი საჭიროა ერთადერთი რამ: ოპოზიციურმა სპექტრმა თავად უნდა აიღოს ხელისუფლებასთან კონსულტაციამოლაპარაკებების ინიციატივა.

მინდა, სწორად გამიგოთ: მთავარი ის კი არ არის, ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას ანარმობ, თუ არა, არამედ ის, თუ ვინაა ინიციატორი, ვინ ადგენს დღის წესრიგს, ვინ განსაზღვრავს თემებს... დღეს ყველა ინიციატივა მოდის ხელისუფლებიდან. რა თქმა უნდა, ეს ინიციატივები წმინდა პროპაგანდისტული ხასიათისაა, მაგრამ როცა ამის საპირწონე

**■ ხელისუფლებამ ვერ უნდა შეძლოს შეთავაზებაზე უარის თქმის არგუმენტის მოტანა ვერც შინ და ვერც გარეთ. ასეთი წინადადებების მოფიქრება, თან საკმაოდ ბევრის, პრობლემა არ არის.**

მხოლოდ რეაგირებაა და სხვა არაფერი, ეს ხელისუფლებას წარმოაჩენს (შინაც და გარეთაც), როგორც ერთადერთ ქმედით ძალას ქვეყანაში და აძლევს მას საშუალებას, კვლავ ითამაშოს ძველი, ნაუგებელი თამაში.

ამიტომ საჭიროა ხელისუფლებისთვის ინიციატივის ჩამორთმევა. სწორედ ოპოზიციურმა სპექტრმა უნდა შექმნას პოლიტიკური პროცესის ახალი დღის წესრიგი – კონკრეტული მოთხოვნებისა და წინადადებების მთელი კომპლექსი. ამასთან, თითოეული მოთხოვნა უნდა იყოს ისეთი, რომლის შესრულებაც რეალურად მოიტანს კონკრეტულ და საზოგადოებისთვის თვალსაჩინო შედეგს, ხოლო მოთხოვნის იგნორირება ცალსახად დაფიქსირდება დასავლეთის თვალში, როგორც დემოკრატიზაციაზე

პოლიტიკური ნების არარსებობა.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი – ნებისმიერი პასუხი ინიციატივებზე აუცილებლად მომგებიანი უნდა იყოს ოპოზიციისთვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს აზრი ინიციატივას. ხელისუფლებამ ვერ უნდა შეძლოს შეთავაზებაზე უარის თქმის დამაჯერებელი არგუმენტის მოტანა ვერც შინ და ვერც გარეთ.

ასეთი წინადადებების მოფიქრება, თან საკმაოდ ბევრის, პრობლემა არ არის. მაგრამ აქ პრობლემა არაა წინადადებების მოფიქრებაში, არამედ მათ მინოდების ფორმაცია: როგორ უნდა გახდეს ოპოზიციის წიაღიდან წამოსული ინიციატივები პოლიტიკური ცხოვრების მთავარი თემები? როგორ გინდა, აიძულო სახელისუფლო მედია გააშუქოს ეს ინიციატივები და როგორ უნდა გადაიყვანოს ხელისუფლება რეაგირების რეჟიმში?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას აქ შეგნებულად არ ვაპირებ, ეს არის წმინდა ტექნოლოგიური პრობლემა, რომელიც კულუარული ურთიერთობების დონეზე უნდა გადაწყდეს. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ასეთი ტექნოლოგიის გამოძებნა თავისუფლად არის შესაძლებელი.

ცხადია, ამგვარი დღის წესრიგის შეთავაზება არ იქნება პასუხი მარადიულ კითხვაზე „როდის გვეშველება“, მაგრამ ეს გამოაცოცხლებდა პოლიტიკურ ცხოვრებას და რეალურად უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენებდა მთელ ოპოზიციურ სპექტრს, რომელიც უკვე თავად გახდებოდა პროცესის მამოძრავებელი ძალა. ეს სერიოზულად გამოაცოცხლებდა საზოგადოებას და დიდწილად ჩააქრობდა იმ საყოველთაო ნიჰილიზმს, ლამის სასოწარკვეთაში რომაა გადაზრდილი. ეს კი პატარა საქმე არ არის, ეს ძალიან ბევრ რამეს ცვლის.

მოკლედ ეს იქნება უკვე სხვა თამაში. თამაში, სადაც არც გარანტირებული მოგებაა და არც გარანტირებული წაგება. თუმცა, როგორც ამბობენ: მთავარია, ინიციატივა და დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმეა. ■

**პირველად გამოქვეყნდა  
www.kalmasoba.com-ზე**

# ვისკონსინის ჰიოტასი და ამაიხის ბაშოვანი მდგომარეობა



ფინანსური კრიზისი, რომელიც ამერიკის ყველაზე მდიდარმა ფინანსურმა ელიტამ გამოიწვია, ისევ ქვედა და საშუალო ფენას აწვება ტვირთად.

გიორგი ცხადაია

11 თებერვალს ამერიკის შტატის – ვისკონსინის „რესპუბლიკელმა“ გუბერნატორმა სკოტ უოლკერმა ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოს საბიუჯეტო დეფიციტის აღმოფხვრის კანონ-პროექტი შესთავაზა. ვისკონსინში, ისევე, როგორც ამერიკის ბევრ სხვა შტატში, როგორც ჩანს, ფედერალური „სტიმულის“ დახმარება უკვე ამოიწურა და ადგილობრივი ეკონომიკაც არც ისე სახარბიელო მდგომარეობაშია. ამ ფონზე, ყველას გააზრებულნი ჰქონდა, რომ დეფიციტის შესავსებად ადგილობრივი ხელისუფლება საჯარო მოხელეებს შეღავათებს შეუმცირებდა.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სექტორის მოხელეები თანახმა იყვნენ, გაეღოთ მსხვერპლი და უფრო მეტი გადაეხადათ ჯანმრთელობის დაზღვევის და საპენსიო ფონდისთვის (რაც, რა თქმა უნდა, მათი ხელფასების შემცირებას ნიშნავს), უოლკერმა გადანყვიტა, რომ გაუარესებული ეკონომიკური სიტუაციით ესარგებლა და საჯარო მოხელეთა პროფკავშირები გაეუქმებინა. პროფკავშირების გაუქმებას კი ფისკალურ დეფიციტთან არანაირი კავშირი არ აქვს. სწორედ ამიტომ, ბევრმა ზომიერებით ცნობილმა საჯარო ფიგურამ, მაგალითად, „ნიუ-იორკ ტაიმის“ კოლუმნისტმა პოლ კრუგმანმა, უოლკერის ნაბიჯი ამერიკულ დემოკრატიაზე შეტევად აღიქვა.

კრუგმანი „ნიუ-იორკ ტაიმსში“ წერდა, რომ პროფკავშირები და კოლექტიური მოლაპარაკების უფლება, რომელიც ამერიკის მუშებმა თავის დროზე მძიმე ბრძოლების ფასად მოიპოვეს, ამერიკული დემოკრატის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია და მათ გარეშე ამერიკა „მესამე მსოფლიოს ოლიგარქიულ ქვეყანად გადაი-



ქცევა“. ამავე დროს, თავად კრუგმანი და პრეზიდენტი ობამა აღიარებენ, რომ დეფიციტის შესავსებად და ინფლაციის შესაჩერებლად, საჯარო მოხელეებს გარკვეული მსხვერპლის გაღება ნამდვილად მოუწევთ.

უოლკერის ინიციატივას მოჰყვა საჯარო გამოსვლები და დემონსტრაციები კაპიტოლიუმის შენობასთან. მომიტინგეების ნაწილმა საქართველოსთვის კარგად ნაცნობი საპროტესტო ტექნიკა გამოიყენა და კარები გაშალა. უოლკერმა, სტაბილურობა რომ შეენარჩუნებინა, კანონ-პროექტში პოლიციელები და მეხანძრეები არ შეიყვანა, მაგრამ ამის მიუხედავად, პოლიციელებმა მხარი მანაც არ დაუჭირეს და პირიქით, მომიტინგეების თქმით, მათ პროფკავშირებს დაუჭირეს მხარი.

„ჰაფინგტონ პოსტის“ ცნობით, მიტინგის პირველ ღამეს, შტატის ადმინისტრაციის დეპარტამენტმა კაპიტოლიუმის შენობის

მიმდებარე ტერიტორიის მომიტინგეებისგან დაცლა გადანყვიტა, მაგრამ პოლიციელები, რომლებიც მიტინგს აკვირდებოდნენ, ბრძანებას არ დაეთანხმნენ. მათ განაცხადეს, რომ მომიტინგეები წესრიგს არ არღვევდნენ და არ არსებობდა არანაირი ლეგალური საფუძველი მათ დასაშლელად. საბოლოოდ, ბრძანება გააუქმეს.

ადგილობრივმა „დემოკრატმა“ კონგრესმენებმა პროტესტის ნიშნად შტატის ტერიტორია დატოვეს, რომ უოლკერს კანონ-პროექტის გასატანად საჭირო კვორუმი არ ჰქონოდა. ისინი ილინოისის შტატში, საიდუმლო ადგილებში იმალებიან და უოლკერს დამატებით თავსატეხს უჩენენ.

საინტერესოა, რამ აიძულა სკოტ უოლკერი, ამხელა რისკზე წასულიყო და რატომ არის მთელი ამერიკისთვის და მსოფლიოსთვის ეს ამბები ასეთი მნიშვნელოვანი. როგორც ცნობილი, დამოუკიდებელი,

საგამოძიებო ჟურნალი Mother Jones-ი წერს, უოლკერს კავშირი აქვს ამერიკელ კონსერვატორ მილიარდერებთან – ძმებ კოუკებთან. კოუკები უოლკერის წინასწარჩევნო კამპანიის დამფინანსებელთა სიაში მეორე ადგილზე არიან. ისინი ასევე აფინანსებენ პოპულარულ კონსერვატორულ „ჩაის მსმელების“ მოძრაობასაც და ლიბერტარიანული იდეების გავრცელებისთვის იბრძვიან. საქართველოს მაგალითზე თუ ვიტყვით, მათი მსოფლმხედველობა და ფილანტროპიული საქმიანობა ძალიან ჰგავს საქართველოს ყოფილი ეკონომიკის მინისტრის – კახა ბენდუქიძის საქმიანობას. კოლექტიური მოლაპარაკების უფლების და პროფკავშირების გაუქმებაც, ლიბერტარიანული მოსაზრებით, დადებითად წაადგება ბიზნესებს და ეკონომიკას.

ბოლო 30 წელია, ამერიკა დერეგულაციის ლიბერტარიანული გზით მიდის, მაგრამ როგორც გამოცდილებამ აჩვენა, ხშირად რაც კარგია კორპორაციისთვის, ის საზოგადოებისთვის აუცილებლად კარგის მომტანი არ არის. მაგალითად, პროფკავშირების გაუქმება კორპორაციების-

ისტორიული მჩვენებელია. ჯინის კოეფიციენტის მიხედვითაც, 1967 წლის შემდეგ, ამერიკაში ახლა ყველაზე ღრმა ეკონომიკური უთანასწორობაა, რომელიც ზრდას აგრძელებს. განვითარებულ ქვეყნებს შორის ამერიკას ყველაზე მაღალი ჯინის კოეფიციენტი აქვს.


უოლკერის ინიციატივას ოპიონის „რესპუბლიკელი“ სენატორის გამომხაურება მოჰყვა. მას თავის შტატშიც მსგავსი კანონმდებლობის შემოღება სურს. იმას, თუ რა მოხდება ვისკონსინიში, ყურადღებით აკვირდებიან სხვადასხვა შტატის „რესპუბლიკელი“ გუბერნატორები და სენატორები. თუ უოლკერი თავის გადამწყვეტილებას გაიტანს და პროფკავშირებს გააუქმებს, მაშინ შესაძლოა, ამას დომინოს ეფექტი მოჰყვეს და ვისკონსინის სხვა შტატებმაც მიბაძონ.

ამერიკაში კარგად აცნობიერებენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ვისკონსინის მოვლენებს. თავად პრეზიდენტმა ობამამ უოლკერის ინიციატივა პროფკავშირებზე შეტევად შეაფასა. ამავე დროს, არსებობს ე.წ. „დამოუკიდებლების“ ჯგუფი, რო-

ეს რადიკალიზმი არ მოსწონს და მიაჩნია, რომ მსგავსი გამოსვლები 60-იან წლებში დარჩა. ამასთან ერთად, ბოლომდე ნათელი არ არის, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე პროტესტის ფორმები.

ის, რომ დღევანდელი სიტუაცია 60-იანებისგან კარდინალურად განსხვავდება, ვისკონსინის პროტესტის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალიდანაც ადვილად შეიძლება დავინახოთ. ვისკონსინის პროტესტებს არც იმგვარი ბრაზი და აგრესია ახლავს, რომელიც ეგვიპტეში მუბარაკის წინააღმდეგ გამართულ აქციებს ახლდა (ეგვიპტის აქციებში 365-მდე ადამიანი დაიღუპა). ერთი სიტყვით, საპროტესტო ატმოსფერო გაცილებით უფრო მშვიდი და ცივილურია. ნათლად ჩანს, რომ ადამიანები იბრძვიან არა გადარჩენისთვის, არამედ ღირსეული ცხოვრებისთვის აუცილებელი სოციალური შეღავათებისთვის. ეგვიპტის და ტუნისის აქციებში კი პირდაპირი გაგებით ბრძოლა გადარჩენისთვის მიმდინარეობდა.

დანამდვილებით იმის თქმა ძნელია, ვისკონსინის პროტესტებში რადიკალიზმის ნაკლებობა ხელსაყრელია თუ არა უოლკერისა და მის მხარდამჭერებისათვის, ან შეძლებენ თუ არა ისინი ინიციატივის გატანას და პროფკავშირებისთვის გამანადგურებელი დარტყმის მიყენებას. ერთი რამ ცხადია, რომ ამერიკამ განვითარების იმ ეტაპს მიაღწია, როდესაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინსტიტუტებისა და პროგრამების გაუქმება ძლიერი და რადიკალური პროტესტის გარეშე ხდება. ეკონომიკური უთანასწორობა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ფონზე ზრდას განაგრძობს. ფინანსური კრიზისი, რომელიც ამერიკის ყველაზე მდიდარმა ფინანსურმა ელიტამ გამოიწვია, ისევ ქვედა და საშუალო ფენას აწევს ტვირთად. ირონიულია, რომ 2009 წელს, ფინანსური კრიზისის მომდევნო წელს, ამერიკის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ადამიანების პირველ 5 %-ს შემოსავლები გაეზარდა, მაშინ როდესაც დანარჩენი მოსახლეობის შემოსავლებმა იკლო.

პრობლემიდან გამოსავალი არ ჩანს. საბუჯეტო დეფიციტის ფონზე კი სკოტ უოლკერი შტატის გადასახადებს კიდევ ამცირებს. 

## დერეგულაციის და ეკონომიკური დოვლათის გადანაწილების მექანიზმების მწყობრიდან გამოყვანის შედეგად, ბოლო 30 წლის განმავლობაში ამერიკაში ეკონომიკური უთანასწორობა გაიზარდა.

თვის სარგებლის მომტანია, რადგან ისინი ადვილად შეძლებენ მუშების დაქირავებას და სამსახურიდან გაშვებას, მათთვის ხელფასების შემცირებას და ჯანდაცვისა და საპენსიო შეღავათების ჩამოჭრას. თუ პროფკავშირები არ იარსებებს, მუშები დაკარგავენ შესაძლებლობას, რომ უკეთესი ეკონომიკის პირობებშიც კი ანაზღაურება გაიუმჯობესონ.

დერეგულაციის და ეკონომიკური დოვლათის გადანაწილების მექანიზმების მწყობრიდან გამოყვანის შედეგად, ბოლო 30 წლის განმავლობაში ამერიკაში ეკონომიკური უთანასწორობა საგრძნობლად გაიზარდა. 2010 წლის ამერიკის სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, ამერიკის ყველაზე მაღალშემოსავლიანი მოქალაქეების 20 %-მა მთლიანი შემოსავლების 49.4 % მიიღო. ეს კი ყველაზე მაღალი

მელსაც, ალბათ, ობამას ამგვარი მკვეთრი მემარცხენე გადახრა არ მოეწონება. ამ ჯგუფის პოზიციის აღსაქმელად პოპულარულ სატირიკოსს და სოციალურ კომენტატორ ჯონ სტიუარტის რეაქციას უნდა დავაკვირდეთ. სტიუარტი აშკარად უკმაყოფილო იყო ვისკონსინის პროტესტების გაზვიადებით და ცდილობდა თავისი საყვარელი „შუალედური“ პოზიცია დაეკავებინა. ეს პოზიცია პოლიტიკური იდეოლოგიების ენაზე, შესაძლოა ყველაზე მეტად სწორედ „დამოუკიდებლების“ (Independent-ების) პოზიციას ემთხვეოდეს.

სტიუარტს არ მოეწონა მომიტინგეების მიერ ვისკონსინის ამბების დრამატიზება და უოლკერის შედარება მუბარაკთან. შედარება მართლაც არაადეკვატური და გაზვიადებულია და პროტესტის რადიკალურ ხასიათს გამოხატავს. სტიუარტს სწორედ



# ფეიქუნა ბელუჩის ბაღაფხანა თბილ ქვეყანაში



ეს, ალბათ, ის ერთადერთი გამონაკლისი იქნება, როდესაც ღმერთს რამდენჯერმე მივმართავ.

ნინია კაკაბაძე

როდესაც ასეთი ტიპის მოვლენაზე, გადაცემაზე წერ, ძალიან რთულია, გაექცე, აი, ასეთი ტიპის კომენტარებს: „გმურს“, „შეგმურდა ხომ?“ „აბა, შენ ვინ წაგიყვანს თბილ ქვეყანაში დასასვენებლად?!“ და ა.შ. ამიტომ, ვიდრე ამ კომენტარებს დანერგე, იტყვიან თუ უბრალოდ გაიფიქრებენ, მოგახსენებთ, რომ – დიას, მშურს! ძალიან მშურს და ძალიან შემშურდა, როდესაც დავინახე ამ საძაგელი, მოღუშული და ცივი საქართველოდან, როგორ ბელურასავით გაფრინდა 5 ქალბატონი თბილ ქვეყანაში დასასვენებლად. მშურს, რადგან მე ვერ მივფრინავ. არც ფული მაქვს, არც დრო, არც საშუალება. ერთ-ერთ-

მა ბელურამ გადაცემის ფინალში თქვა, ისეთი ბედნიერი ვარ, მეშინია თვალი არ მეცესო. არ ვიცი, როგორ ხდება თვალის ცემა, მჩხიბავთან არ წავსულვარ, მაგრამ რა ვიცი, აბა, ჩემმა შურიანმა თვალმა კი შეხედა.

ერთი სიტყვით, რაზეა საუბარი – 22 თებერვალს „იმედზე“ გავიდა გადაცემა „ნანუკას შოუ“, რომელიც ამჯერად ეგვიპტიდან მაუწყებლობდა. გადაცემა ჩანანერის სახით გავიდა. შემოქმედებითი ჯგუფი და სტუმრები ეგვიპტეში 17-დან 27 იანვრამდე იმყოფებოდნენ. ისეთი საინტერესო იყო, გადაირევით. ამიტომ, ვინც ვერ ნახა, ძალიან მოკლედ მოვუყვები.

ღმერთმა გაგაძლებინოთ და დაგიფაროთ!

## მოკლე შინაარსი

პირველ ნაწილში გადაცემის წამყვანი ნანუკა და ჟურნალისტი (შეთავსებით საკრებულოს წევრი) ინგა გრიგოლია ჩილიმხანაში წამოგორდნენ და ჭორაობდნენ. რა ვიცი, აქეთური, იქითური... გოგოებმა სიყვარულზე ილაპარაკეს. რატომ არ აენყო ინგას პირადი ცხოვრება? წონაშიც დავიკელიო, სახეზე კორექციაც გავიკეთეო, მაგრამ არა და არაო. მაინც არ გამოვიდაო. საქმიანი და აქტიური რომ ვარ, განა მაგიტომო, ნანუკა შენც მა-



■ გოგოებმა სიყვარულზე ილაპარაკეს. რატომ არ აენყო ინგას პირადი ცხოვრება? წონაშიც დავიკელიო, სახეზე კორექციაც გავიკეთეო, მაგრამ არა და არაო.



გარი ჟურნალისტი იყავი, მაგრამ ხომ ხედავ, რა ბედნიერი ხარო, აი, მე კი ვერაო. სადღაც დადის ინგას მეორე ნახევარი და ინგას ვერ ხედავს, ვერც ინგამ მიაგნო ჯერ, მაგრამ ოდესმე ყველაფერი კარგად იქნება და ისიც ისეთი ბედნიერი იქნება, როგორიც ნანუკაა.

ღმერთო, გვიშველე!

ჰოდა, მერე იყო ნანული სარაჯიშვილი, დოდოშკა და ეთერ კაკულია. ღმერთო, დაგვიფარე ეთერ კაკულიას იუმორისგან!

ქალბატონ ნანული სარაჯიშვილთანაც გვინდა „ზადუშენი“ ლაპარაკი: „ნუთუ, არასდროს გყვარებით ძალიან?“ – ისმის კითხვა. მაგრამ არ გამოვიდა, ნანულისთან უფრო სევდიან-მელანქოლიურ ტალღაზე გადავედით, რომელიც მისი მეგობრის ტრაგიკულ ისტორიას ეხება. მერე რა,

დამიძახო, მენყინება, იმიტომ, რომ ეს შეურაცხყოფა არისო და შინაბერაკი – არაო. მოხდა ასე, რომ ვერ ვახოვდიო. მერე რა, რომ გადაცემას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებიც უყურებენ და ფიქრობენ, რომ მათი მდგომარეობა დოდოშკასთვის შეურაცხმყოფელია. ძაან საყვარელია დოდოშკა!

აუ, გადაცემის ფინალი ყველაზე მაგარი იყო. ეთერი რა საყვარელიაა! აი, დაადო თავის ქმარს და წავიდა გასტროლებზე. იმის მერე აღარ ვახოვილა, მაგრამ ძალიან ბედნიერია. პროსტა ვგიჟდები ამ ქალზე, ძაან უშუალოა, აი რალაცნაირი, ნატურალურია.

ძალიან, ძაან ჟიზნენი გადაცემა იყო. ძაან ვისიამოვნე. ფინალში საზეიმო ვახშამი გაიმართა. ნანუკამ ინგას უთხრა, აი, რაც გინდა მკითხე, ყვე-

სურვილების სუბლიმაციაა. და ამიტომ, გადაცემის ფინალმა, აი პროსტა დაგლიჯა, რაა! მაგრა მომეწონა! აი, რალაც პონტში ფილმი რომ არის, სერიალი კი არა, „სექსი დიდი ქალაქში“, გოგოები რომ მექსიკაში მიდიან, ის გამახსენდა და ძაან მომინდა მეც:((( ღმერთო, მეც გადმოხედე.

P.S. მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს. ხომ არ იცით, ნანუკამ ეგვიპტეში სულ მსუქანი და გაუთხოვარი ქალბატონები რატომ წაიყვანა? ერთ პატარა ეპიზოდში „ინტერკონტინენტალის“ წარმომადგენელი თუ უფროსიც გამოჩნდა („ინტერკონტინენტალი“ იყო ამ გადაცემის იდეის ავტორიც და სპონსორიც) და ისიც ფერხორციანი იყო. ნეტავ პირადი ცხოვრება როგორ აქვს მოწყობილი?!

**■ „ოდესმე პირად ცხოვრებაში თუ აგფეთქებით ნაღმები?“. დოდომ თქვა, პირად ცხოვრებაში აი, ძალიან ჩუმად და ფრთხილად ვაფეთქებ ნაღმებსო. თანო, ერთიც არის, ძალიან წუნია ვარო და ამიტომ დავრჩი შინაბერაკო და ამის სულაც არ მრცხვენიაო. „ეს არის ჭიქა, მე კი ვარ შინაბერაკო“.**

თუკი ეს ისტორია ყველამ არ იცის, გადაცემის მაყურებლებს ვგულისხმობ, მთავარია, ნანუკამ იცის.

უფრო რალაცნაირი და აი, პროსტა ძაან საყვარელი ლაპარაკი გამოვიდა დოდოშკასთან. დოდოშკას ოდესღაც უთქვამს, რომ „იმედის“ „დღის შოუში“ მე გამნაღმველის ფუნქცია მაქვსო, ჰოოოდა, ამ სიტყვას არ გამოიყენებდა ნანუკა?! „ოდესმე პირად ცხოვრებაში თუ აგფეთქებით ნაღმები?“. დოდომ თქვა, პირად ცხოვრებაში აი, ძალიან ჩუმად და ფრთხილად ვაფეთქებ ნაღმებსო. თანო, ერთიც არის, ძალიან წუნია ვარო და ამიტომ დავრჩი შინაბერაკო და ამის სულაც არ მრცხვენიაო. „ეს არის ჭიქა, მე კი ვარ შინაბერაკო“ – დოდოშკამ თქვა. ძაან ჟიზნენი ლაპარაკი იყო. მერე, ძალიან „პრადვიზიუტად“ მიჩნეულმა დოდოშკამ თქვა, მე რომ კუზინა

ლაფერზე გპასუხობო. მერე იყო ლაპარაკი სიყვარულზე, ბედნიერებაზე, როგორ იბრძოლეს მან და მისმა მეორე ნახევრმა ბედნიერებისთვის. ყველაფერი მაქვს, საყვარელი კაცი, შვილები, ფული, საყვარელი საქმე (ანუ გადაცემა) და ისეთი ბედნიერი ვარო, რომ ხანდახან მეშინია კიდევო. აუ, მართლა რა ბედნიერი ხარ, ნაან! ღმერთმა მოგცეს და არ მოგაკლოს არაფერი. უსაყვარლესი ხარ, პროსტააა.

ერთხელ მახსოვს, მაია ასათიანმა თავის შოუში მონტაჟის საშუალებით საკუთარი თავი მიიწვია სტუმრად და ინტერვიუ ჩამოართვა. ნანუკამ ეს ფუნქცია ინგას დააკისრა. როდესაც ასეთ გადაცემას ვაკეთებთ, ვინ გათხოვდა, ვინ ვერ გათხოვდა, ვის ვინ უყვარს და რა პონტში, ძალიან გვინდა, რომ ეს კითხვები ჩვენც დავგვისვან. ეს გადაცემები საკუთარი

P.P.S. ფუმფულა ბელურების სამშობლოში, ამ პერიოდში, სანვაზე თუ პროდუქტზე ფასი ყოველდღიურად იზრდება. იზრდება სოციალურად დაუცველი და შიმშილის ზღვარს მიღმა მყოფი პირების რაოდენობაც. მთავრობა და საკრებულოს თავმჯდომარე თუ მისი წევრები დენის გადასახადის 20-ლარიან ვაუჩერებს არიგებენ გულუხვად...

ბელურების დასასვენებელ კურორტზე კი: 25 იანვრიდან 14 თებერვლამდე გამათავისუფლებელ ბრძოლაში დაიღუპა 320 ადამიანი. 232 – ქაიროში, 52 – ალექსანდრიაში და 18 – სუეცში. მძიმედ დაშავდა 1500-ზე მეტი ადამიანი.

საბედნიეროდ, ჩვენი ბელურები 27 იანვარს მშვიდობით მოფრინდნენ სამშობლოში. „ღმერთს ებარებოდეთ“, ბელურებო! 📌

# ნახილნი ამბები



გიო ახვლედიანი

ფეხბურთის ახალი ამბები ისეთი რამეა, რომ შეიძლება მთლად თამაშს არ ეხებოდეს, საფეხბურთო განყოფილებაში კი მოხვდეს.

მაგალითად, კატარის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონთან შეხვედრისას თქვა, ჩემი ქვეყანა კი მასპინძლობს 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატს, მაგრამ თავად მე, სიმართლე რომ ითქვას, ფეხბურთის წესებში სუსტად ვერკვევო.

ანუ არ ვიცი, რა არის, მაგრამ ამ საქმეს მივხედავთო.

შეიხმა ჰამად ბინ ისიმ ალ ტაჰიმი ეს კეთილად თქვა, მაგრამ აბა, ბრიტანელებსაც მეტი რა უნდათ. ხალხმა ფეხბურთი მოვიგონეთ, ასეთი სტადიონები და ლიგები გვაქვს, დედანულონად ყველაფერი ვიცით ამ თამაშისა და იმისთვის, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის გვემასპინძლა, მხოლოდ ორი ხმა მივიღეთ, კატარში ზაფხულში ორმოცდაათ-გრადუსიანი სიცხეა, პრემიერ-მინისტრმა კი თამაშის წესები არ იცისო.

სიმართლე რომ ითქვას, პრემიერ-მინისტრს თუ დასჭირდა, წესებში გაერკვევა. ხოლო თამაშგარეშ ხშირად მსაჯებიც ვერ ხედავენ.

ამ კვირის კიდევ ერთი საფეხბურთოდ ახალი ამბავი ის არის, რომ „მანჩესტერ სიტის“ ყოფილი ფეხბურთელი ლი ქრუქსი ჯარში ჩაენერა, მეტიც, რამდენიმე კვირის წინ სწავლაც დაასრულა, ახლა ელიტურ მეთოფედ ირიცხება და ავლანეთში ნასასვლელად ემზადება. ქრუქსი გიო ქინქლაძისდროინდელი „სიტიდან“ თუ ეხსომება ხალხს, მცველი იყო. ამბობს, ეს ამბავი ფეხბურთს ჰგავსო, იქაც ვარჯიშია და აქაცო, ორივეგან ნავარჯიშევი უნდა გამოიყენო.

უბრალოდ, ერთგან ბურთია, მეორეგან კი ტყვია. პატარა სხვაობა არ ჩანს.

კიდევ ერთი ის მოხდა, რომ „ბირმინგემ სიტის“ ფეხბურთელის მეტ დერბიშირის ლამაზმა ცოლმა მელისამ სტადიონის ტრიბუნაზევე გულდაგულ შეუტია თავისივე კლუბის გულშემატკივარს, რომელიც მის ქმარს უვარგისობისთვის აგინებდა.

არც იმას დაერიდა, რომ თან მცირეწლოვანი შვილები ჰყავდა. საერთოდ, ინგლისში თავისიანებს იშვიათად აგინებენ, მაგრამ ხდება ხოლმე. ის კაცი სეზონური ბილეთის მფლობელი, ანუ „ბირმინგემის“ თავგადაკლული გულშემატკივარი ყოფილა და ცხადია, მეტს ითხოვდა, თავისი რამდენიმეთასიანი ბილეთის გამო. ჰოდა, მელისაც ის ქალი არ გამოდგა, ქმრის ლანძღვა რომ შეერჩინა. კარგი ჯიკავ-ჯიკავიც ამტყდარა. აბა, როგორია, შვილების გასაგონად მამას რომ აგინებენო.

ეს მელისა უბრალო ქალი სულაც არ გახლავთ, გაზაფხულზე ჩინეთის დიდი

კედელი უნდა გადაიაროს, რათა მენინგიტიანების ფონდისთვის ფული შეაგროვოს.

იმ ადგილას კი აღარასდროს დავჯდებიო, ის კაცი სულ იქ იქნება და ნამდვილად არ მესიამოვნება ყოველ ჯერზე მისი დანახვაო.

პატარა ლონდონური კლუბის, „ლეიტონ ორინგის“ მიერ „არსენალთან“ სათასო მატჩის ფრედ დამთავრებით გახარებულმა ამ კლუბის პატრონმა ბარი ჰერნმა გადანყვიტა, ბიჭებს დავასაჩუქრებო და მთელი გუნდი ლას ვეგასში გასართობად დაპატიჟა. ყველა აღტყინდა და აღტაცდა, გარდა ერთისა: ნახევარმცველმა ჟოზე-პოლ მ'პოკუმ თქვა, მე მირჩევნია შინ დავრჩე იმიტომ, რომ მორწმუნე კაცი ვარ და მაგ ქალაქში კი ცოდვების მეტი არაფერიაო.

აი, ასე. წყნარად და მშვიდად.

თითქოს პირდაპირ ფეხბურთს არ ეხება, მაგრამ მაინც ფეხბურთია გარეული. **📌**



მეტ დერბიშირის მეულლე მელისა შვილებთან ერთად





**IPHONE 4 საუკეთესო მოგილურ მოწყობილობად აღიარეს**

ტელეფონმა საპატიო ტიტული საერთაშორისო კონკურს Global Mobile Awards-ზე მოიპოვა. კონკურსი მობილური ტექნოლოგიების გამოფენის Mobile World Congress 2011-ის ფარგლებში ბარსელონაში გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიებაში Apple საერთოდ არ მონაწილეობდა, iPhone 4 –მა ყიურის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ჯილდო ტელეფონს შესანიშნავი ეკრანის, დახვეწილი დიზაინის, დამატებების შექმნის, ეკოსისტემის და ფანტასტიკური მასალის გამო ერგო. კონკურსის ყიურიმ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ iPhone 4 ყველა სმარტფონისთვის სამაგალითო უნდა იყოს. Apple-ს მოწყობილობას საუკეთესო ტელეფონის ნომინაციაში მეტოქეობას LG Optimus 7, BlackBerry Torch 9800, Samsung Galaxy S და HTC Desire, უწევდნენ. მობილური ტელეფონების საუკეთესო მწარმოებლის სტატუსი სწორედ ტაივანურ კომპანია HTC-ს ერგო. „კომპანიამ ბაზარზე საქმიანობა ნულიდან დაიწყო და პოზიციები ბრენდინგისა და მარკეტინგის ინოვაციური იდეების დახმარებით დამაჯერებლად გაიმყარა. დღეს მას უკვე მოდელების სოლიდური ხაზი აქვს“, – აღნიშნა ყიურიმ HTC-ს შეფასებისას.

ნლის საუკეთესო დამატებებად Angry Birds, Google Maps და BlackBerry Messenger დასახელდა, მათგან საუკეთესოდ კი კვლავაც Apple და მისი Angry Birds აღიარეს.

**სტივ ჯობსი დაბადების დღეს განახლებული Macbook Pro-თი შეხვდა**

24 თებერვალს, კომპანიის დამფუძნებლისა და აღმასრულებელი დირექტორის სტივ ჯობსის დაბადების დღეს, Apple-მა Macbook Pro-ს განახლებული ხაზი წარადგინა. უცვლელი დარჩა პროდუქციის დიზაინი, თუმცა მახასიათებლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: 13,15 და 17 დიუმიან ნოუთბუქებში პირველად გამოიყენეს Intel-ის მიერ შექმნილი ინტერფეისი Thunderbolt, რომელიც ადრე Light Peak-ის სახელით იყო ცნობილი. Thunderbolt-ის ახალი ინტერფეისი სხვადასხვა პერიფერიული მოწყობილობების მალალ გამტარუნარიანობას – 10 გიგაბიტი/წმ – ფლობს. Apple კი პირველი მწარმოებელია, რომელმაც ეს ინტერფეისი მასობრივი წარმოების მოწყობილობებში დაწერა. ამასთან, კომპიუტერები აღჭურვილია ორ და ოთხბირთვიანი Intel Core-ს მეორე თაობის, Sandy Bridge-ს არქიტექტურის პროცესორებით.

ინფორმაცია Macbook Pro-ს ხაზის განახლების შესახებ პირველად გასული წლის დეკემბერში გავრცელდა. პრეზენტაციის სავარაუდო თარიღად 2011 წლის პირველი ნახევარი დასახელდა,



თუმცა Apple-ს რესელერებმა რამდენიმე დღის წინ დალუქული „საიდუმლო პროდუქცია“ მიიღეს. მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ საგულდაგულოდ შეფუთულ ყუთებში სწორედ განახლებული Macbook Pro-ს მოდელები ელაგა. კომპანიამ პარტნიორებს ტვირთის ნახვა მკაცრად აუკრძალა. ლიცენზიის დაკარგვის შიშით მოთხოვნა ყველა მათგანმა შეასრულა. Apple პრეზენტაციამდე კომენტარს არ აკეთებდა თუმცა მის ამერიკულ საიტზე Macbook Pro-ს მოდელების შეკვეთა შეწყვეტილი იყო.

**15 წამში ერთხელ მსოფლიოში ახალი ვირუსი ჩნდება**



G Data Software-ს სპეციალისტების ინფორმაციით, სახიფათო კოდების ყველაზე დიდი ნაწილი Java-ში არსებულ დაუცველობას უკავშირდება და 2011 წელს Java კვლავაც ჰაკერების თუ კიბერთაღლითების ერთ-ერთ „საყვარელ“ სამიზნედ დარჩება. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ გაიზრდება სახიფათო ვირუსების სოციალური ქსელებით გავრცელებისა და სახელმწიფო უწყებებზე პოლიტიკურად მოტივირებული კიბერთავდასხმების რაოდენობაც. „Java მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია. 10-დან 8 კომპიუტერზე სწორედ მისი პროგრამული მოდელებია. Java-ში დაუცველი „ხვრელების“ აღმოჩენის შემდეგ კიბერდამნაშავეებმა ვირუსების გავრცელების დიდი პოტენციალის ხერხს მიაგნეს. 15 წამში ერთხელ მსოფლიოში ახალი ვირუსი ჩნდება და მიმდინარე წელს ჩვენ შემთხვევების გაორმაგებას ველოდებით, ამიტომ აუცილებელია,

მომხმარებლებმა ანტივირუსები დროულად განაახლონ, რათა საფრთხეების რიცხვი შეამცირონ“, –აცხადებს G Data Software–ს უსაფრთხოების ლაბორატორიის ხელმძღვანელი რალფ ბენც-მიულერი.

2010 წელს ახალი სახიფათო ვირუსების შექმნის აბსოლუტური რეკორდი დამყარდა. G Data Software–ს ანგარიშში ნათქვამია, რომ საზიანო პროგრამების რიცხვმა შარშან 2 093 444 შეადგინა და 2009 წლის მაჩვენებელს 32%-ით გადააჭარბა. ინტერნეტ-მომხმარებლების ანონიმურობა და პრაქტიკულად, ყველა რესურსის ხელმისაწვდომობა კიბერსივრცეში დანაშაულის ჩადენის პროცესს სულ უფრო ამარტივებს. „WikiLeaks–ის მხარდამჭერების მიერ მსხვილი კომპანიების წინააღმდეგ განხორციელებულმა თავდასხმებმა კიბერშეტევების ეფექტურობა კიდევ ერთხელ დაადასტურა. ქუჩის არეულობები და აქციები წარსულს ბარდება, web 2.0.–ის თაობა ამისთვის ინტერნეტს ირჩევს“, – აცხადებს ბენცმიულერი და 2011 წლის სავარაუდო პრობლემებად კიბერშიონაჟსა და კიბერსაბოტაჟს ასახელებს.

კიბერდამნაშავეების თავდასხმების ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ წელს სოციალური ქსელებიც გახდება. მრავალრიცხოვანი აუდიტორია და სხვადასხვა სერვისის შეთავაზება ჰაკერებს კერძო პირებსა თუ კომპანიებზე უფრო ორგანიზებული თავდასხმების საშუალებას აძლევს. კიბერსაფრთხეების ანალიტიკური ცენტრის Eset–ის სპეციალისტები ამბობენ, რომ Facebook–ში უამრავ საზიანო კოდს შორის ყველაზე გავრცელებული პროგრამებია Win32/Yimfoca.AA და Win32/Fbphotofake. Win32/Yimfoca.AA იმიტია სახიფათო, რომ კომპიუტერის დაზიანების შემთხვევაში, ბოროტმოქმედები სისტემაზე სრული დისტანციური კონტროლის უფლებას იღებენ. მისი გავრცელებისთვის კიბერთაღლითები Facebook–ის ჩატს იყენებენ. Win32/Fbphotofake კი სოციალური ინჟინერიის ტექნოლოგიით სარგებლობს და უკვე დავირუსებული მეგობრების შეტყობინებებით ვრცელდება. კომ-

პიუტერის დაინფიცირების შემდეგ Win32/Fbphotofake მომხმარებლის „ექაუნტს“ სრულად აკონტროლებს და სპამებს სოციალურ ქსელში ყველა მეგობარს უგზავნის.

კიბერუსაფრთხოების სპეციალისტები მომხმარებლებს განსაკუთრებულ სიფრთხილეს ურჩევენ და მოუწოდებენ, არ გახსნან საეჭვო შინაარსისა და უცნობი ავტორების მიერ გამოგზავნილი წერილები, არ გადავიდნენ საეჭვო ბმულებზე, იმ შემთხვევაშიც, თუ მათ მეგობარი აგზავნის, ნებისმიერი დამატება დაინსტალირებამდე შეამოწმონ ანტივირუსით ან საერთოდ უარი თქვან მათ ჩამოტვირთვაზე.

## მოტოროლა ევროპაში გრუნდება



მობილური ტელეფონების ამერიკული მწარმოებელი Motorola Mobility ევროპულ ბაზარზე დაბრუნებას გეგმავს. ეს გადაწყვეტილება კომპანიის მენეჯმენტმა ამერიკაში Android-სმარტფონების წარმატებული გაყიდვების შემდეგ მიიღო. Motorola–ს ხელმძღვანელი სანჯეი ჯა აცხადებს, რომ ამერიკაში საბაზრო წილისა და ფინანსური სტაბილიზაციის შემდეგ კომპანიის მომდევნო ნაბიჯი ევროპაში დაბრუნება იქნება. ნახევარი წლის წინ Motorola–მ მთავარი ფსონი Android–ზე დადო და არც შემცდარა. კომპანიის პოზიციების აღდგენა აშშ–ში, ლათინურ ამერიკაში, ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში უკვე დაწყებულია, თუმცა ევროპა და დსთ–ს ქვეყნები მწარმოებლისთვის კვლავაც „თეთრ ლაქად“ რჩება. Motorola მსხვილ ფიჭურ ოპერატორებ-


თან სმარტფონების გაყიდვასთან დაკავშირებით კონტრაქტების გაფორმებას გეგმავს, შემდეგ კი საცალო ქსელებში შესვლასაც აპირებს. ევროპულ მომხმარებლებს Motorola smartfon Atrix–ს და ცოტა ხნის წინ დაანონსებულ პლანშეტ Xoom–ს წარუდგენს.

ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ Motorola–ს წილი ევროპულ ბაზარზე 16%–ს აჭარბებდა და კომპანია ამ მაჩვენებლით მხოლოდ Nokia–ს ჩამორჩებოდა. გასულ წელს Motorola–ს წილი 0,7%–მდე შემცირდა.

## ორცხოზილების მწარმოებელი Facebook–ის რაკორდსმენია

ორცხოზილების მწარმოებელი Oreo გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. სოციალურ ქსელ Facebook–ში კომპანიის გვერდზე გამოქვეყნებულმა პოსტმა დღე-ღამეში 45 ათასზე მეტი „ლაიქი“ მოაგროვა. გინესის წიგნის წარმომადგენლებმა მინიმალურ რაოდენობად სწორედ 45 ათასი დაანესეს, თუმცა ჯამში Oreo–მ 111 ათასამდე „ლაიქი“ მიიღო.

Oreo ამჟამად სოციალური ქსელებში ყველაზე პოპულარული ბრენდების ხუთეულში შედის. Facebook–ზე მის ჯგუფში 17 მილიონამდე მომხმარებელია გაერთიანებული. „ლაიქების“ მოგროვების სარეკლამო კამპანია კი მენეჯმენტმა ორცხოზილისთვის „ყველაზე საყვარელის“ სტატუსის მოპოვების მიზნით დაგეგმა.

კომპანია Oreo ორცხოზილას 1912 წლიდან აწარმოებს. „XX ასწლეულის ყველაზე პოპულარული ორცხოზილის“ კლასიკური ვარიანტი ორი შოკოლადის ბისკვიტისა და ნაღების თეთრი შიგთავსისგან შედგება. 

ნინო ნატროშვილი

# "დიდი დათვის" ნისიანი თანავახსხვცავედი



ბერლინის 61-ე საერთაშორისო კინოფესტივალი: ირანი, როგორც სარკეში და შავ-თეთრში „დაკარგული“ არტჰაუზი

დავით ბუხრიკიძე



ფოტო: ფარაჩივი ბაბი / REUTERS

ივან სპეისი ბერლინის კინოფესტივალზე, თებერვალი 2011

1951 წელს, ნაომარ ბერლინში საერთაშორისო კულტურული პოლიტიკის გათვალისწინებითა და ამერიკელთა ძალისხმევით, (ამას უკვე აღარავინ მალავს) საერთაშორისო კინოფესტივალი დაარსდა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საკმაო არტისტული სტაჟის მქონე ვენეციას, ან უფრო მოდურ კანის კინოფესტივალს მალე კონკურენტი გამოუჩნდებოდა.

პოლიტიკურმა გარემომ და საფესტივალო გამოცდილებამ კინომითოლოგია შეცვალა.

კედლის დანგრევის მომდევნო წლიდან ბერლინის კინოფესტივალი, სერიოზულ და ალტერნატიულ კინოპლატფორმად ჩამოყალიბდა. 70-80-იანი წლებიდან კი გაცილებით სწრაფი ტრანსფორმაცია განიცადა, კინოხელოვნების ჩარჩოებს გასცდა და ლამის არტ-პოლიტიკურ მოვლენად გადაიქცა. ჯერ ბორკილებაყრილი აღმოსავლეთ ევროპის, შემდეგ ტანჯული „მესამე სამყაროს“ წასახალისებლად.

ქართველ რეჟისორთა ისტორიული მონა-

გარი ბერლინალზე ურიგო არ არის. მართალია „ოქროს დათვი“ კოლექციაში არა გვაქვს, მაგრამ „ვერცხლის დათვები“ სხვადასხვა დროს უკვე კლასიკოს ოთარ იოსელიანს („ორშაბათი დილით“), არანაკლებ ცნობილ გიორგი შენგელაიას („ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“) და საფრანგეთში ოჯახიანად წახალისებულ თემურ ბაბლუანს („უძინართა მზე“) ერგოთ. ეს დიდი კინემატოგრაფიული წარსულის „ნგრეულ ნაშთს“ უფრო მოგვაგონებს, მა-



გრამ თავმოსაწონებლად მაინც გამოდგება. რიგით 61-ე ბერლინალემ ჩვეულ სტილში, ოდნავ პათეტიკურად, მაგრამ მაინც სამართლიანად დაიცვა ესთეტიკურ-პოლიტიკური მრწამსი. ჯერ იყო და, ჟიურის თავმჯდომარემ, იზაბელა როსელინიმ დაპატიმრებული ირანელი რეჟისორის, ჯაფარ პანაჰის წერილი ფესტივალის გახსნაზე, პირდაპირ სცენაზე წაიკითხა, ხოლო „ცარიელი სკამის“ აქცია მთელი ფესტივალის განმავლობაში გრძელდებოდა. შემდეგ, ფესტივალის დახურვაზე მისი თანამემამულის, ასგარ ფარჰადის ფილმი „ნადერი და სიმინი, განშორება“ მთავარი პრიზით – „ოქროს დათვით“ დააჯილდოვა. დაახლოებით იგივე რამ „ჩაიდიანა“ ტილდა სვინტონმა ორი წლის წინ ბერლინალეზე, როცა ფარჰადის ფილმს „ელის შესახებ“

ანსამბლს“ არა მგონია დაემსახურებინა ასეთი საპატიო შეფასება. მით უმეტეს, როცა საკონკურსო ფილმებს შორის დიდი არჩევანი არსებობდა: ბრიტანელი რაღფ ფაინსის (აქტიორული და რეჟისორული ნამუშევარი შექსპირის „კორიოლანოსის“ მიხედვით), ახალგაზრდა გერმანელი მსახიობის, დანიელ ბრულის (მთავარი როლი გერმანული ტერორისტული ორგანიზაციის „ნითელი არმიის ფრონტის“ შესახებ ფილმში „ვინ, თუ არა ჩვენ?“) და კევინ სპეისის (ჟოლ-სტრიტის ერთ-ერთ ბანკში დატრიალებული დრამა „სახიფათო ვაჭრობა“) შესანიშნავი აქტიორული ნამუშევრები. კლასიკოსი უნგრელი რეჟისორის, ბელა ტარის არტ-ჰაუზისთვის თითქოს საგანგებოდ გამოწერილი, დახვეწილი და შავ-თეთრი ფილმი „ტურინული ცხენი“, რომელიც

პრიზების პოლიტიკორექტულად და „დალაგებულად“ განაწილება რომ ბერლინალეს დაუძლეველი სენია, კიდევ ერთხელ დადასტურდა ფესტივალის დახურვაზე. „პრიზი რეჟისურისათვის“ გერმანელ რეჟისორს ულრიჰ კოლერს გადასცეს საკმაოდ მოსაწყენი ფილმისათვის „ძილის ავადმყოფობა“, რომელიც აფრიკაში ევროპელი ექიმების მისიაზე მოგვითხრობს. მეორე გერმანული ფილმი „ვინ, თუ არა ჩვენ?“ (რეჟისორი ანდრეას ფაიელი) ალფრედ ბაუერის სახელობის პრიზით აღინიშნა, ხოლო არგენტინელი პაოლა მარკოვიციის პოლიტიკური კონტექსტითა და საინტერესო გამომსახველობით გამორჩეული ფილმი „პრემია“ – სპეციალური „ვერცხლის დათვით“ ოპერატორული ნამუშევრისათვის.

ამერიკული „დამოუკიდებელი კინოს“ პერსპექტიული და უდავოდ ნიჭირი რეჟისორის, მირანდა ჯულაის „მომავალი“, ისევე, როგორც, ავსტრიელი ვოლფგანგ მიურნბერგერის „ჩემი საუკეთესო მტერი“ (სხვათა შორის, მორის ბლაიბტროის, მარტა კელერისა და სხვა ცნობილი მსახიობების გარდა, ფილმში მერაბ ნინიძეც მონაწილეობს) ჟიურიმ სათანადოდ არ, ან ვერ შეაფასა.

პატარ-პატარა სკანდალებს რაც შეეხება. ჯერ კიდევ ფესტივალის დაწყებამდე პრესაში გახმაურდა ფაქტი, რომ გერმანელ რეჟისორ უვე ბიოლის ძალიან საინტერესო ფილმი „ოსვენციმი“, შესარჩევმა კომისიამ ბოლო მომენტში დაინუნა. მიზეზად ჟიურიმ საკონცენტრაციო ბანაკში წამების სცენების შოკის მომგვრელი ნატურალიზმი დაასახელა. ვენბათაღელვა კონკურსგარეშე ნაჩვენებ, ხოდორკოვსის შესახებ დაკარგული ფილმის მასალებსაც მოჰყვა. თუმცა ფილმში ფასეული მხოლოდ სასამართლო პროცესზე ჩანერილი ხუთწუთიანი ინტერვიუს ფრაგმენტია.

ბერლინის 61-ე საერთაშორისო კინოფესტივალმა აქტიური მოქალაქეობრივი და პოლიტიკური იმიჯი მაინც შეინარჩუნა და დაფასებულ არტ-ჰაუზსაც ხარკი გადაუხადა. და თუ „ბერლინალეს“ შემდეგ ჯაფარ პანაჰის სასჯელს შეუმსუბუქებენ ან ციხიდან დროზე ადრე გამოუშვებენ, ჩათვალეთ, რომ ბატონი დიტერ კოსლიკი თითქმის ჯადოქარი ყოფილა. ■



რეჟისორი ასგარ ფარჰადი მსახიობებთან ერთად, ბერლინალე, თებერვალი 2011

ფოტო: მსახიობი პანაჰი / REUTERS

საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის „ვერცხლის დათვი“ გადასცა. ფილმში მონაწილე მსახიობი ქალები და მამაკაცები ჟიურიმ ასევე „ვერცხლის დათვებით“ დაჯილდოვა, რაც ცოტა არ იყოს, ირონიას ჰგავდა. თუ ქალთა როლები ფილმში მაინც უფრო გამოკვეთილი და საინტერესოა (სარინა ფარჰადი, ბაიათ სარეფი, ლეილა ჰათამი), მამაკაცების როლები შედარებით უფერული და მეორე პლანისაა. ამდენად, ირანელ „მსახიობთა

ბოლო დღემდე ლიდერობდა პრესის შეფასებით, „ჟიურის დიდი პრიზით და კრიტიკოსთა „ფიპრესით“ დაჯილდოვდა. აღსანიშნავია, რომ პრიზის მისაღებად სცენაზე ასულმა რეჟისორმა მდუმარედ დატოვა სცენა, ან იქნებ, სიტყვა პრინციპული მოსაზრებით არ წარმოთქვა, რამაც ფესტივალის დირექტორი, დიტერ კოსლიკი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. ჟიურის მომხიბვლელი თავმჯდომარე იზაბელა როსელინი კი მხოლოდ უადგილოდ იღიმებოდა...

# ახ ვისი, ახ ვისი!



კახა თოლორდვა

ისინი, ვისაც ეს ალიზიანებს, ამბობენ: „შეუძლებელია ქუჩაში ამდენი პირველის გადამწერი ადამიანის ყურება!“ ხოლო ისინი, ვისაც ეს არ ალიზიანებს, კითხულობს: „საიდან იცით, რომ ეს ადამიანები მთელი გულით არ ინერენ პირველს?“ – მერე კი ამატებენ, – „ყველას აქვს ეკლესიებთან პირველის გადამწერის უფლება“. ხშირად ამის პასუხი ისაა, რომ ეს რწმენის უმდაბლესი ფორმაა. „ის ძუძუგადმოყრილი ქალი რომ გენახა იმ დღეს ავტობუსში, ამას არ იტყვი!“ – ამატებს ვიღაც. პასუხად კი იღებენ იმას, რომ ყველა მორწმუნეს არ მოეთხოვება რწმენის მაღალ საფეხურებზე დგომა, თანაც არ აქვს მნიშვნელობა, ძუძუგადმოყრილია თუ არა, ესე იგი, ეს მისი დონეა, მორჩა და გათავდა. მთავარია გულით აკეთებდეს ამას. „აბა რას მიკეთებენ მოძღვრები? მაგათ ხომ ყველას თავისი მოძღვარი ჰყავს? მათი საქმე არაა მრევლის მაღალ საფეხურზე აყვანა?“ – კითხულობენ მონინალმდგეგები. პასუხსაც იღებენ: „რაა ცუდი იმაში, რომ მორწმუნე ადამიანი ქუჩაში ეკლესიას ესაღმება?“ „შევიდეს, ბატონო, ეკლესიაში და რამდენიც უნდა, ინეროს პირველი იქ!“ – ლიზიანდებიან ასეთი პასუხზე გალიზიანებულები. „არის ზოგჯერ ისეთი სიტუაციები, როდესაც ადამიანებს ეჩქარებათ ხოლმე და ასე ამჯობინებენ საღამს“, – ისმის პასუხი. „რა სიტუაციები, რის სიტუაციები, ქალაქში არ დადიხართ, ხალხნო? ქალაქი კი არა, ბარდაგია! დაიცა, სამარშრუტოს ან ავტობუსის მძღოლები რომ ლამის საჭეებს ხელს უშვებენ ყოველი ეკლესიის დანახვაზე, ეს ნორმალურია?“ „თუ თვალთმაქცობენ, ნორმალური არაა!“ – პასუხობენ ოდნავი შემშუმენით. ეს უკვე „სატოკუა“ გალიზიანებულებისთვის. „თუ არ თვალთმაქცობს, ესე იგი უფლება აქვს, გადამჩეხოს, არა?“ ასეთ შემთხვევებში საუბარი, როგორც წესი, სხვა კალაპოტში გადადის – „თქვე კაი ხალხნო, იელოვლების და ცისფრების უფლებებზე რომ იკლავთ თავს, მორწმუნეებს უფლებები არ გვაქვს?“ ამაზე, როგორც შევამჩნიე, ყველა სხარტად ვერ პასუხობს ხოლმე, უბრალოდ ჯერ თვალებს გადაატრიალებენ და მერე მიახლიან: „ჰოდა, გყავდეთ ასეთი მორწმუნეები, საეკლესიო მაღაზიებთან რომ ეხეთქებიან მუხლებზე და ყველას დასანახად ვითომ ლოცულობენ და იმ ნაკურთხი მანქანებიდან ერთმანეთს რომ აგინებენ ხოლმე, ისინიც არ დაიფიქსოთ!“ და მერე: „კაცო, თვითონ იესო ქრისტე ამბობს, ჩაიკეტე სახლში და ასე ილოცეო და ამაზე დიდი ავტორიტეტი ვილა გინდათ?“ ამაზე ერთხელ აი, ასეთი პასუხს მოგვკარი ყური, – „სად ამბობს ამას მაცხოვარი?“ – იკითხა ერთმა. „სად და სახარებაში!“ – უპასუხეს. „გავიგე, რომელ სახარებაში?“ „ოოო, არ მახსოვს ესლა.“ „ჰოდა, თუ არ გახსოვს, მოკეტე!“ მაგრამ აქ ასე მარტივად არაა საქმე.



ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ვიღაც არ იზნევა და უმალ მიახლის ხოლმე, – „სად და მათე, თავი მეექვსე, მუხლი 5/6/7/8.“ და მერე მიახლის, – „აი, მოუსმინე, როცა ლოცულობ, ნუ იქნებით, როგორც თვალთმაქცი, რომელთა უყვართ სინაგოგებსა და ქუჩის კუთხეებში დგომა და ლოცვა, რათა ხალხს თავი მოაჩვენონ...“ ან „შენ კი, როცა ლოცულობ, შედი შენს ოთახში, ჩაიკეტე კარი და ილოცე დაფარულში მყოფი შენი მამისადმი...“ ესეც მე ვარ?“ ასეთებზე, ვიღაც-ვიღაცები მოკეტავენ ხოლმე, მაგრამ თუ ისეც და ისეც აღმოჩნდა ისეთი ვინმე, ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს ეგზეგეტების ტექსტებს, ამას არ ეუუება ხოლმე და იწყება, აქეთ ორიგენო, იქეთ ლოპუხინიო, აქეთ ესო, იქით ისო...  
 მე ყურადღებით ვუსმენ ორივე მხარეს და მინდა გითხრათ, რომ საქმე მართლაც არც ისე მარტივადაა, როგორც შეიძლება ეგონოს კაცს. მორწმუნის პოზიციიდან ძალიან ბევრი ნიუანსია, რაც დანარჩენებისათვის პრინციპულად გაუგებარი შეიძლება, იყოს.  
 ჩემი საქმე ნამდვილად არაა, ვინ სად ინერს პირველს, მაგრამ მაინც, ვერაფრით გამიგია, რატომ ვარიდებ ხოლმე თვალს მათ, ვინც, თუნდაც ავტობუსებში, ყოველი ეკლესიის დანახვაზე ახლად ჩართული რობოტებივით ცოცხლდებიან და მექანიკური უტიფრობით იწყებენ პირველის გადამწერას. ■



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი  
გორი, ქარელი, საშუსრი  
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია  
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი  
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

**FM 105.5**

**FM 103.0**

**FM 104.5**

**FM 101.0**

**FM 101.9**





**WWW.LIBERALI.GE**

---